საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

2 ივნისი შაბათი 2012 №129 (13 735) ფასი 80 თეთრი

# დატოვებს აზური ევროპას?

## პრანდელიც, თუ საჭიროა, ევროპას გამოვეთიშებით




8

# ჩივაძის ახალგაზრდული დებიუტი

## პირველი მატჩი, პირველი მოგება - ერთი წლით უმცროსებთან ერთით ნული




2

# ევრო 2012-ის ამბები

# ესპანეთი სამშობლოს გამოეთხოვა

## ტრაპატონიმ იცის, დაფი გვპირდება, გერმანელები ნერვიულობენ



7-9

ასიანი დამიენ დაფი

# ეს უკვე ზღაპარი არ არის




2

ქართველმა ახალგაზრდებმა მინსკში 1:0 მოიგეს

# საქართველო და აზერბაიჯანი დაძმობილდნენ, გაუდგნენ გზას ...მიადგებიან ევრო-2020-ს?

# ალექსანდრე იაშვილი ნიკოლოზ გელაშვილთან?

## შეუტევს ბოხუმი ქართულად?

## მოსალოდნელი ტრანსფერი - ბოხუმს იაშვილი მოუნდა



3

ალექსანდრე იაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2020




# საქართველო და აზერბაიჯანი რედისონში იწყებენ და ჯერ არ იციან, სად ამთავრებენ!

## საფინალო ქალაქები: თბილისი, ბაქო, თუ... სტამბული?! ქართული და აზერბაიჯანული ფეხბურთის მამების ოპტიმიზმი: ვიცით, როგორ მოვუგოთ თურქეთს!

გუშინ, ბათუმის სასტუმრო „რედისონის" საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოსა და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციების პრეზიდენტებმა, **ზვიად სიჭინავამ** და **როვნაგ აბდულაევმა** ერთობლივი ბრიფინგი გამართეს, რომელიც ამ ქვეყნების მიერ „ევრო-2020"-ის ფინალური ეტაპის მასპინძლობაზე განაცხადის შეტანას ეხებოდა.

თავდაპირველად, სამუშაო შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა, რომელზეც მედიის წარმომადგენლები მხოლოდ ორიოდ წუთით დაასწრეს, ისიც ფოტოსურათების გადასაღებად. რაც ჩვენი იქ ყოფნის დროს სტუმარ-მასპინძლებმა აღნიშნეს ის იყო, რომ მხარეები საბოლოოდ შეთანხმდნენ და ჩამოყალიბდნენ, ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობაზე პრეტენზია ერთობლივად გამოეთქვათ.

დაახლოებით ნახევარი საათი გაგრძელდა მუშა შეხვედრა, რის შემდეგაც სფფ-ის პრესატაშემ, **ოთო გიორგაძემ** უკვე საპრესკონფერენციო დარბაზში გვიხმო, სადაც ორი ქვეყნის ფედერაციათა პირველმა პირებმა საპრეზენტაციო სიტყვის შემდეგ ქართველი და აზერბაიჯანელი ჟურნალისტების კითხვებს უპასუხეს.

**ზვიად სიჭინავა:**

- დიდად მოხარული ვარ, რომ შეხვედრა შედგა და ბოლო მოეღო ქართული და აზერბაიჯანული მედიასაშუალებებით გავრცელებულ იმ ინფორმაციებს, თითქოს ჩვენ მიერ გაცხადებული სურვილი ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობასთან დაკავშირებით არის ბლეფი და ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიერ მოგონილი. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ორი ქვეყნის მიერ გაკეთებულია განაცხადი, რომელიც მიზნად ისახავს გამარჯვებას.

**როვნაგ აბდულაევი:**

- მინდა გითხრათ, რომ დღეს შედგა მნიშვნელოვანი და მეტად პროდუქტიული შეხვედრა ორი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებს შორის. ჩვენ ერთობლივად ვაპირებთ ევრო-2020-ის მასპინძლობას და ეს არის სერიოზული განაცხადი. ორი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია ჩვენი ქვეყნების ხელისუფალთა მხარდაჭერით მაქსიმუმს გააკეთებს, რათა ჯერ ევროპის უდიდესი საფეხბურთო ფორუმის მასპიძლობის უფლება მოვიპოვოთ, ხოლო შემდეგ ის ღირსეულად ჩავატაროთ.

**- ბატონო ზვიად, თქვენ დახურულ კარს მიღმა ესაუბრეთ აზერბაიჯანელ კოლეგას. კონკრეტულზე თუ ითქვა რამე და როგორია უახლოესი გეგმა?**

- კონკრეტული ის არის, რომ შეთანხმებაა ორ ქვეყანას შორის. ჩვენი ფედერაციები ყველაფერს გააკეთებენ საკითხის დადებითად გადასაწყვეტად. გვაქვს სახელმწიფო მხარდაჭერის დიდი გარანტიები, ამასთან სურვილი და საკმაოდ კარგი შანსები, რომ ევრო-2020 ვუმასპინძლოთ. დახურულ შეხვედრაზე გადაწყდა ასევე, რომ გენერალური მდივნების შეთანხმებით უახლოესი 10 დღის განმავლობაში უნდა ჩამოყალიბდეს სამუშაო ჯგუფი. გაირკვევა საკითხები იმ განაცხადისთვის, რომლის წარდგენაც 30 ივნისამდე უნდა განხორციელდეს. ჯგუფის შემადგენლობა ორივე ქვეყნის მედიასაშუალებებისთვის დროულად გახდება ცნობილი. იგეგმება კიდევ ერთი შეხვედრა, ამჯერად აზერბაიჯანში, სადაც დასახელდება ქალაქები, რომელთაც ჩემპიონატის სამასპინძლოდ შევარჩევთ.

**- იქნებ გვითხრათ კონკრეტულად, რომელი ქალაქები იქნება შერჩეული?**

- ეს მუშა ჯგუფის დასადგენია და დღეს ნამდვილად არ არის ლაპარაკი იმაზე, თამაშები ვანში ჩატარდება, ხონში თუ სუმგაითში. მუშა ჯგუფმა უნდა მოიკვლიოს კონკრეტული ქალაქების მაცხოვრებელთა რაოდენობა, დაადგინოს ჩასატარებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოები და სხვადასხვა კრიტერიუმის შეჯერებით შეარჩიოს ქალაქები.

> **ზვიად სიჭინავა: „უეფასა და მიშელ პლატინის სურვილია, ჩვენნაირ ქვეყნებში მოხდეს ფეხბურთის განვითარება..."**

**- რამდენად რეალურია ჩვენი განაცხადი იმ სიტუაციაში, როცა გერმანიამ და ჰოლანდიამ თავიანთი კანდიდატურები მოხსნეს? ამას გარდა, სტამბულში გამართულ შეხვედრაზე უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ ღიად დაუჭირა თურქეთს მხარი...**

- შანსი ყოველთვის არის! რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - დღეს გერმანიას შეუძლია ერთი თვის განმავლობაში უმასპინძლოს ევროპის ჩემპიონატსაც, ჩემპიონთა ლიგის ფინალსაც და მსოფლიო პირველობასაც კი. უეფასა და პლატინის პოლიტიკა კი ის არის, რომ ჩვენისთანა ქვეყნები განვითარდეს. ჩვენთან ხალხი უნდა დაუბრუნდეს სტადიონებს, აქ უნდა ჩატარდეს ლიგის ფინალები, მსოფლიოს ჩემპიონატები, ევროპის ჩემპიონატები, თორემ 50 000 კაცი გერმანიის სტადიონებზე ყოველ შაბათ-კვირას იკრიბება, ჩვენთან კი მხოლოდ ათასი, 2 ათასი კაცი მოდის *(ქართული ფეხბურთის მესაჭე პასუხს 2 ენაზე იძლეოდა, რუსულ ვარიანტში მან ჩვენი ჩემპიონატის მატჩებში დასწრების მაჩვენებელი 3 ათასამდე „გაზარდა" - რედ).* ჩვენი სურვილია და ასევე უეფასიც, რომ ხალხს შევაყვაროთ ფეხბურთი და მივცეთ მიზანი. ასევე ადამიანებს საქართველოსა და აზერბაიჯანში, რომლებსაც უყვართ ფეხბურთი, მივცეთ იმედი. სწორედ უეფას სურვილია ის, რომ ჩვენნაირ ქვეყნებში ამაღლდეს ფეხბურთის პოპულარობა-განვითარება. ასე რომ, ეს არის საკმაოდ რეალური შანსი!

**- სად გაიმართება ევროპის ჩემპიონატის ფინალი - აზერბაიჯანში თუ საქართველოში?**

- ჩვენთვის ამ ეტაპზე ეს საკითხი არ დგას დღის წესრიგში. ჯერ მნიშვნელოვანია, მოვიპოვოთ მასპინძლობის უფლება. და რატომ მხოლოდ ფინალი? გახსნითი მატჩი სად გაიმართოს? გახსნა ფინალზე ნაკლებ მნიშვნელოვანია? გასაგებია, ჟურნალისტებისთვის საინტერესოა ყველა დეტალი, თუ რა იქნება მომავალში, თუმცა დამერწმუნეთ, ამ ეტაპზე ორივე ქვეყნის ფედერაციისთვის მნიშვნელოვანია, გადავდგათ ნაბიჯები წინ. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ეს ათი დღე, თუ ვინ შევა სამუშაო ჯგუფში. აუცილებლად უნდა იყვნენ პროფესიონალები, რომლებიც გათვლიან ყველაფერს - უნდა შეიქმნას თილისმა, შესაბამისი სლოგანი, დადგინდეს მანძილები ქალაქებს შორის და ა. შ.

**- როგორც ცნობილია, საქართველომ და აზერბაიჯანმა თავიდან ერთობლივი განაცხადი გააკეთეს, შემდეგ მხოლოდ საქართველომ შეიტანა განაცხადი. ბოლო მომენტში ისევ ორივე ქვეყანა ერთობლივად აცხადებს პრეტენზიას. რამდენად შესაძლოა, ეს მომენტი ხელშემშლელი გამოდგეს?**

- გარწმუნებთ, რომ ეს არანაირად არ იქნება ხელშემშლელი! ჩვენ მზად გვქონდა ორივე განაცხადი. უბრალოდ, ცოტა კომუნიკაციის (?! - რედ.) პრობლემა იყო, რაც ჩვენი შიგა ჩემპიონატის პრობლემებმა გამოიწვია. მთელი ფედერაცია გადართული იყო ეროვნული ჩემპიონატის პრობლემებზე - იმავე მსაჯობასთან, გუნდებთან დაკავშირებით. ამიტომაც იყო მცირეოდენი გაურკვევლობა, თუმცა მინდა გითხრათ, რომ უეფაში შეტანილია ორი ქვეყნის მიერ პირველობის ერთობლივად გამართვის განაცხადი და ამ კუთხით არანაირი დაბრკოლება არ არსებობს.

**მათე ბურული**

ბათუმიდან

ავტორის ფოტო

U 21. ამხანაგური მატჩი

# ჩივაძის წარმატებული დებიუტი

## ოქრო გოლი ოქრიაშვილისგან

გუშინ მინსკში, "დინამო – იუნის" სტადიონზე **ალექსანდრე ჩივაძის** ხელმძღვანელობით საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა პირველი, ამხანაგური მატჩი ითამაშა ბელარუსის 20-წლამდელთა ნაკრებთან და 1:0 გაიმარჯვა. გოლი **თორნიკე ოქრიაშვილმა** გაიტანა მე-17 წუთზე.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან მანამდე ის ვიცოდით, რომ ჩვენი 21-წლამდელები ბელარუსის ასევე 21-წლამდელთა ნაკრებს ხვდებოდნენ და ცოტა არ იყოს, უცნაურია ასეთი უზუსტობა.

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა შემდეგი შემადგენლობით ითამაშა: ნადირაძე, ტვილდიანი, კობახიძე, კვერკველია, იოსელიანი, კვეკვესკირი, თარხნიშვილი (პარუნაშვილი 65), ჯილაური, ყენია (მარაშენიძე 46), ოქრიაშვილი (ჩაფიძე 46, ჯგერენაია 90+1), საბანაძე (კუკავა 56).



ალექსანდრე ჩივაძემ ნაკრებში საქმიანობა მოგებით დაიწყო

თამაშის შემდეგ მინსკში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელ **გელა ინალიშვილს** დავუკავშირდით:

- ორივე ტაიმი ჩვენი უპირატესობით წარიმართა, გოლი ასე გავიდა: შეტევა ლევან ყენიამ წამოიწყო, შემდეგ მარცხენა ფლანგზე ირაკლი ოქრიაშვილს გადააწოდა ბურთი, რომელმაც საჯარიმო მოედნის კუთხიდან დაბალი ბურთი გაიტანა შორეულ ძელთან.

რაც შეეხება ყენიას, ფიზიკურად ჯერ ვერ არის საუკეთესო ფორმაში და პირველი ტაიმის შემდეგ ამიტომაც შევცვალეთ. ბურთს კარგად აკონტროლებდა, მისი თამაშით ძალიან კმაყოფილი ვართ.

განლაგება ასეთი იყო – საყრდენებად ნიკა კვეკვესკირი და თორნიკე თარხნიშვილი ვათამაშეთ, გამოკვეთილი თავდამსხმელი ნიკა საბანაძე გახლდათ, ყენია მის უკან მოქმედებდა, ფლანგებზე – ჯაბა ჯიღაური და ოქრიაშვილი.

ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, მეორე ტაიმში ოთხჯერ შეგვეძლო გატანა, ჩინებული შანსი ჰქონდათ ლაშა ჩაფიძეს, კვეკვესკირს, კუკავას...

ბელარუსული პრესისთვის ჩივაძემ ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ბელარუსში წუხელ ჩამოვედი, საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებთან ვიყავი ხორვატიაში, საიდანაც ნახევარი გუნდი ჩამოვიყვანე აქ. საქართველოს 21-წლმდელთა ნაკრების მდგომარეობა ისეთია, რომ შესარჩევი ჯგუფიდან გასვლის თეორიული შანსი აღარ აქვს, ამიტომაც გათვლას 1992-93 წლებში დაბადებულებზე ვაკეთებთ. დავინახე, რომ ჩვენთან არცთუ ურიგო კონკურენცია იქნება."*

5 ივნისს ჩივაძის დამოძღვრილი გუნდი ტალინში ესტონეთის 21-წლამდელთა ნაკრებს გაეჯიბრება. ჩვენებს აქვთ იმის შანსი, რომ ჯგუფში უკეთეს ადგილზე გავიდნენ. გუშინ ჩვენს ჯგუფში ესტონეთმა შინ ესპანეთთან 0:1 წააგო, გოლი "მალაგას" თავდამსხმელმა **ისკომ** გაიტანა.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 21-2 | 21 |
| 2. შვეიცარია | 5 | 3 | 1 | 1 | 10-3 | 10 |
| 3.ხორვატია | 5 | 2 | 0 | 3 | 5-7 | 6 |
| 4. საქართველო | 5 | 1 | 0 | 4 | 3-15 | 3 |
| 5.ესტონეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 0-12 | 1 |

**ჯგუფის დარჩენილი მატჩები**

5 ივნისი. ესტონეთი - **საქართველო**
15 აგვისტო. **საქართველო** – ხორვატია
6 სექტემბერი. **საქართველო**-ესტონეთი
6 სექტემბერი. შვეიცარია – ესპანეთი
10 სექტემბერი. ესპანეთი – ხორვატია
10 სექტემბერი. შვეიცარია – ესტონეთი

**დავით თავართქილაძე**



თორნიკე ოქრიაშვილი (მარჯვნივ)

ლეგიონერი

# ალექსანდრე იაშვილი ბოხუმში ითამაშებს

## ბოხუმი ქართულად შეუტევს

"ბადიშე ნოიესტე ნახრიხტენის" (Badische Neueste Nachrichten) ინფორმაციით, "კარლსრუეს" ქართველი კაპიტანი **ალექსანდრე იაშვილი**, დიდი ალბათობით, კარიერას მეორე ბუნდესლიგის "ბოხუმში" გააგრძელებს, სადაც უკვე თამაშობს "ზესტაფონის" ყოფილი ფორვარდი **ნიკოლოზ გელაშვილი**. სწორედ იაშვილის რეკომენდაციით გადაწყვიტა გელაშვილმა "ბოხუმში" გადასვლა, ახლა კი ორივე ქართველ თავდამსხმელს მხარდამხარ მოუწევს თამაში.

"ბოხუმი" ალექსანდრე იაშვილის გადაბირებას აქტიურად ცდილობს და მოლაპარაკებასაც აწარმოებს 34 წლის თავდამსხმელთან", - იუწყება გამოცემა.


ალექსანდრე იაშვილი

თუ გერმანულ გამოცემას ვენდობით, იაშვილის "კარლსრუედან" წამოსვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. ალექსანდრე იაშვილი "კარლსრუეში" 2007 წლიდან თამაშობს და ამ გუნდის მაისურით 25 გოლი გაიტანა, მანამდე კი წლების განმავლობაში "ფრაიბურგის" ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. მოკლედ, დიდი შანსია, რომ ახალი სეზონიდან "ბოხუმის" თავდასხმის ხაზი იაშვილი-გელაშვილის ტანდემმა გააძლიეროს.

**მაგდა კლდიაშვილი**

U 19. ელიტრაუნდი. შეფასება

# ოთარ კორღალიძე ევროფინალი რეალური იყო


ოთარ კორღალიძე

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის VI ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა: მასპინძელ ხორვატიას ერთი ქულით ჩამორჩა. ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოთარ კორღალიძე მიიჩნევს, რომ ფინალურ ეტაპზე გასვლა რეალური იყო, ტიპურ ქართულ დარდიმანდობას რომ არ ეჩინა თავი:**

- ბოსნიას 4:2 მოვუგეთ და ბევრმა იფიქრა, რომ ეს სუსტი გუნდი იყო. ასე ნამდვილად არ ყოფილა, უბრალოდ, ჩვენებმა ისეთი მონდომებით ითამაშეს, მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს. მაგრამ ამ შეხვედრამ დათვური სამსახური გაგვიწია. ბიჭებმა თამაშს უდიდესი ენერგია შეალიეს და ძალების აღდგენა ვერ მოახერხეს.

გარდა ამისა, ჩვენს ბიჭებს მეტი პროფესიონალიზმი მოეთხოვებოდათ. ხორვატიაში ალექსანდრე ჩივაძე გვახლდა და პირველ შეხვედრამდე გაოცებული იყო, ასეთი რეჟიმისტი ქართველები დღემდე არ მინახავსო. ბიჭები ვარჯიშის შემდეგ სასტუმროს ნომრებიდან არ გამოდიოდნენ. შემეშინდა, თამაშებზე ამდენი ფიქრით არ გადამწვარიყვნენ და თავად ვთხოვე, ბიჭებო, გარეთაც გადით, ასე არ შეიძლება-მეთქი.

**- მაშინ, ხორვატიასთან რა მოხდა?**

- ბოსნიასთან მოგების შემდეგ ბიჭები ველარ ვიცანი, აღარ იგრძნობოდა მობილიზება, მათი სასტუმროს ნომრებში შეყვანა ჭირდა, კონცენტრირება ვერ მოახერხეს და ხორვატიასთან ამიტომ წავაგეთ. არადა, 25-ე წუთამდე უპირატესობას ვფლობდით, მაგრამ ისეთი ბურთი გავუშვით, რომელიც მეკარეს უნდა აელო. დათო ლეგაშვილი გაიზრდება და მჯერა, მაღალი დონის მეკარედ ჩამოყალიბდება. მაგრამ ფაქტია, რომ ასე მოხდა, მერე მეორე ბურთიც გავუშვით და გავტყდით. ბოლო მატჩში კარში ტყეშელაშვილი დავაყენეთ, რომელმაც ავსტრიელებთან რამდენჯერმე გადაგვარჩინა.

არადა, ხორვატიასთან მოგება შესაძლებელი იყო. შემიძლია თამამად გითხრათ, რომ მასპინძლებს ჩვენზე უკეთესი გუნდი არ ჰყავდათ - გუნდში საკმაოდ დიდი პოტენციალი დავინახე და არავისზე ნაკლებად არ გამოვიყურებოდით. ხორვატებზე მეტად ავსტრია მომეწონა. ამ ქვეყანაში წელიწად-ნახევარი ვითამაშე და ასეთი ლამაზი ფეხბურთი იქ არ მინახავს. ეს ნაკრები ისეთ აზრიან და კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობდა, ტაშის დაკვრა მომინდა.

**- აბა, ავსტრიას როგორ მოუგეთ?**

- კონცენტრაციისა და მონდომების ხარჯზე. გული მწყდება, პორტუგალიის ტურნირზე საფრანგეთს 3:0 მოვუგეთ, სერბეთს კი - 3:2 და ორივე ევროპის ჩემპიონატზე გავიდა: პირველმა ჯგუფში ჰოლანდია 6:0 გაანადგურა, სერბებმა კი გერმანელები ჩატოვეს. სულ ნაკრებმა ჩემი ხელმძღვანელობით 11 ოფიციალური და ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა, 7 მოვიგეთ, მხოლოდ ორი წავაგეთ, ისიც პორტუგალიასთან და ხორვატიასთან და ორიც ფრედ ვითამაშეთ.

**- თქვენ რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევდით?**

- პირველი შეხვედრა ყველამ უმაღლეს დონეზე ჩაატარა, შეხვედრის ბედი კი ლიდერებმა გადაწყვიტეს - სხირტლაძემ, ყაზაიშვილმა და ჭანტურიამ, დანარჩენებიც დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ. ხორვატიასთან კი ვერავინ ითამაშა, მასპინძლებმაც კარგად შეგვისწავლეს და გასაქანი არ მოგვცეს. მაგრამ ისიც არ შეიძლება, ყველასთან სამი კაცის მოტყუებას ცდილობდე.

**- ელიტ რაუნდამდე ახალგაზრდული ნაკრების სიაში იყვნენ ლეგაშვილი, სხირტლაძე, ყაზაიშვილი და ჭანტურია. მაგრამ ბოლო მომენტში ჩივაძემ ბელარუს-ესტონეთში გასამგზავრებელთა შორის ოთხივეს გვარი ამოშალა.**

- ტყუილად ფიქრობთ, რომ რამე დაამავეს. უბრალოდ, გადაიღალნენ. სხირტლაძემ 23 მაისს "ორჰუსში" 90 წუთი ითამაშა, 25 მაისს კი ბოსნიასთან იმდენი ირბინა, ყველა გაგვაოცა. ჭანტურია და ყაზაიშვილიც გამოფიტულები იყვნენ. ჭანტურიამ მითხრა, მაისში ბევრი ვითამაშე და ძალა აღარ შემრჩაო. თანაც, ბელარუსში შეხვედრის შემდეგ ბატონ საშას ახალგაზრდულიდან ორი ფეხბურთელი ისედაც უნდა გაეშვა და ასე აჯობებდა. ლეგაშვილმა კი დიდი სტრესი მიიღო და ამიტომ დაასვენა.

აქვე გიორგი ჭანტურიაზე უნდა ვთქვა: სანამ ნაკრებს ჩავიბარებდი, მასზე ათასი უსიამოვნო ხმა მესმოდა. ბევრი ნიჭიერი მოთამაშე მწვრთნელის არასწორი დამოკიდებულების გამო დაიკარგა. ნიჭიერი ფეხბურთელი კი განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებს. ამიტომ მე და ლევან ბარათაშვილი დაველაპარაკეთ. ალიარა, თავისებური მართლაც ვარო, მაგრამ გუნდის ამრევის არაფერი ეტყობა. პირიქით, ბიჭებს თავს ევლება და დამრჩა შთაბეჭდილება, მას თუ გასალები მოუძებნე და გვერდში დაიყენე, ათმაგი მონდომებით გიპასუხებს. რა თქმა უნდა, ზოგჯერ ზედმეტად ინდივიდუალისტია, როდესაც გუნდი აგებს, ემოციები სძალავს და მოედნიდან გაძევების საფრთხეს ქმნის. 19 წლის ბიჭი უნაკლო ვერც იქნება და გამოსასწორებელი ბევრი აქვს, მაგრამ ტალანტია და სწორი მიდგომით, ჩვენს ფეხბურთს აუცილებლად გამოადგება. ახლოს რომ გავიცანი, დავრწმუნდი, ნაკრები ასეთ პიროვნებებზე უნდა აშენდეს.

**- დასრულებული ციკლის შემდეგ ფედერაციამ თანამშრომლობის გაგრძელება შემოგთავაზათ?**

- ზვიად სიჭინავასთან ჯენტლმენური შეთანხმება მქონდა, გუნდი თუ არ შერცხვებოდა, შემდგომში სხვა ნაკრებში დამასაქმებდა. როგორ შეაფასებენ ჩვენს მუშაობას, ეს უკვე ფედერაციის საქმეა. ჯერ კი რა გითხრათ, თბილისში ამ დილით ჩამოვფრინდი.

**მერაბ მამულაშვილი**

# 1 კვირის 1000 ფეხბურთელი მონტე-კარლო

დავით თავართქილაძე

## ზღაპარი ცუდი ჟანრია

კარგი ამბავით ვერ ვიწყებ კვირის ორომტრიალზე წერას – **ლევან კობიაშვილს** ერთწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება.

"ლევან კობიაშვილი არის ყველაზე წესიერი ფეხბურთელი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ" – ეს კი ბერლინის "ჰერტას" თავკაცმა **ოტო რეჰაგელმა** თქვა. რეჰაგელი სახალხო კაცია, ის არ ჰგავს სხვა დიდ მწვრთნელებს, რომლებიც ძალიან ოფიციალურად იქცევიან და ნიჭიერების გამო ახირებები აქვთ. რეჰაგელიც თავისებურად ამბობს სათქმელს კობიაშვილზე, ის ჩვენებურს ძალიან აფასებს და ამას დამსახურება უნდა.

კობიაშვილს საქართველოშიც ასე იცნობენ. ის არასდროს ყოფილა ჩხუბისთავი და ამრევი, მოედანზე თუ მოედნის მიღმა სამაგალითო იყო. გერმანიამდე კობიაშვილს რუსეთშიც უთამაშია და იქაც არანაირ სკანდალებში არ გარეულა. ახლა კი მსაჯის ცემას აბრალებენ და დისკვალიფიკაციას უპირებენ.

კობიაშვილი მალე 35 წლის გახდება და თუ დისკვალიფიკაციას აპელაცია ვერ უშველის, ალბათ ფეხბურთელის კარიერასაც დაასრულებს. მთელი საფეხბურთო გზა წესიერ კაცად გიცნობენ და მერე ასე უნდა დასვა წერტილი – ვერ არის კარგი საქმე, მაგრამ ვინ იცის, იქნებ ყოველივე უკეთესობისკენ შეიცვალოს. ამის იოტისხელა შანსი მართლაც არსებობს.

ცხოვრება ხშირად უსამართლოა და უსამართლობების გარეშე მას აზრი ეკარგება. კობიაშვილის ჩარხიც თითქოს ასე დატრიალდა.

როგორც შევიტყვეთ, კობიაშვილი და **ალექსანდრე იაშვილი** ამ დროისთვის მონტე-კარლოში არიან დასასვენებლად. აქტიური დასვენება კარგი ნიადაგია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. თავისი გზა იაშვილსაც აქვს ასარჩევი – ისევ ფეხბურთელობა ან საფეხბურთო მენეჯერობა. მე მაინც მგონია, რომ იაშვილი ისევ მინდორს აირჩევს.

კობიაშვილმა და იაშვილმა თავისი გასაკეთებელი უკვე გააკეთეს და დასასრულიც ყველაფერს აქვს. მათ კიდევ შეუძლიათ ფეხბურთის თამაში, ოღონდაც წლებს თავისი მიაქვს...

■ ■ ■

საფეხბურთო კლუბ "ზესტაფონის" ვებ-გვერდმა ისეთი სტატია-განმარტება გამოაქვეყნა, ყურადღებას რომ იმსახურებს. კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა – ასეთია განმარტების სათაური. საქმე ეხება "ზესტაფონის" პრეზიდენტ **ილია კოკაიას** სკანდალურ განცხადებას "მერანი" – "მეტალურგის" მატჩის თაობაზე. თურმე პრესას არასწორი ინტერპრეტაცია გაუკეთებია, მეტიც, არასწორად მიუწოდებია კოკაიას განცხადება მკითხველისთვის.

ჟურნალისტიკაში სიზუსტე უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა ჟურნალისტიც ადამიანია და შეცდომა მასაც მოსდის. "ზესტაფონის" ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ განმარტებაში ვკითხულობთ: *რომ კლუბის პრეზიდენტი საუბრობს სწორედ საკუთარ ეჭვებსა და „საკუთარ რწმენაზე მის ხელთ არსებული ინფორმაციის უტყუარობის შესახებ" და არა იმაზე, რის თქმაც მას შემდგომში მიაწერეს. აქვე შეგახსენებთ, რომ წერილი, რომელშიც იმერული კლუბი აცნობს სფფ-ს ალმასკომის წევრებს თავის საფუძვლიანი ეჭვების წარმომავლობას, უკვე გაგზავნილია ფეხბურთის ფედერაციაში.*

■ ■ ■

რა თქმა უნდა, კლუბი საეჭვო თამაშების გამოძიებით ვერ დაკავდება, მაგრამ მხოლოდ ეჭვის დონეზე მჭექი განცხადებების გაკეთებაც ვერ იქნება სოლიდურობის მანიშნებელი. თავის დროზე **ული ჰიონესმა კრისტოფ დაუმზე** საჯაროდ თქვა, კოკაინს ყნოსავსო. სკანდალი აგორდა, დაუმი იძულებული გახდა, თმის ღერი ჩაებარებინა ნარკოლოგიური ექსპერტიზისთვის და ტესტი დადებითი აღმოჩნდა – დაუმს ნარკოტიკების მოხმარება დაუმტკიცდა. ყოველივე ეს ნამდვილი, ოღონდაც გერმანული ამბავია. იქ რომ კაცი რაღაცას იტყვის, მის სიტყვას ფასიც ადევს.

კოკაიამ "ზესტაფონის" ოფისში განცხადებები 17 მაისს გააკეთა, კლუბის ვებ-გვერდმა კი ამასთან დაკავშირებით განმარტება 31 მაისს გამოაქვეყნა. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ ჟურნალისტებმა ასეთი დიდი უზუსტობა ჩაიდინეს, კლუბმა მყის რატომ არ გააკეთა განმარტება?

ეს ამბავი ცუდად არ დამთავრდება. ბოლოს და ბოლოს, ზღაპრის ბოლო კეთილია, ოღონდაც ფეხბურთი ინტიმურად პოეტური ადამიანების საქმე არ არის და ასეთი ჟანრი უსარგებლოა.

ვაჟა სიმონიშვილის მეგობრული შარჟი



ქართული ფეხბურთი

● სპარტაკი. ინტერვიუ ვლადიმერ ხაჩიძესთან

# გულშემატკივარი რომ გვყოლოდა, არ დავქვეითდებოდით

## 16-გუნდიანი უმაღლესი ლიგისთვის მზად ვართ




**ცუდი სტარტი გასულ სეზონში, მწვრთნელის ცვლა, "ტორპედოსთან" სენსაციური გამარჯვებით დაწყებული 2012 წელი, ისევ ჩავარდნა და კარგი თამაში, ისევ დაკარგული ქულები და ზედიზედ მოგებული მატჩები, მაგრამ საბოლოოდ, პირველ ლიგაში დაქვეითება - ასეთი არასტაბილური იყო გასულ სეზონში ცხინვალის "სპარტაკის" ასპარეზობა. გუნდის მთავარ მწვრთნელ ვლადიმერ ხაჩიძეს, რომელიც გუშინ 61 წლის გახდა, განვლილ სეზონსა და სამომავლო გეგმებზე ველაპარაკეთ...**

- სეზონი ჩაგვივარდა და სამწუხაროდ, უმაღლესი ლიგის მიღმა აღმოვჩნდით. თვალის ერთი გადავლებით, განვლილ სეზონს უარყოფითად შევაფასებდი.

**- მაშინ, როცა "სპარტაკს" შედარებით შედეგიანი პერიოდი ჰქონდა, წარმოიდგენდით, რომ სეზონის ბოლოს გუნდი უმაღლესი ლიგის მიღმა დარჩებოდა?**

- "სპარტაკი" სექტემბრის შუა რიცხვებში ჩავიბარე და კლუბის ხელმძღვანელობასთან მაშინვე მქონდა საუბარი ახალი გუნდის ჩამოყალიბებაზე. როცა "სპარტაკის" მთავარი მწვრთნელი გავხდი, გუნდი აუტსაიდერთა შორის იყო და ისე არ იდგა საკითხი, რომ აუცილებლად მოწინავე რვა გუნდში უნდა მოვხვედრილიყავით. თუმცა დღესაც მიმაჩნია, რომ იმ გუნდით პლეი ოფში მოხვედრა შეიძლებოდა. ზამთარში, ფაქტობრივად, ახალი გუნდი გავაკეთეთ, 2012 წლის სასტარტო მატჩში ქუთაისის "ტორპედოსთან" კარგად ვითამაშეთ და მოვიგეთ. გადამწყვეტი მატჩი გორის "დილასთან" გვქონდა, 2:0-ს ვიგებდით, მაგრამ... ამ მატჩის მოსაგებად 3 წუთი დაგვაკლდა.

**- როგორ ფიქრობთ, მაინც რამ განაპირობა ის ფაქტი, რომ თქვენი გუნდი უმაღლეს ლიგაში აღარაა?**

- სასტარტო შემადგენლობის 6-7 ფეხბურთელს პირველად მოუწია უმაღლეს ლიგაში თამაშმა. ისინი პერსპექტიული მოთამაშეები არიან, მაგრამ გამოცდილებასთან ერთად, ფსიქოლოგიური მზადყოფნა, ხასიათის სიმტკიცე აკლდათ. ამას გარდა, ტრავმიანობამ ძალზედ გვაზარალა, ამის გამო არაერთი გამოცდილი ფეხბურთელი გამოგვაკლდა, ტრავმირებული ფეხბურთელების შეცვლა კი ვერ მოხერხდა. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა ის, რომ პლეი აუტის სასტარტო ტურში "გურიასთან" 2:0-ს ვიგებდით და საბოლოოდ, ფრეს დავჯერდით. შინ 2:1-ს ვუგებდით "ჩიხურას" და 2:3 წავაგეთ...

**- განვლილ სეზონში თქვენი გუნდის ასპარეზობის დადებით და უარყოფით მომენტებად რას გამოჰყოფდით?**

- უარყოფითი ცალსახად ისაა, რომ უმაღლესი ლიგა დავტოვეთ. დადებით ფაქტორად კი იმას დავასახელებ, რომ გუნდის რეორგანიზაცია დავიწყეთ და ჩვენი ფეხბურთელები ისევ გამოჩნდნენ სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებში. ჩვენი გუნდის ორი ფეხბურთელი ახალგაზრდულ ნაკრებშია, ორი მოთამაშე კი 19-წლამდელთა ნაკრების წევრია.

**- რომელ მატჩებს იხსენებთ ამაყად და რომელმა თამაშებმა დაგწყვიტათ გული?**

- გორის "დილასთან" პირველი ეტაპის დასკვნითი ტურის მატჩმა დამწყვიტა გული. ჩვენ გამარჯვებას ვიმსახურებდით, ანგარიშიც მიგვყავდა, მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელთა გამოუცდელობისა და მათი ფსიქოლოგიური მზადყოფნის არქონის გამო ეს თამაში სასურველი შედეგით ვერ დავასრულეთ... კარგი თამაშებიც იყო, მაგრამ ამას ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა. ჩვენ, ფაქტობრივად, ახალ გუნდს ვაშენებთ და ჯერ სტაბილურობა გვაკლია.

**- თუმცა ცუდი შედეგის მიუხედავად, "სპარტაკში" რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა, რომელთაც ახალგაზრდულ ნაკრებში მიწვევაც კი დაიმსახურეს. თუნდაც იგივე ლაშა ჩაფიძე, თეიმურაზ შარაშენიძე...**

- ჩაფიძისა და შარაშენიძის გარდა, თუხარელიც კარგად წარმოჩნდა და სხვებიც... კიდევ არაერთი ფეხბურთელი გამოჩნდებოდა და უმაღლეს ლიგაშიც ვიქნებოდით, გულშემატკივრის გარეშე რომ არ გვეთამაშა. გადახედეთ, განვლილი სეზონის წლევანდელ მატჩებს: პირველი ტაიმი თითქმის არსად წაგვიგია, მაგრამ ქომაგის არყოლის გამო, ეს ახალგაზრდა ფეხბურთელები კონცენტრაციას კარგავდნენ და საბოლოოდ, ზოგი მატჩი წავაგეთ და ზოგიც ფრედ ვითამაშეთ. სადმე რაიონში რომ გვეთამაშა და ჩვენი გულშემატკივარი გვყოლოდა, დასანან ქულებს არ დავკარგავდით. ამ ახალგაზრდა ფეხბურთელებისთვის ქომაგი დიდი ზურგი და მოტივაციაა. "ჩიხურა", ბათუმის "დინამო" და ბოლნისის "სიონი" უმაღლეს ლიგაში რომ არიან, ეს მნიშვნელოვანწილად მათი გულშემატკივრის დამსახურებაა.

**- გაამართლა თუ არა ჩემპიონატის იმ სისტემამ, რომელიც გასულ სეზონში იყო და თუ არა, რით ვერ გაამართლა?**

- ფაქტობრივად, გასულ სეზონში ორი ჩემპიონატი ვითამაშეთ და ორივეჯერ ერთი ქულა დაგვაკლდა უმაღლესში დასარჩენად. ზოგმა გუნდმა ვადაზე ადრე გაინაღდა პირველ ლიგაში ლიდერობა, მაგრამ ისევ იმავე დივიზიონში უწევს თამაში. ზოგს უმაღლესში თითზე ჩამოსათვლელი ქულა ჰქონდა, მაგრამ, პლეი აუტის შედეგად ისევ უმაღლესში დარჩა. ფაქტია, ამ სისტემამ არ გაამართლა და იმედია, ახალ სეზონში ბევრად უფრო დახვეწილი რეგლამენტი იქნება.

**- საკუთარი მომავალის შესახებ კლუბის ხელმძღვანელობას უკვე ესაუბრეთ?**

- როცა გუნდი ჩავიბარე, კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად სამწლიანი პროგრამა შევიმუშავეთ. რა თქმა უნდა, ამ გეგმაში გუნდის დაქვეითება არ შედიოდა... გუნდის გაახალგაზრდავებას შევუდექით და დღესაც მიმაჩნია, რომ სწორი გზით მივდიოდით. უმაღლესიდან გავარდნა, რა თქმა უნდა, უკან გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ჩვენ ფარ-ხმალს არ დავყრით და მომდევნო ნაბიჯებს წინ გადავდგამთ. კლუბის ხელმძღვანელობასთან უკვე მქონდა საუბარი, გუნდს არ დავტოვებ, გეგმით მუშაობას ვაგრძელებთ და იმ შეცდომებს, რაც გვქონდა, გამოვასწორებთ.

**- გავრცელებული ხმების მიხედვით, შესაძლოა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა გაიზარდოს. ამასთან დაკავშირებით რა ინფორმაციას ფლობთ?**

- ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ უმაღლესი ლიგიდან გავვარდით - მერწმუნეთ, თუ ჩვენი ფეხბურთის წინსვლა და განვითარება გვინდა, ამისთვის 12-გუნდიანი უმაღლესი ლიგა არ გამოგვადგება. ახალგაზრდა ფეხბურთელებს თავის წარმოჩენის შანსი თუ არ მივეცით, ხვალ ეს დონეც აღარ გვექნება. მით უმეტეს, წინა წლებთან შედარებით მოედნები კეთდება და ეს მისასალმებელი ფაქტია. ეს ახალგაზრდა ფეხბურთელები სწორედ ძლიერ გუნდებთან მატჩებში უნდა გაიზარდონ. დღეს თავისუფლად შეიძლება, უმაღლეს ლიგაში 16 გუნდი იყოს. მიმაჩნია, რომ ამისთვის მზად ვართ.

**- პირველ ლიგაში ასპარეზობას ახალგაზრდული გუნდით აპირებთ, თუ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი მაინც გეყოლებათ?**

- პირველი ლიგიდან უმაღლესში დაბრუნება გვინდა და ამ მიზნისთვის ბრძოლაში ახალგაზრდა ფეხბურთელებიც გვჭირდება და გამოცდილებიც.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონერი

# უკრაინის საუკეთესო მწვრთნელი: კობახიძე არ დაგვავიწყდეს

**2007 წელს დნეპროპეტროვსკის "დნიპრომ" სანდრო კობახიძის ტრანსფერში თბილისის "დინამოს" 800 ათასი დოლარი გადაუხადა. გაჩნდა იმედი, რომ ამ ხმაურიანი გარიგების გმირი უკრაინის ჩემპიონატშიც გამოიჩენდა თავს. მაგრამ ასე არ მოხდა: "დნიპროსა" და კრივოი როგის "კრივბასში" საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი აშკარად ჩაიკარგა.**

თუმცა, კიევის "არსენალის" მთავარი მწვრთნელი **ლეონიდ კუჩუკი** ერთადერთი მწვრთნელი აღმოჩნდა უკრაინაში, ვინც ამ ქვეყნისთვის უცხო სტილით მოთამაშე ქართველი აათამაშა და საუკეთესო თვისებები გამოავლენინა. კუჩუკმა **სანდრო კობახიძის** ფასი ყველას აჩვენა – 24 წლის ქართველმა ნახევარმცველმა სეზონი საუკეთესოდ ჩაატარა, 7 გოლი გაიტანა და მნიშვნელოვნად განაპირობა კიევის "არსენალის" წარმატება. შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს "არსენალი" ევროპის ლიგაზე ითამაშებს. სანდრო არაერთხელ მოხვდა უკრაინის პრემიერლიგის სიმბოლურ ნაკრებში, აპრილში კი ცნობილმა რუსულმა გამოცემამ "სპორტ-ექსპრესმა" პოსტსაბჭოეთის საუკეთესო მოთამაშეთა შორის მე-6 ადგილზე დაასახელა.

უკრაინაში სეზონის დასრულების შემდეგ კიევის "არსენალის" დამრიგებელი საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს – კუჩუკმა ქვეყნის ჩემპიონ დონეცკის "შახტარის" თავკაცს **მირჩა ლუჩესკუს** გაასწრო, რადგან უკრაინელთა შეფასებით, კლუბის პროგრესი თვალშისაცემია.

უკრაინულ "სპორტ-ექსპრესთან" მიცემულ ინტერვიუში კუჩუკმა გუნდის ლიდერებზე ილაპარაკა, სანდრო კი განსაკუთრებით გამოარჩია: *"ჩვენ შეტევაში გამოკვეთილი ლიდერი არ გვყავდა. ეს როლი ცალკეულ მატჩებში სხვადასხვა მოთამაშეებმა შეასრულეს – სიმონეკომ, შაცკიხმა, ფლორესკუმ, კოვპაკმა. მაგრამ არ დაგვავიწყდეს სანდრო კობახიძე. ის თავისებური მოთამაშეა, რომელიც იმპულსურად და აგრესიულად მოქმედებს. ჩანდა, რომ სანდრო საკუთარი პროფესიული უნარის დამტკიცებას ცდილობდა".*

**მერაბ მამულაშვილი**



სანდრო კობახიძე

● ჩვენებურები

# ქართული გოლი უკრაინის ნაკრებში



თემურ ფარცვანია (მარცხნივ)

ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მე-2 ჯგუფში უკრაინის ნაკრებმა ჯგუფის ლიდერ შვეციას უმასპინძლა და 6:0 გაანადგურა.

გამარჯვებაში თავისი წილი დაიდო ცენტრალურმა მცველმა **თემურ ფარცვანიამ.** ზუგდიდელმა ახალგაზრდამ შეუცვლელად ითამაშა, 89-ე წუთზე კი კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი დაბალ კუთხეში ზუსტად გაგზავნა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

6-გუნდიან ჯგუფში უკრაინელები 5 შეხვედრის შემდეგ 8 ქულით მე-4 ადგილზე არიან და შვედებს და სლოვენიას ხუთი ქულით ჩამორჩებიან.

უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრები კი, სადაც **ირაკლი მესხია** თამაშობს, ელიტ რაუნდის ჯგუფში ჩარჩა – ბოლო ტურში პორტუგალიასთან 0:3 დამარცხდა და 6 ქულით მე-2 ადგილს დასჯერდა. წინა ორი შეხვედრისგან განსხვავებით, მესხიას ამჯერად აღარ უთამაშია.

**მერაბ მამულაშვილი**

● ტრანსფერი

# ტორპედომ ტულუში დაიმაგა

ფოთის "კოლხეთის" თავდამსხმელი **ბექა ტულუში** კარიერას ქუთაისის "ტორპედოში" გააგრძელებს.

22 წლის ფეხბურთელს უკრაინის პრემიერლიგის კლუბებში, ლვოვის "კარპატსა" და უჟგოროდის "ზაკარპატიეში" გადასვლას სთავაზობდნენ, მაგრამ საბოლოოდ ქუთაისელთა სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო.

"ეს ამბავი შემიძლია დაგიდასტუროთ, ბექა ტულუშმა დღეს ჩვენთან კონტრაქტი 2+1 სისტემით გააფორმა" – გვითხრა "ტორპედოს" აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგი პაპიაშვილმა.**

ქუთათურთა ახალწვეულმა კარიერა თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლის გუნდში დაიწყო. 2010-2011 წლებში კი ფინეთში თამაშობდა: ჯერ პირველი დივიზიონის „კოტკეპეეში", 2011 წლის ზაფხულიდან - „პკ-35"-ში, შარშან კი ფოთის „კოლხეთში" ჩაირიცხა, სადაც გასულ სეზონში 17 მატჩში 3 გოლი გაიტანა.

ამავე დროს, პაპიაშვილის ინფორმაციით, ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე თავდამსხმელ **ლაშა კემუხტაშვილთან** კონტრაქტი გაწყვიტეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ევრო 2012 საფრანგეთის ნაკრები

# სადებიუტო შამათი

## ...მაგრამ მოულოდნელი ტრავმა

**საფრანგეთი–სერბეთი 2:0**

**საფრანგეთი:** ლორისი, მექსესი (რამი 72), რევეიერი, კოშელნი, კაბაი (მარტენი 61), რიბერი (ჟირუ 62), ნასრი, მალუდა (ბენ არფა 77), მ'ვილა (დიარა 7), ბენზემა (მენეზი 62)

**სერბეთი:** ბრკიჩი, ნინკოვი, რაიკოვიჩი, ივანოვიჩი, მაქსიმოვიჩი, მლადენოვიჩი (კოლაროვი 60), იანკოვიჩი (ლაზოვიჩი 76), ფეისა (რადოვანოვიჩი 60), მატიჩი (მიაილოვიჩი 61), ტადიჩი (ტომიჩი 80), შეპოვიჩი

**გოლები:** 1:0 რიბერი (11), 2:0 მალუდა (16)

ისლანდიასთან მატჩის დებიუტი ფრანგებმა ძალიან ცუდად ჩაატარეს და კუნძულელებს პირველ ტაიმში 2-ბურთიანი ფორის შექმნის საშუალება მისცეს. საბოლოოდ თამაში (3:2) მაინც მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. სერბეთთან შეხვედრაში **ლორან ბლანმა** სასტარტო შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები შეიტანა და გუნდმა პირველივე წუთებზე მოახერხა ისლანდიასთან შედარებით უფრო ძლიერი მეტოქის ნოკაუტში გაგზავნა. თუმცა გოლებამდე მნიშვნელოვანი ის მოხდა, რომ **იან მ'ვილამ** უკვე მე-5 წუთზე მიიღო სერიოზული ტრავმა. ის შესაცვლელი შეიქნა. მე-16 წუთისთვის საფრანგეთი **ფრანკ რიბერისა** და **ფლორან მალუდას** გოლებით უკვე 2:0-ს იგებდა. ანგარიში "ბაიერნის" ვარსკვლავმა გახსნა. მან მარცხენა ფლანგზე რამდენიმე მეტოქე "დაიფრინა" და **გაელ კლიშის** გადააწოდა, ვინც ბურთი საჯარიმოში შეაგდო, **ჟელკო ბრკიჩმა** კი პირდაპირ რიბერის მიმართულებით მოიგერია, ვისთვისაც ახლო მანძილიდან გატანა პრობლემა უკვე აღარ იყო. ამ მომენტში **სლობოდან რაიკოვიჩის** თავგანწირული ნახტომი ამაო გამოდგა. 5 წუთში **ანტონი რევეიერმა** სერბებს ბურთი საკუთარ საჯარიმოსთან მოჰპარა და მალუდას გადააწოდა. უკანასკნელმა შორეული, ძლიერი დარტყმით ისე გაიტანა, რომ მისთვის წინააღმდეგობის გაწევა არავის უფიქრია. ტაიმის მიწურულამდე მასპინძლებს 3-4 გოლის გატანა კიდევ მართებდათ, მაგრამ დამაგვირგვინებელ ფაზაში კონცენტრაცია არ ჰყოფნიდათ. მეორე ნახევარში ტემპი საკმაოდ დაეცა, თუმცა მატჩის ბოლომდე უპირატესობას ისევ ფრანგები ფლობდნენ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგების წაუგებელმა სერიამ 20 თამაშს უწია. *"ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ ბოლომდე მზად. ფაქტია, ბოლო 15 წუთის განმავლობაში უკვე ძალიან გვიჭირდა, თუმცა არა უშავს, ინგლისთან მატჩამდე ჯერ კიდევ დიდი დროა. იმედი მაქვს, რომ იან მ'ვილა პირველ ტურამდე ტრავმას მოიშუშებს. გეტყვით, რომ ჯერჯერობით განაცხადიდან მის ამოშლას არ ვაპირებ,"* – განაცხადა ბლანმა. ბლანისგან განსხვავებით, პესიმისტურად არის განწყობილი ნაკრების ექიმი **ფაბრის ბრიანი**, ვინც ჟურნალისტებს შემდეგი რამ განუცხადა: *"იანს მოტეხილობა ნამდვილად არ აქვს და ეს მამშვიდებს, მაგრამ დღეს ვერ გეტყვით შეძლებს თუ არა ის ჩემპიონატზე თამაშს. სამედიცინო გამოკვლევას ჩავუტარებთ და პასუხს მხოლოდ ამის მერე მოგახსენებთ".*


ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმებს ეჭვი ეპარებათ, რომ იან მ'ვილა ჩემპიონატზე თამაშს შეძლებს

ევრო 2012 ინგლისის ნაკრები

# მეორე დიდი დანაკლისი

## ჰოჯსონს აშკარად ბედი არ სწყალობს

ნორვეგიის ნაკრებთან გამარჯვება **როი ჰოჯსონს** ძალიან ძვირი დაუჯდა. ინგლისს ზეგამოცდილი საყრდენი ნახევარმცველი **გარეთ ბერი** დაუშავდა. "სიტის" ვარსკვლავი ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩა. ორიოდე დღის მერე კი გულშემატკივარმა კიდევ ერთი შემაშფოთებელი ამბავი შეიტყო. გუნდს უკვე **ფრენკ ლემპარდიც** დააკლდა. 33 წლის შუახაზელმა ვარჯიშზე წვივი დაიზიანა. ექიმებმა თავიდანვე თქვეს, რომ ფეხბურთელს კუნთი ჰქონდა გაწყვეტილი. კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ მათი დიაგნოზი დაადასტურა. *"გუნდისთვის ეს უზარმაზარი დარტყმაა. ექიმებმა განაცხადეს, რომ ფრენკი ნამდვილად ვერ შეძლებდა ჯგუფურ ეტაპზე გუნდის დახმარებას, რაც უკვე ნიშნავდა იმას, რომ ნაკრებში მისი შემცვლელი უნდა მიგვეწვია. გული მწყდება ყველაზე მეტად იმიტომ, რომ ლემპარდი ფანტასტიკურ ფორმაში იყო და მოუთმენლად ელოდა ტურნირის დაწყებას. მან საკვალიფიკაციო ეტაპზეც განუზომელი წვლილი შეიტანა გუნდის წარმატებაში,"* – განაცხადა ჰოჯსონმა. ექიმებმა დააზუსტეს, რომ ლემპარდი არათუ ჯგუფური ეტაპის მატჩებში, გუნდის დახმარებას ფინალშიც ვერ შეძლებდა, ნაკრებს იქამდე რომ მიეღწია, რადგან მას მინიმუმ ერთი თვე მოუწევს უქმად ყოფნა.

აღსანიშნავია ისიც, რომ რაკი ლემპარდი ნაკრების საბოლოო განაცხადში იყო, ინგლისის ნაკრების ექიმების გარდა ის უეფას წარმომადგენლებმაც გასინჯეს. ჰოჯსონს მხოლოდ ამის მერე მიეცა უფლება ლემპარდის შემცვლელად განაცხადში **ჯონათან ჰენდერსონი** შეეყვანა. დაბოლოს, გეტყვით, რომ ლემპარდს ინგლისის ნაკრებში 90 მატჩში 23 გოლი აქვს გატანილი, 2002 წლიდან მოყოლებული კი მან ყველა დიდ ტურნირზე ითამაშა, ბუნებრივია 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის გარდა, სადაც ინგლისმა თავად ვერ შეძლო გაღწევა.



რონ ჰოჯსონს ფრენკ ლემპარდი ძალიან დააკლდება

ამბები

### ფრანგები უკრაინაში არ ჩავლენ

მოგეხსენებათ, უკრაინასა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობაა. პოლიტიკაზე წერა ჩვენი გაზეთის საქმე არ არის. თემა კიდევ იქიდან გაგვახსენდა, რომ საფრანგეთის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა **ფრანსუა ოლანდმა** ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობისას უკრაინაში ჩასვლა კატეგორიულად იუარა. გადაწყვეტილება საფრანგეთის სპორტის მინისტრმა **ვალერი ფურნეირონმა** საფრანგეთისა და სერბეთის ნაკრებების ამხანაგური მატჩის დაწყებამდე გაახმოვანა. *"ასე იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ შეშფოთებულები ვართ ევროპული ღირებულებებისადმი უკრაინის მთავრობის დამოკიდებულებით. ლაპარაკია ექსპრემიერ იულია ტიმოშენკოს საქმეზე. ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ უკვე ვაცნობეთ უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინისა და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას. საგარეო საქმეთა სამინისტრო კი ამის შესახებ ოფიციალურად აცნობებს უკრაინის მთავრობას,"* – განაცხადა "ეკიპთან" ინტერვიუში ქალბატონმა მინისტრმა.

### ინგლისელებს ჩემპიონატი არ აინტერესებთ

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ოფიციალურად განაცხადა, რომ უეფას მიერ მისთვის გამოყოფილი ბილეთების კვოტიდან (საფრანგეთსა და უკრაინასთან 7,5 ათასი, შვედეთთან 9 ათასი) ნახევრის გაყიდვაც კი ვერ მოახერხა და იძულებულია, ისინი უკან დააბრუნოს. ამ თამაშებზე მაქსიმუმ 3 ათასი ინგლისელი თუ იქნება. ბუნებრივია, უეფა ბილეთებს უახლოეს დღეებშივე თავისუფალ გაყიდვაში გაუშვებს. *"იმას, რომ ბილეთები ასე ცოტა გაიყიდა, თავისი ახსნა აქვს. პირველ რიგში, ლონდონიდან კიევში ჩაფრენა ძალიან ძვირი ჯდება. ამას გარდა, უკრაინაში ქალაქიდან ქალაქში დიდ მანძილებზე მოგზაურობა მგზავრობას კიდევ უფრო აძვირებს. უკრაინაში სასტუმროების ფასები წარმოუდგენლად გაზრდილია. თანაც გაითვალისწინეთ, რომ ეს არ არის ის ქვეყანა, სადაც შეგიძლია ზღვაზე ნებივრად დაისვენო, როგორც ეს მაგალითად ალგავრეში (პორტუგალიის საზღვაო კურორტი. რედ) იყო, სადაც შეიძლებოდა, ზღვის ნაპირას წამოწოლილიყავი დღის განმავლობაში. ბუნებრივად ჩნდება შეკითხვა, რა უნდა გააკეთოს ინგლისელმა ადამიანმა იმ დღეებში, როცა ჩვენი ნაკრები არ თამაშობს,"* – აცხადებს საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენელი **კევინ მაილსი**.

### სტუმრებს სპეცრაზმელები დაიცავენ

ევროპის ჩემპიონატის მიმდინარეობისას უკრაინაში ჩასულ საპატიო სტუმრებს საჭიროების შემთხვევაში კვალიფიციურ პირად მცველებს მიამაგრებენ, - აღნიშნულ ინფორმაციას უკრაინული ვებგვერდები შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლის განცხადებაზე დაყრდნობით წერენ. თანაც ლაპარაკია არა ჩვეულებრივ მილიციელებზე ან დაცვის სამსახურის რიგით წარმომადგენლებზე, არამედ მილიციის სპეცდანიშნულების რაზმ "ტიტანის" მებრძოლებზე.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ჩელსი

# ლურჯების მეორე სუპერშენაძენი

## სანამ სხვები ისვენებენ, აბრამოვიჩმა აზარს ჰალკი მიამატა

სულ რაღაც 4 დღის წინ გაირკვა, რომ **ედენ აზარი** მომდევნო წლებს "ჩელსიში" გაატარებს, "ლილი" კი თავის ვარსკვლავში 40,15 მილიონ ევროს მიიღებს. ლონდონელთა ფანებს ჯერ ეს ამბავი არ ჰქონდათ ბოლომდე გაცნობიერებული, რომ "გარდიანის" მტკიცებით, "სტემფორდ ბრიჯზევე" გააგრძელებს კარიერას პორტუგალი **ჰალკი**. კლუბს მისი შეძენა 38-40 მილიონი ფუნტი (47,15-49,58 მილიონი ევრო) დაუჯდება. მართალია, მხარეებს ჯერ ხელი არაფერზე მოუწერიათ, მაგრამ ცხადია, რომ შესათანხმებელი მხოლოდ ფორმალობებიღა დარჩა. "ლურჯების" სკაუტები თავდამსხმელს მთელი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ. პირველ ეტაპზე "პორტუ" უარს აცხადებდა ბრაზილიელის გაყიდვაზე, უფრო სწორად, უარს კი არ ამბობდა, 123 მილიონ ევროს ითხოვდა. გასაგები იყო, რომ ამ თანხას არავინ გადაიხდიდა. როცა საქმე საქმეზე მიდგა, "ჩელსის" წარმომადგენლებმა ადეკვატური ფასის დასახელება მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ისინი მოლაპარაკებებს წყვეტდნენ. "პორტუში" მიხვდნენ, რომ რეალურ ციფრებზე უნდა ელაპარაკათ. საბოლოოდ რა გამოვიდა, თავად ხედავთ. ცნობილი იყო, რომ "პორტუს" 25 წლის ლეგიონერის ყიდვას მახაჩყალის "ანჟიც" ცდილობდა და ჰალკს ასტრონომიულ ხელფასს, წელიწადში 12 მილიონ ევროს სთავაზობდა, მაგრამ რუსეთში კარიერის გაგრძელება სამხრეთამერიკელმა არ ისურვა, "ანჟის" მან ტრადიციები და ამბიციურობა დაუწუნა. იმავე "გარდიანის" მტკიცებით, ამ ზაფხულს ეს არ იქნება "ჩელსის" ბოლო შენაძენი.



ჩელსიმ პორტუდან ჰალკი შეიძინა

რეინჯერსი

# ახალი სანქციები

## გაჭირვებულ რეინჯერსს ქვა ალმართში დაეწია

ედინბურგის სამოქალაქო სასამართლომ გააუქმა შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციის გადაწყვეტილება "რეინჯერსისთვის" ერთწლიანი სატრანსფერო აკრძალვის დაკისრების შესახებ. ასოციაციამ ზედა ინსტანციაში გასაჩივრებაზე უარი თქვა. სამაგიეროდ, გლაზგოური კლუბის საქმე შიდა სტრუქტურებში განსახილველად დააბრუნა და კლუბის წინააღმდეგ ახალი სანქციების დაკისრებისთვის ზრუნვა დაიწყო. მოგეხსენებათ, ფიფა საფეხბურთო კლუბებს უკრძალავს (რამდენად სამართლიანია ეს აკრძალვა, სხვა თემაა) სამოქალაქო სასამართლოებისთვის მიმართვას და იქ საფეხბურთო დავების გადაწყვეტას. ამას შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციის წესდებაც კრძალავს, დამრღვევისთვის კი მაქსიმუმ 100 ათას ფუნტიან ჯარიმას, შოტლანდიის თასის გათამაშებიდან მოკვეთას ან უკიდურეს შემთხვევაში, ასოციაციის წევრობის შეწყვეტას ითვალისწინებს. *"ფეხბურთი ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოებში უნდა ჯდებოდეს, თუმცა ჩვენ ფაქტის კონსტატაციას ვახდენთ, რომ "რეინჯერსმა", კლუბმა, რომელიც ჩვენი ასოციაციის წევრია, მიმართა ისეთ ნაბიჯს, რომელსაც შეუძლია მას მომავალში სერიოზული ზიანი მოუტანოს. მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილების სამოქალაქო სასამართლოს გზით გაუქმება კი სწორედ ამას ნიშნავს. მოსამართლის გადაწყვეტილებას ვემორჩილებით და აპელაციის უფლებით მხოლოდ იმიტომ არ ვსარგებლობთ, რომ ამით უეფასა და ფიფას მოთხოვნებთან თავად არ მოვიდეთ წინააღმდეგობაში. საქმეს განსახილველად ასოციაციის ტრიბუნალს გადავცემთ, რომელიც "რეინჯერსის" წინააღმდეგ სანქციებს დააწესებს. როდის შედგება ამ საქმის განხილვა, პრესას უახლოეს დღეებში შევატყობინებთ,"* – განაცხადა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **სტიუარტ რიგანმა**.





სტიუარტ რიგანი რეინჯერსს სერიოზულად ემუქრება

ლივერპული

# განსაკუთრებული II?

## მოურინიომ როჯერსი აქო და აქო



ბრენდან როჯერსი ენფილდზე უკვე წარადგინეს

"ლივერპულის" ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ბრენდან როჯერსმა** თავის დროზე "ჩელსიში" **ჟოზე მოურინიოსთან** ერთად მუშაობისას სერიოზული გამოცდილება შეიძინა. შეიძლება ითქვას, რომ მათი გუნდების თამაშის სტილი ერთმანეთს ძალიან ჰგავს, მაგრამ თავად "განსაკუთრებული კაცის" თქმით, მსგავსება ამით არ ამოიწურება. *"როცა "ჩელსიში" ვმუშაობდი, როჯერსი ჩემი ასისტენტი იყო. უნდა აღვნიშნო, რომ ის ბრწყინვალე სპეციალისტია. თანაც ახალგაზრდაა, იდეებით სავსეა და ტაქტიკაში საინტერესო მიგნებები აქვს. ასე რომ, ის ისეთივე განსაკუთრებულია, როგორიც მე. მოხარული ვარ, რომ დიდ კლუბში დაინიშნა. "სუონსიში" ნაჩვენები შედეგით მან ეს დაიმსახურა,"* – განაცხადა მოურინიომ "სანთან" საუბრისას.

აი, რა თქვა პრეზენტაციაზე თავად როჯერსმა: *"მინდა მადლობა გადავუხადო ჯონ ჰენრისა და ტომ ვერნერს იმ შანსისთვის, რაც მომცეს. მოხარული ვარ, რომ ასეთ დიდ კლუბს გავწვრთნი. მოუთმენლად ველოდები, როდის ვიგრძნობ თავს აქაური სტრუქტურის ნაწილად. პირობას გაძლევთ, რომ "ლივერპულს" ჩემს ცხოვრებას მივუძღვნი და მის პრინციპებს გავიზიარებ როგორც მოედანზე, ისე მის ფარგლებს გარეთ".* სიტყვა წარმოთქვა "ლივერპულის" უმთავრესმა მეწილე **ჯონ ჰენრიმ**: *"ლივერპულში" დიდი გეგმები გვაქვს. როჯერსის დანიშვნა მთავარ მწვრთნელად უზარმაზარი ნაბიჯია გუნდის შენების გზაზე, რომელსაც წლების განმავლობაში შეეძლება გულშემატკივართა გახარება. ბრენდანის საფეხბურთო ფილოსოფია იდეალურად ერგება იმ ადამიანებს, რომლებიც კლუბში არიან შეკრებილნი ან მას უახლოეს დღეებში შეუერთდებიან. გარწმუნებთ, რომ ის ჩვენს სიაში თავიდანვე ნომერი პირველი კანდიდატურა იყო. მისგან სასწაულებს არავინ ელის და არც სხვებს ვურჩევთ, რომ ეს მოითხოვონ. დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენ მიერ დასახულ გზაზე უშეცდომოდ სიარულის შემთხვევაში აუცილებლად გავხდებით ჩემპიონები".*

უკვე ცნობილი გახდა, თუ რა ფუნქციები დაეკისრება ახალ თავკაცს. მისი მთავარი საზრუნავი პირველი გუნდი იქნება, მაგრამ მთლიანად ახალ საფეხბურთო სისტემაშიც ექნება თავისი როლი. სისტემას კი ახალი სპორტული დირექტორი უხელმძღვანელებს. რა პრინციპებზე აიგება ახალი სქემა "ლივერპულში", ამას მხოლოდ მას შემდეგ შევიტყობთ, რაც კლუბი ამ თანამდებობაზე ახალ ადამიანს დანიშნავს.

ამბები

### ლიგის თასის ახალი სახელი

ინგლისის ლიგის თასს ახალი სპონსორი გამოუჩნდა. ამიერიდან მას Capital One Cup დაერქმევა. 2003 წლიდან მას ქარლინგის თასის (Carling Cup) სახელით იცნობდნენ. *"ლიგის თასისთვის ახალი სპონსორის მოძებნა საფეხბურთო სეზონის მშვენიერი დასასრულია. იმედს ვიტოვებთ, რომ კომპანია "კეპიტალთან" თანამშრომლობა ტურნირს განვითარების ახალ იმპულსს მისცემს და იმაშიც დარწმუნებულები ვართ, რომ მომავალში არაერთ თვალსასეირო ფინალს ვიხილავთ,"* - განაცხადა პრემიერლიგის კომერციულმა დირექტორმა **რიჩარდ ჰასელგრეივმა**.

### ლივერპული ენფილდზე რჩება

"ლივერპულის" ბოსებმა საბოლოო თქვეს უარი "სტენლი პარკის" მშენებლობაზე. ეს ნიშნავს, რომ მერსისაიდული კლუბი "ენფილდზე" რჩება. უარის მიზეზი პროექტისთვის საჭირო ფინანსების არქონაა. უხეში გათვლებით, კლუბს ახალი სტადიონის აშენება მილიარდ ევრომდე დაუჯდებოდა, 45 ათასიანი "ენფილდისთვის" ერთი იარუსის დასაშენებლად კი 300 მილიონამდე დასჭირდება. როგორც "გარდიანი" წერს, **ჯონ ჰენრისა** და **ტომ ვერნერს** ამ ზაფხულზევე სურთ სამუშაოების დაწყება. ოღონდ იქამდე მათ სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები რამდენიმე ასეული ოჯახისთვის მოუწევთ ახალი ბინების შეძენა, რადგან კიდევ იარუსის დასადგმელად მათი ამჟამინდელი კორპუსების დანგრევაა საჭირო.

### ქუინზ პარკში გაფიცვაა

მიუხედავად პრემიერლიგის 38-ე ტურში დამარცხებისა, "ქუინზ პარკი" ჩემპიონშიპში დაქვეითებას გადაურჩა, მაგრამ ლონდონელთა ბანაკში ყველაფერი რიგზე ნამდვილად არ არის. "ლონდონ ივნინგ სტანდარტის" ცნობით, **მარკ ჰიუზის** შეგირდებს შორის სერიოზული დაპირისპირებაა. ცენტრალურმა ნახევარმცველმა **ადელ ტაარაბტმა ჯოი ბარტონთან** ერთად ვარჯიშზე კატეგორიული უარი განაცხადა. ასე რომ, კლუბი დილემის წინაშე დგას, ერთი მხრივ მიზერული შანსი აქვს, რომ 29 წლის სკანდალისტი ბარტონი რომელიმე კლუბს მიყიდოს, მეორე მხრივ კი 23 წლის მაროკოელთან გამოთხოვებაც არ სურს. როგორც ჩანს, კლუბს მაინც მოუწევს ამ ნაბიჯის გადადგმა, რადგან ტაარაბტის ხელშეკრულებას ვადა 2013 წლის ივნისში გასდის. მას კი ახალი ხელშეკრულების გაგონებაც არ უნდა. ტაარაბტის შეძენას შარშან მთელი ზაფხულის განმავლობაში ცდილობდა "პარი სენ-ჟერმენი". პარიზელთა სპორტული დირექტორი **ლეონარდო** არც ახლა უნდა იყოს მისადმი გულგრილი.

### შმეიხელი იუნაიტედს უბრუნდება

"მანჩესტერ იუნაიტედს" ლეგენდარული **პეტერ შმეიხელი** უბრუნდება, - ინფორმაცია ვეტერანმა თავად დაადასტურა "ტვიტერის" გვერდზე. შმეიხელი მანჩესტერელთა ელჩი გახდება. "ეშმაკებში" ანალოგიური პოსტები უჭირავთ **ბრაიან რობსონსა** და **გარი ნევილს**. "დეილი მეილის" ვარაუდით, 48 წლის ლეგენდა შეიძლება მთავარი გუნდის სამწვრთნელო შტაბის წევრიც გახდეს. გამოცემა მას მეკარეთა მწვრთნელ **ერიკ სტილის** თანაშემწეობას უწინასწარმეტყველებს. **ალექს ფერგიუსონის** ხელმძღვანელობით შმეიხელმა პრემიერლიგა ხუთჯერ მოიგო, ამას გარდა სამჯერ იმარჯვა ინგლისის თასზე და რაც მთავარია, 1999 წელს ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი გახდა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



პეტერ შმეიხელი

ევრო 2012 ირლანდიის ნაკრები



ორშაბათს დამიენ დაფი ეროვნულ გუნდში მე-100-ედ ითამაშებს

# ტრაპატონიმ უკვე იცის

## ასიანი დაფი გვპირდება: გაგაოცებთ!

ირლანდიის ნაკრები აგრძელებს ევრო 2012-ის ფინალური ეტაპისთვის მზადებას. გუნდში კარგი განწყობაა, რადგან ტრავმები აღარავის აწუხებს. ორი დღეა, სხვებთან ერთად ვარჯიში განაახლეს **ჯონ ოშიმ** და **შეი გივენმა**. ისინი უკვე 100 პროცენტით მზად არიან მომავალი ბატალიებისთვის.

მეტიც, ირლანდიელთა გამოცდილ იტალიელ თავკაც **ჯოვანი ტრაპატონის** უკვე შემზადებული ჰყავს ის 11-ეული, რომელიც პოზნანში ხორვატიის ნაკრების წინააღმდეგ თამაშს დაიწყებს. ტრაპატონიმ განაცხადა, რომ ეს საკითხი 90%-ით გარკვეულია.

იტალიელმა გუნდი ორ ნაწილად გაყო, პირველში ზუსტად ის ფეხბურთელები მოხვდნენ, რომელთაც ტრაპატონი ძირითად შემადგენლობაში უპირებს დაყენებას. ამიტომ უინტერესო არ იქნება, თუკი მათ ჩამოვთვლით. კარში შეი გივენი, დაცვაში ჯონ ოში, **რიჩარდ დანი, შონ სენტ ლედჯერი** და **სტივენ უორდი**. შუახაზში **დამიენ დაფი, კეიტ ენდრიუზი, გლენ უელანი** და **ეიდენ მაკგიდი**. წინ **კევინ დოილი** და ნაკრების კაპიტანი **რობი კინი**.

ტრაპატონის ასისტენტმა, წარსულში ცნობილმა იტალიელმა ფეხბურთელმა **მარკო ტარდელიმ** თქვა: „ფეხბურთელები ახლა მოშვებულნი არიან, ძირითადად ისვენებენ. მაგრამ, როგორც კი უნგრეთში ჩავალთ ყველაფერი შეიცვლება. უნგრელებთან თამაში ყველაზე სერიოზული გამოცდაა პოზნანის მატჩის წინ და ჩვენ მას სერიოზულად მივუდგებით".

ორშაბათს უნგრეთთან ამხანაგური მატჩი 33 წლის დამიენ დაფისთვის საერთაშორისო კარიერაში მე-100 იქნება და ის უეფას ასიანთა კლუბს შეუერთდება (სადაც მხოლოდ ერთი ქართველია - **ლევან კობიაშვილი**). დაფი ამბობს, რომ ამაყობს თავისი მიღწევით: „სიმართლე გითხრათ, არასოდეს მიფიქრია, რომ 100 მატჩს ვითამაშებდი ეროვნულ ნაკრებში. მაგრამ ეს ისეთი მიღწევაა, რომლითაც ცხოვრების ბოლომდე ვიამაყებ. თუმცა გუნდი მაინც უპირველესია - მირჩევნია, რაც შეიძლება მეტი ქულა დავაგროვოთ ჯგუფურ ეტაპზე და წარმატებული ევრო 2012 გვქონდეს", - განაცხადა ირლანდიელთა ერთ-ერთმა ლიდერმა.

სხვათა შორის, დაფი და კომპანია ევროპის ჩემპიონატს მართლაც ამაღლებულ განწყობაზე ხვდება - თითქმის ორი წელიწადია, ირლანდიის ნაკრებისთვის არავის მოუგია. დაფი 2002 წლის მუნდიალის ვეტერანია, სადაც ირლანდიის ნაკრები მერვედფინალში გავიდა. „ირლანდიის ნაკრები ყოველთვის კარგად თამაშობს მსხვილ ტურნირებში, ნებისმიერ ასაკში. გავიხსენოთ 1997 წლის მსოფლიოს თასი 20-წლამდელთა შორის, სადაც ნახევარფინალში გავედით, ამისთვის კი რამდენიმე სენსაცია მოვახდინეთ. ერთი წლის მერე რობი კინმა და რიჩი დანმა ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატი მოიგეს. ასე რომ, ჩვენი წარმატება არავის გაუკვირდეს", - აცხადებს დამიენ დაფი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ევრო 2012 დანიის ნაკრები

# ვინ იქნება ნომერი პირველი?

## ანდერსენი, ლინდეგორი თუ შმეიხელი

დღეს დანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის წინ ბოლო რეპეტიცია აქვს - ამხანაგური მატჩი ავსტრალიის წინააღმდეგ. სხვათა შორის, დანიელებმა ავსტრალიელებთან სპარინგი 2010 წლის მუნდიალის წინაც გამართეს. მაშინ დანიამ 0:1 წააგო, რაც მეკარე **სტეფან ანდერსენისა** და **დანიელ აგერის** შეუთანხმებელი თამაშის ბრალი იყო, რითაც კარგად ისარგებლა ჯოშუა კენედიმ. ანდერსენი იმედოვნებს, რომ ასეთი რამ აღარ განმეორდება - მას ხომ დანიის ნაკრების პირველი ნომრის, **თომას სორენსენის** შეცვლა მოუწევს. სორენსენი რამდენიმე დღის წინათ დააკლდა გუნდს, მის ნაცვლად მორტენ ოლსენმა პეტერ შმეიხელის შვილი კასპერ შმეიხელი აიყვანა, მაგრამ, ბუნებრივია, გამოუცდელი შმეიხელი ვერ იქნება გუნდის მთავარი მეკარე, ეს მისია ანდერსენმა უნდა იტვირთოს.

თავის მხრივ, ანდერსენს სერიოზული კონკურენტი ჰყავს - „მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე **ანდერს ლინდეგორი**, რომელიც კლუბში კარგა ხანს უწევდა კონკურენციას **დავიდ დე ხეას**. მაგრამ ბოლოსკენ დანიელმა ესპანელთან ბრძოლა წააგო და კარგად ესმის, რომ ახლა გაუჭირდება მთავარი მეკარის სტატუსის მოპოვება: „იმისთვის, რომ თამაში დავიმსახურო, ვარჯიშებზე კარგად კი არა, საუკეთესოდ უნდა გამოვიჩინო თავი. კონკურენტებს ერთი თავით უნდა ვჯობდე, რადგან მე დიდი ხანია არ მაქვს სათამაშო პრაქტიკა და ეს დიდი მინუსია. საერთო ჯამში, დარწმუნებული ვარ, ევროზე ის ითამაშებს, ვინც ფორმის პიკში იქნება", - განაცხადა ლინდეგორმა.

დანიის ნაკრების იმ შემადგენლობიდან, რომელმაც ორი წლის წინათ ავსტრალიასთან ითამაშა, მხოლოდ 6 ფეხბურთელიღაა ნაკრებში: ანდერსენი, აგერი, ლარს იაკობსენი, კრისტიან პოულსენი, თომას კალენბერგი და კრისტიან ერიქსენი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დანიის ნაკრები

ევრო 2012 ესპანეთის ნაკრები

# გამოთხოვება სამშობლოსთან

## არაგონესი: ევროს ესპანეთი მოიგებს

ხვალ სევილიაში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ესპანეთის ნაკრები საკუთარ გულშემატკივარს დაემშვიდობება - ჩინეთის ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრება. როგორც იქნა, **ვისენტე დელ ბოსკეს** განკარგულებაში არიან „ბარსელონას" და „ბილბაოს" ფეხბურთელები, რომელთაც კოპა დელ რეის ფინალის შემდეგ მწვრთნელმა დასვენების საშუალება მისცა. გუნდიდან წავიდნენ დაწუნებული ფეხბურთელები, რომლებიც ვერ მოხვდნენ 23-კაციან განაცხადში.

ამასობაში „მარკას" ინტერვიუ მისცა **დავიდ ვილიამ**, ესპანეთის ნაკრების ყველა დროის გოლეადორმა, რომელმაც განაცხადა, რომ ესპანეთი უმისოდაც დიდი ძალა ექნება ევროპის ჩემპიონატზე: „ესპანეთი კი არ მოისაკლისებს ვილიას ამ ტურნირზე, არამედ ვილია - ესპანეთს", - განაცხადა „ელ გუახემ".

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის ტრიუმფატორი ლუის არაგონესი დარწმუნებულია, რომ ევრო 2012-საც ესპანეთი მოიგებს. „ის ფეხბურთი, რომელსაც დღევანდელი ნაკრები თამაშობს, ჩემი იდეით დაიბადა, მაგრამ ცხოვრებაში ამ ფეხბურთელებმა განახორციელეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მენტალიტეტის შეცვლა. ეს კი ჩემი კაპიტნების, კასილიასის, პუიოლისა და ჩავის უდიდესი დამსახურებაა", - განაცხადა არაგონესმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მალაგა

# კასანო და რობინიო მალაგაში

„მალაგას" სამწვრთნელო შტაბი ცდილობს „მილანიდან" ორი ფორვარდი გადაიბიროს - ანტონიო კასანო და რობინიო. მართალია, ანდალუსიელებს ჯერ ოფიციალური შეთავაზებით არ მიუმართავთ იტალიელებისთვის, მაგრამ ყველაფერი აქეთკენ მიდის. რობინიო „მილანში" 2010 წლიდანაა, კასანო - 2011-დან. ბრაზილიელი წელიწადში 6 მილიონ ევროს იღებს, კასანო - 3 მილიონს. შეგახსენებთ, რომ მანუელ პელეგრინის „მალაგამ" ლა ლიგაში მე-4 ადგილი დაიკავა და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა. ამიტომაც, ანდალუსიაში გუნდის გაძლიერებას აპირებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბარსელონა

# აბიდალი შეიძლება დაბრუნდეს

**ხუან კარლოს გარსია ვალდეკასასი** ის სპეციალისტია, რომელმაც „ბარსელონას" ფრანგ მცველ **ერიკ აბიდალს** გაუკეთა ღვიძლის გადანერგვის ოპერაცია. ახლა ექიმი აცხადებს, რომ 32 წლის ფეხბურთელს აქვს შანსი საყვარელ საქმეს დაუბრუნდეს. „დრო გვაჩვენებს, რა როგორ იქნება, მაგრამ ყველაფერი მასზეა დამოკიდებული - თუ დაბრუნებას გადაწყვეტს, მე არ გავაჩერებ. თუკი ერიკის ორგანიზმი განაგრძობს ახალი ორგანოს კარგ აღქმას, მე უბრალოდ არ მრჩება მიზეზი, მას ფეხბურთის თამაში დავუშალო. ღვიძლი ისეთი ორგანოა, რომელიც 3 თვის განმავლობაში თვითრეგულაციას მოახდენს, აბიდალმა უნდა მოუმატოს დატვირთვებს ნელ-ნელა. მაგრამ როცა 6 თვეზე მეტი გავა ოპერაციიდან, შესაძლოა, წელიწადიც, პაციენტს შეუძლია ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდეს. თავად ერიკი კი ძალიან მაგარი ბიჭია, მუდამ ოპტიმისტი და მებრძოლი ხასიათისა. უბრალოდ, საოცარია, როცა მას ვუყურებ და მახსენდება, რა გადაიტანა - ერთხელაც კი არ დაუჩივლია", - თქვა აბიდალის ექიმმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი



ბურაქ ილმაზი შეიძლება დორტმუნდში გადავიდეს

# დორტმუნდი თურქ გოლეადორს უმიზნებს!

## ბურაქ ილმაზი პირადად იურგენ კლოპის ფავორიტია

რამდენიმე დღის წინ ვწერდით, რომ გერმანიის ჩემპიონსა და თასის მფლობელ დორტმუნდის „ბორუსიას" „შტუტგარტის" ახალგაზრდა თავდამსხმელის, **იულიან შიბერის** გადაბირება უნდა, მაგრამ ვესტფალიელებსა და შვაბებს შორის მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. „ბილდის" ცნობით, შტუტგარტი 23 წლის წინახაზელის სანაცვლოდ 7 მილიონ ევროს ითხოვს, დორტმუნდელები კი მხოლოდ 4.5 მილიონის გადახდაზე არიან ყაბულს. ამან კი ის გამოიწვია, რომ „ბორუსიამ" შიბერის ალტერნატივის ძებნა დაიწყო.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ინფორმაციით, „დორტმუნდის" თავკაც **იურგენ კლოპს** ძალიან მოსწონს „ტრაბზონსპორის" გოლეადორი **ბურაქ ილმაზი**, რომელიც თურქეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და თურქეთის ნაკრებშიც შეუცვლელი ფიგურაა. თურქული მედიის ცნობით, „ბორუსიას" ხელმძღვანელთა დელეგაცია ტრაბზონში იმყოფებოდა და 26 წლის ილმაზის თაობაზე პირველი მოლაპარაკებები გაიმართა.

„ბილდის" ცნობით, ილმაზი პირადად კლოპის ფავორიტია – პირველ რიგში იმის გამო, რომ გასული სეზონის 34 მატჩში 33 გოლი გაიტანა. ბურაქი დორტმუნდელთათვის იმის გამოცაა საინტერესო, რომ „ტრაბზონსპორთან" გაფორმებულ კონტრაქტში (2015 წლამდე) ჩადებული პუნქტის თანახმად, მას ამ ზაფხულს სხვა კლუბში გადასვლა სულ რაღაც 5 მილიონ ევროდ შეუძლია.

გუშინ „დორტმუნდის" მენეჯერმა **მიხაელ ცორკმა** ბურაქ ილმაზით დაინტერესება არ უარყო და არც დაადასტურა, ის კი თქვა, რომ ამ თავდამსხმელს კარგად იცნობს და ძალიან აფასებს.

### ფელიპე სანტანა რჩება

**პატრიკ ოვომოიელასთან** და **მიტჩელ ლანგერაკთან** ახალი კონტრაქტების გაფორმების შემდეგ, გუნდში რჩება ბრაზილიელი ცენტრალური მცველი **ფელიპე სანტანაც**, რომელიც არცისე კმაყოფილი იყო იმით, რომ კლოპი იშვიათად ათამაშებს ხოლმე. სანტანა მაღალი კლასის მცველია, მაგრამ ძირითადი შემადგენლობიდან ვერც **ნევენ სუბოტიჩის** ამოგდებას ახერხებს და, მით უმეტეს, ვერც **მატს ჰუმელსისა**. სწორედ ამიტომ ფიქრობდა 26 წლის ბრაზილიელი კლუბის გამოცვლაზე და მას არც მთხოვნელები აკლდა, მაგრამ გუშინ გაირკვა და ოფიციალურად დადასტურდა, რომ სანტანა „ბორუსიაში" რჩება. მან გერმანიის ჩემპიონთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომელსაც ვადა 2014 წლამდე აქვს. ცნობილია, რომ მისი გადაბირება „ვოლფსბურგს", „ლევერკუზენს" და მიონხენგლადბახის „ბორუსიას" უნდოდათ.

ფელიპე სანტანა „დორტმუნდში" 2008 წელს, „ფიგერენსედან" გადავიდა და მას მერე „ბორუსიას" ფორმა ბუნდესლიგაში 74-ჯერ მოირგო (5 გოლი). გასულ სეზონში კლოპმა ბრაზილიელი სასტარტო შემადგენლობაში ათჯერ ათამაშა.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალჩოპოლი 2

# პრანდელი: თუ საჭიროა, ევროპაზე არ ვითამაშებთ

## ბუფონი ბრალდებამ აღაშფოთა

ᲒᲐᲠᲘᲒᲔᲑᲣᲚ მატჩებთან დაკავშირებული სკანდალი ძალაში შედის და ყოველდღიურად ახალ-ახალი ინფორმაციები ვრცელდება. სამართალდამცავი ორგანოები **ჯანლუიჯი ბუფონს** გადასწვდნენ და ქვეყნის ნომერი პირველი კიპერის სახლი გაჩხრიკეს. გავრცელდა ცნობა, რომ ჯიჯი ტოტალიზატორის აქტიური მომხმარებელია და წლების განმავლობაში, ფსონებს ფარულად დებდა... კულუარული ინფორმაციით, ბუფონს დაახლოებით 1.5 მილიონი ევრო აქვს მოგებული და ამ თანხების დიდი ნაწილი სწორედ "იუვენტუსის" თამაშების შედეგად აქვს მოგებული. ჯერჯერობით, ჯიჯი არ დაუკითხავთ და ეჭვმიტანილის სტატუსი არ აქვს, მაგრამ სახლი რომ გაუჩხრიკეს, ეს მის მიმართ გაჩენილი ეჭვების ნათელი დადასტურებაა. ბუფონმა ამ თემაზე საგანგებო ბრიფინგი გამართა და შემდეგი განაცხადა:

*"იტალიურ ფეხბურთში რომ ბევრი სიბინძურე ხდება, ეს გასაგებია და კორუფციასთან რომ ბრძოლაა საჭირო, ესეც ცხადზე ცხადია... მაგრამ, ის, რაც ბოლო დღეებში ხდება, ყველანაირ საზღვარს სცილდება. სახლი ისე გამიჩხრიკეს, რომ ჩემთვის არაფერი უთქვამთ და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს კანონის ფარგლებში ჯდება, ძალიან ცდება. ამბობენ, რომ 1.5 მილიონი ევრო მაქვს ტოტალიზატორზე თამაშის გზით მოგებული, მაგრამ ეს იმდენად დიდი სისულელეა, რომ არაფრის ახსნას არ ვაპირებ. გავიგე, "ლეჩესთან" შეხვედრაში შეცდომა მხოლოდ იმიტომ დავუშვი, რომ ფსონი ფრეზე მქონდა გაკეთებული... ვინც ასე ფიქრობს, ფსიქიკასთან სერიოზული პრობლემები აქვს და ჯობია, რომ იმკურნალოს. საერთოდ, კარგი იქნება, თუ სამართალდამცავი ორგანოები უდანაშაულობის პრეზუმფციას დაიცავენ და იქამდე არ გაუტეხენ ადამიანს სახელს, ვიდრე მისი დანაშაული დამტკიცდება. დომენიკო კრიშიტომ მისი ეჭვმიტანილად გამოცხადების შესახებ პრესის მეშვეობით გაიგო და საბოლოოდ, შეკრების დატოვება მოუხდა. არადა, დარწმუნებული ვარ, რომ დომენიკო უდანაშაულოა – ეს მალე დამტკიცდება, მაგრამ დროს ხომ უკან ველარ დავაბრუნებთ; კრიშიტო ევროპის ჩემპიონატს ტოვებს და ვინ იქნება შემდეგ ამაზე პასუხისმგებელი? – იმედია, სამომავლოდ მაინც, მოვეკიდებით ადამიანების ღირსებას მეტი სიფრთხილით".*



ჯანლუიჯი ბუფონი




ჩეზარე პრანდელი

### მინუს ქულები

გარიგებულ მატჩებთან დაკავშირებული სკანდალი, ანუ "კალჩოპოლი 2" მრავალი მიმართულებით ვითარდება და ყველაფრის დეტალურად აღწერა-გაშუქება ფაქტობრივად შეუძლებელია. ამიტომ ხშირად ფაქტების კონსტატაცია გვიწევს და ამჯერადაც ანალოგიურად უნდა მოვიქცეთ... მოკლედ, სერია A-ს 2012/2013 წლების სეზონს "ატალანტა" მინუს 2 ქულით დაიწყებს, რადგან გამოძიების მსვლელობისას ბერგამოულ კლუბს ახალი ბრალეულობები დაუმტკიცდა; შეგახსენებთ, რომ "ატალანტამ" განვლილი სეზონი მინუს ექვსი ქულით დაიწყო და მაშინ, გუნდის კაპიტანი **კრისტიანო დონი** 2 წლით დააპატიმრეს. ამჯერად, ბერგამოელებს მხოლოდ ორი ქულა ჩამოაკლდებათ, მაგრამ გამოძიება გრძელდება და ვინ იცის, იქნებ ექვსიც გახდეს და მეტიც...

დაისაჯნენ სერია B-ს გუნდებიც: "ასკოლი" მინუს ერთი ქულით დაიწყებს ახალ სეზონს, "მოდენას" ორი ქულა ექნება ამოსაქაჩი, "გროსეტოს" კი სულაც ექვსი. ამბობენ, რომ ქულების დაკლების პროცესი გაგრძელდება და არც ისაა გამორიცხული, რომელიმე, ან რამდენიმე გუნდმა რანგით დაბალ დივიზიონში ამოყოს თავი.

### პრანდელის სენსაციური განცხადება

გუშინ, გვიან საღამოს კი **ჩეზარე პრანდელიმ** სრულიად საფეხბურთო იტალია დაზაფრა; მისი თქმით, თუ საჭირო გახდა, მზადაა, გუნდი მოხსნას ევროპის ჩემპიონატიდან – უმჯობესია, სიტყვა თავად ჩეზარეს გადავცეთ:

*"ძალიან კარგად ვიცი, რომ მთელი ქვეყანა ევროპის ჩემპიონატს ელოდება, მაგრამ არის რაღაცები, რაც ყველაფერზე მაღლა უნდა დავაყენოთ. თუ, კი ეს იტალიურ ფეხბურთს წაადგება, მზად ვართ, მოვხსნათ ჩვენი გუნდი გათამაშებიდან. ეს დიდი დარტყმა იქნება ჩემთვის, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, ამ მსხვერპლზეც წავალ. თუმცა, დღესდღეობით ასე არ დგას საკითხი და ჩვეულებრივად ვაგრძელებთ სამზადისს. ამასთან, მინდა კიდევ ერთხელ დავუჭირო მხარი კორუფციასთან ბრძოლას და ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ყველა იმ მოთამაშეს მოვკვეთ ნაკრებიდან, რომლებსაც დანაშაული დაუმტკიცდებათ. ჯანლუიჯი ბუფონი? – ის ბრწყინვალე ადამიანია, რომელიც სამაგალითოდ მიმაჩნია არა მარტო მოედანზე, მის მიღმაც. ვერაფრით დავიჯერებ, რომ ბუფონმა თამაშების გარიგებაში მიიღო მონაწილეობა და ფსონებს აკეთებდა საკუთარი გუნდის საწინააღმდეგოდ, ან გნებავთ სასარგებლოდ. დარწმუნებული ვარ, ჯიჯის უდანაშაულობა მალე დამტკიცდება".*

● იუვენტუსი

# ტურინელთა ახალი სამიზნე

ᲒᲐᲜᲕᲚᲘᲚᲘ სეზონი **მატია დესტროსთვის** წარმატებული გამოდგა და სწორედ ამად იყო, რომ იტალიის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვდა. მართალია, 21 წლის თავდამსხმელი ევროპის ჩემპიონატზე ვერ იასპარეზებს, მაგრამ მისი 32-კაციან განაცხადში მოხვედრაც აბსოლუტურად ყველასთვის მოულოდნელობა გახლდათ. აქვე ვთქვათ, რომ დესტრომ "სიენას" შემადგენლობაში 30 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა. გოლები იქით იყოს და, მატია მოედნის შესანიშნავი ხედვით, პასით და ტექნიკით გამოირჩევა. სწორედ ამიტომ მის მიმართ იტალიური ფეხბურთის გრანდები იჩენენ ინტერესს, მათ შორის ტურინის "იუვენტუსი".

"კორიერე დელო სპორტის" ცნობით, "ვეკია სენიორას" სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** ამ დღეებში "ჯენოასა" და "სიენას" მესვეურებს შეხვდება, რათა დესტროს ტრანსფერზე ჩამოუგდოს სიტყვა. "ჯენოა" შემთხვევით არ გვიხსენებია, გენუელებს მატიას სატრანსფერო უფლებების ნახევარი ეკუთვნით და შესაბამისად, მათ გარეშე გარიგება ვერ შედგება. მაროტას თქმით, ეს ვითარებას ოდნავ ართულებს:

*"დესტრო ძალიან კარგი თავდამსხმელია და დიდი სურვილი გვაქვს, რომ მასთან ხელშეკრულება გავაფორმოთ. მიზნის მიღწევა იოლი არ იქნება, რადგან მოლაპარაკებაში სამი მხარეა ჩართული, თუმცა პირადად მე, მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ჩემი ინფორმაციით, თავად მატიას "იუვეში" სურს კარიერის გაგრძელება, რაც დიდი პლუსია ჩვენთვის. ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა".*

მატია დესტროს გადაბირება "ინტერის" მესვეურებსაც სურთ და მათ უკვე გამოთქვეს მზადყოფნა, ახალგაზრდა ფორვარდში შვიდი მილიონი ევრო გადაიხადონ; ცნობისთვის, ეს ის შვიდი მილიონია, რომელსაც მილანური გრანდი **გორან პანდევის** "ნაპოლიზე" მიყიდვით აილებს – თუმცა, "ინტერმა" ამ წინადადებაზე უარი მიიღო, რაც "იუვენტუსისთვის" გზამკვლევი უნდა გახდეს – რადგან "ინტერმა" მტკიცე უარი მიიღო, ეს იმას ნიშნავს, რომ დესტროს მსურველ კლუბს მინიმუმ 15 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს.




მატია დესტრო

● ინტერი

# მაიკონი ალბათ წავა

## მორატი ლუკასში 19 მილიონს იხდის

**ᲓᲣᲒᲚᲐᲡ ᲛᲐᲘᲙᲝᲜᲡ** ყოველ ზაფხულს უწინასწარმეტყველებენ "ინტერიდან" აბარგებას, მაგრამ ბოლო მომენტში, ის მაინც მილანურ გრანდში რჩება. თუმცა, როგორც იტალიელი ჟურნალისტები ამბობენ, ამჯერად მისი მილანიდან აბარგება ისეთი რეალურია, როგორიც არასდროს. საქმე იმაშია, რომ 30 წლის მაიკონს მილანურ გრანდთან ხელშეკრულება მომდევნო ზაფხულს ეწურება და თუ წელს არ გაყიდეს, შემდეგ მასში ცენტსაც ველარ აიღებენ. არადა, მაიკონი "ინტერთან" ხელშეკრულების გახანგრძლივებას არ აპირებს და ასაკიც ისეთი აქვს, ფასიც რომ მალე დაუვარდება. მოკლედ, მილანელები მისი სარფიანად გასხვისების წინააღმდეგნი არ არიან და ამაზე კლუბის სპორტული დირექტორი, **მარკო ბრანკა** საუბრობს:

*"მაიკონი წლების განმავლობაში შეუცვლელი ფიგურა იყო "ინტერში", მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და არ გამოვრიცხავ, რომ ამ ზაფხულს გუნდის გამოცვლა მოუწიოს. დღეს, კონკრეტიკისგან თავს შევიკავებ, მაგრამ იმას კი გეტყვით, რომ მისით ერთი გუნდი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს და მოლაპარაკებები ფაქტობრივად დაწყებულია... თუ დუგლასი დაგვტოვებს, მაშინ მისი შემცვლელის მოძებნა იქნება საჭირო და ბუნებრივია, რომ არც ამაზე დავიხევთ უკან".*

იტალიელი ჟურნალისტები მაიკონის პირად აგენტს შეეხმიანენ და გამოარკვიეს, რომ ის განსაკუთრებულად დაინტერესებული კლუბი ფრანგული პსჟ-ა – მოვუსმინოთ აგენტს: "დუგლასის გადაბირება პსჟ-ს სურს და ვიცი, რომ მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია. ფრანგები "ინტერს" სოლიდურ თანხას სთავაზობენ და დიდია ალბათობა, შეთანხმება შედგეს. პსჟ ძლიერი გუნდია და როგორც ვიცი, არც თავად დუგლასია წინააღმდეგი კარიერა საფრანგეთში გააგრძელოს".

ამასობაში, "ინტერის" მესვეურები გამთამაშებლის ძებნას განაგრძობენ, რადგან დიდია შანსი, **ვესლი სნეიდერი** პრემიერლიგის რომელიმე გრანდში გადაბარგდეს. მოლაპარაკებს შემცვლელი სჭირდება და ამად არის, რომ **მასიმო მორატიმ ლუკას მოროს** გადაბირება დაისახა მიზნად... ახალგაზრდა ბრაზილიელმა "სან პაულოში" ასპარეზობით გაითქვა სახელი და მისი პერსონით ევროპული ფეხბურთის გრანდები დააინტერესა; მაგალითად, **ჟოზე მოურინიოს** ძალიან უნდა ლუკასის გადაბირება და ამ თემაზე "რეალის" მესვეურებთან დალაპარაკებას აპირებს. სანამ ჟოზე ბოსებს შეხვდება, მორატიმ მოასწრო და ბრაზილიურ კლუბს ტალანტის სანაცვლოდ 19 მილიონი ევრო შესთავაზა – პასუხი ჯერჯერობით არ მიულია, მაგრამ როგორც ვარაუდობენ, უარყოფითი იქნება. როდესაც "რეალიდან" ელოდები წინადადებას, 19 მილიონზე მყისვე დათანხმება მართლაც სისულელეა და ამიტომ, სენიორ მორატის გვარიანი შრომა მოუწევს ლუკასის გადასაბირებლად.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**




დუგლას მაიკონი პსჟ-ს სურს

ევრო 2012 გერმანიის ნაკრები

# გერმანია ვერ დაფრინავს და ნერვიულობს

## ლიოვმა გომესი გააკრიტიკა და ალბათ კლოზეს მიენდობა

**გერმანია–ისრაელი 2:0**

**გერმანია (4-2-3-1):** ნოიერი – ბოატენგი, მერტეზაკერი, ბადშტუბერი, ლამი – ხედირა (67. ლ. ბენდერი), კროოსი (86. გიოტცე) – თ. მიულერი (83. როისი), იოზილი, პოდოლსკი (67. შიურლე) – გომესი (67. კლოზე).
**ისრაელი (4-2-3-1):** ჰაროში – შპუნგინი, ტიბი, ბენ ჰაიმი, გერშონი – ნაჩო (73. ბიტონი), იადინი (86. ტზედეკი) – ბენაიუნი (46. ვერმუთი), ზაჰავი (67. შაჰარი), მელიკსონი (46. რეფაელოვი) – შეხტერი (46. დამარი).
**გოლები:** 1:0 გომესი (40), 2:0 შიურლე (82)
**მაყურებელი:** 43 241

გერმანიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელ პერიოდში ბოლო ტესტმატჩი კი მოიგო, მაგრამ საფეხბურთო გერმანია ისრაელთან 2:0-ით ალფრთოვანებული არ დარჩა. ცხადია, მიზეზი ის არის, რომ გერმანელებმა ისევ ვერ აჩვენეს საუცხოო ფეხბურთი, ფიფას რეიტინგში 58-ე ადგილზე მყოფი ნაკრების დამარცხება კი, ისიც ულამაზო ფეხბურთით, დიდი ვერაფერი მიღწევაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბუნდესგუნდმა წელს



მარიო გომესმა გერმანიის ნაკრების ფორმით 22-ე გოლი გაიტანა

სამი მატჩი ჩაატარა და აქედან მხოლოდ ერთი, სწორედ ეს შეხვედრა მოიგო. გერმანიაში კი უკვე სერიოზულად შიშობენ, რომ ასეთ ფორმაში მყოფ ბუნდესნაკრებს სიკვდილის ჯგუფიდან (გერმანია, ჰოლანდია, პორტუგალია, დანია) გასვლა შეიძლება გაუჭირდეს.

### ორი კარგი გოლი და მეტი არაფერი

ლაიპციგში გამართული მატჩის ბედი ორმა თვალსასეირო გოლმა გადაწყვიტა: ანგარიში **მარიო გომესმა** ათი მეტრიდან, მოხდენილი დარტყმით გახსნა, მატჩის მიწურულს კი **ანდრე შიურლემ** ისრაელის ნაკრების კარი სულაც 20 მეტრიდან დალაშქრა. ეს იყო და ეს – სხვამხრივ გერმანელებს მოედანზე ხეირიანი ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებიათ და ეს მიუხედავად იმისა, რომ ბუნდესმწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** ძირითად შემადგენლობაში 8 ბაიერნელი ათამაშა. ეს ფაქტი იმიტომ აღვნიშნეთ, რომ წინა ამხანაგური მატჩის წაგება (3:5 შვეიცარიასთან) პირველ რიგში „ბაიერნის“ ფეხბურთელების არყოფნას დაჰბრალდა. ლაიპციგში კი გამოჩნდა, რომ გერმანია ვერც რეკორდმაისტერის ფეხბურთელებით თამაშობს ისეთ ფეხბურთს, როგორსაც ბუნდესგუნდის ფანები ელიან. ლიოვის ბიჭებს არც მწვავე იერიშები განუხორციელებიათ და ვერც გააზრებულ, მრავალსვლიან კომბინაციებს ათამაშებდნენ სწრაფად.

### დაცვის ფრონტი უცვლელია

გერმანიის ნაკრების მცირე ანალიზი დაცვის ხაზიდან დავიწყოთ, რადგან შვეიცარიის ნაკრებისგან 5 გოლის გაშვების შემდეგ ლიოვის გუნდის უკანა ხაზს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა. სამწუხაროდ, ისრაელთან მატჩმა ახალი ვერაფერი დაგვანახვა, რადგან **ბენაიუნს** და კომპანიას ბუნდესგუნდის უკანახაზელები ფაქტობრივად არ შეუწუხებიათ. იოგიმ დაცვის ცენტრში ამჯერად **მერტეზაკერისა** და **ბადშტუბერის** წყვილი გაამწესა, **ჰუმელსი** კი სკამზე დატოვა, მაგრამ **პერისა** და **ჰოლგერის** დუეტზე ვერაფერს ვიტყვით, რადგან ისრაელის ნაკრების ფეხბურთელები გერმანელთა ნახევარზე იშვიათად გადადიოდნენ. ფლანგის მცველები, **ლამი** და **ბოატენგი** შეტევებში ხშირად ერთვებოდნენ, ბოატენგმა კი მე-19 წუთზე ბურთი ძელს მოარტყა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფაქტობრივად გადაწყვეტილია: ლიოვი ევროპის ჩემპიონატზე დაცვაში ბოატენგი-მერტეზაკერი-ბადშტუბერი-ლამის კვარტეტს ათამაშებს. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, **მარსელ შმელცერს** და **მატს ჰუმელსს** სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრის შანსი აღარ აქვთ. ისრაელთან მატჩის შემდეგ მერტეზაკერმაც აღიარა, დღეს მცველებს საქმე არ გვქონდაო...

### უჩვეულო სიზანტე შუა ხაზში

ნახევარმცველები განსაკუთრებით ცუდად პირველ ტაიმში გამოიყურებოდნენ – იდეები და მონდომება აკლდათ. **კროოსისა** და **ხედირას** ბევრი პასი არაზუსტი იყო. **მესუთ იოზილი**, რომელსაც ბუნდესგუნდის შეტევების კონტროლი და ორგანიზება ევალება, ძალიან ხშირად უმოქმედო გახლდათ, **თომას მიულერი** კი ძალიან ცოტას მოძრაობდა და უმეტესად მეტოქე გუნდის მცველებში იკარგებოდა. სხვებისგან განსხვავებით, **პოდოლსკი** აშკარად აქტიურობდა და მარცხენა ფლანგიდან ბურთი არაერთხელ ჩააწოდა – რაც მთავარია, სახიფათოდ. უნდა ითქვას, რომ მეორე ტაიმში იოზილიც გამოსწორდა.

**ბასტიან შვაინშტაიგერის** გარდა, იოგიმ ისრაელთან ყველა წამყვანი ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში ათამაშა და რაკი შვაინის ტრავმა გაუმიზეზდა, დიდი შანსია, რომ პორტუგალიასთან გერმანიამ სწორედ ასეთი შუა ხაზით ითამაშოს. ფაქტია, რომ იოზილს და კომპანიას მეტი მობილურობა და მოქნილობა მოეთხოვებათ – ისრაელთან გადაქანცულები ჩანდნენ.

### კლოზე მაინც პირველია

**მარიო გომესმა** თავიდან ძალიან კარგი მომენტი ვერ გამოიყენა, მაგრამ მერე გოლის გატანა მაინც შეძლო. ჩვენი გერმანელი კოლეგები დარწმუნებულები არიან იმაში, რომ ევროპის ჩემპიონატზე ლიოვი უპირატესობას **მიროსლავ კლოზეს** მიანიჭებს, გომესი კი მეორე ნომერი იქნება და შესაბამისად, უმეტესად სათადარიგოთა სკამზე მოუწევს ჯდომა.

### რეაქციები

*„ნორმალური ტესტი გამოვიდა, თუმცა კიდევ ერთხელ დავინახე, რომ ყველაფერი კარგად არ არის. ფაქტია, რომ საგოლე მომენტების გამოყენება გვიჭირს, რაც ძალიან ცუდია. გუნდი ახლა უფრო ორგანიზებულად უტევდა, ვიდრე შვეიცარიასთან, მაგრამ გამოჩნდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი საქმე გვაქვს და ერთ კვირაში რამდენიმე ასპექტი უნდა გამოვასწოროთ. რაც შეეხება შვაინშტაიგერს: ოთხშაბათის შემდეგ ფეხი აღარ სტკივა, რაც იმას ნიშნავს, რომ სირბილს დაიწყებს, ხოლო გუნდთან ერთად ვარჯიშს სამშაბათიდან განაახლებს,“* - განაცხადა მატჩის შემდეგ ბუნდესმწვრთნელმა ლიოვმა.

*„რაც მთავარია, მოვიგეთ. მართალია, ბრწყინვალე ფეხბურთი ისევ ვერ ვითამაშეთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ევროპის ჩემპიონატს კარგ ფორმაში შევხვდებით,“* - ეს კაპიტან ლამის სიტყვებია.

მოსაზრება

# ფოგტსი: ლიოვი ვალდებულია!

## 1996 წლის ჩემპიონმა ბუნდესმწვრთნელმა იოგი წნეხის ქვეშ მოაქცია

გერმანიის ნაკრებმა ბოლო ტიტული 16 წლის წინ მოიგო: **ბერტი ფოგტსის** მიერ გაწვრთნილი ბუნდესგუნდი 1996 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა და მას მერე გერმანელებს ტიტული აღარ ღირსებიათ. ხუთშაბათს ფოგტსი „შპორტ აინსის“ სატელევიზიო გადაცემაში გახლდათ მიწვეული, სადაც თავისი მოსაზრება მკაფიოდ დააფიქსირა: ფოგტსი ამბობს, რომ გერმანია ახლა უკვე ვალდებულია, ევროპის ჩემპიონატი მოიგოს.



1996 წელი: ბერტი ფოგტსი ევროპის თასით

*„გერმანიის ნაკრების მწვრთნელი ყოველთვის ვალდებულია, ტიტული მოიგოს. შეც ვალდებული გახლდით. ჩემს დროს არ არსებობდა სხვა მიზანი – ჩვენ მხოლოდ პირველობა გვევალებოდა. ძალიან ცუდი იქნება, თუ ისევ უტიტულოდ დავრჩებით,* - განაცხადა „ბერტიმ“, - *მოვიდა დრო, რომ გერმანიის ნაკრებმა ისევ ასწიოს თასი. მთელი მსოფლიო თანხმდება იმაზე, რომ ჩვენი გუნდი ევრო 2012-ის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია და შესაბამისად, ნებისმიერი სხვა შედეგი წარუმატებლობად უნდა ჩაითვალოს. თამამად ვიტყვი, რომ დღესდღეობით ლიოვს მსოფლიოში ყველაზე ძლიერი გუნდი ჰყავს, რაც ამ გუნდმა სწორედ ახლა უნდა დაამტკიცოს.“*

ფოგტსი ფიქრობს, რომ ბუნდესგუნდს სიკვდილის ჯგუფიდან გასვლაც არ უნდა გაუჭირდეს: *„ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ იმაში, რომ პირველ მატჩს (პორტუგალიასთან – ავტ.) მოვიგებთ და საერთოდ, ვფიქრობ, რომ ჯგუფში პირველ ადგილს დავიკავებთ,“* - აცხადებს ფოგტსი, რომელიც ახლა აზერბაიჯანის ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

ევრო 2012 ჰოლანდიის ნაკრები



ეროვნული ბიბლიოთეკა

კლაას-იან ჰუნტელაარი და რაფაელ ვან დერ ვაარტი ვერ ხვდებიან, რატომ არ ენდობა მათ ვან მარვიიკი

# ნარინჯისფრებში დაპირისპირებაა!

## კარგი ამბავი: მატიისენი გამოჯანმრთელებას მოასწრებს

ჰოლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ბერტ ვან მარვიიკს** სადავეები ხელიდან გაურბის: გუშინ ჰოლანდიური პრესა გუნდის შიდა დაპირისპირებაზე წერდა, რაც ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტზე ცუდად იმოქმედებს. საქმე იმაშია, რომ თავდამსხმელი **კლაას-იან ჰუნტელაარი** და შემტევი ნახევარმცველი **რაფაელ ვან დერ ვაარტი** ძირითად შემადგენლობაში თამაშს ითხოვენ, ვან მარვიიკი კი ცვლილებების აუცილებლობას ვერ ხედავს.

სლოვაკეთთან ამხანაგურ მატჩში, როგორც კი ვან მარვიიკმა **ვესლი სნეიდერი** თამაშიდან მოხსნა და მის ნაცვლად მოედანზე ვან დერ ვაარტი შეუშვა, ჰოლანდიის ნაკრების შუა ხაზი მაშინვე გაცილებით მოქნილი და მობილური გახდა. რაფაელთან ერთად ნარინჯისფრები გაცილებით აზრიანად უტევდნენ, რამაც მთელი საფეხბურთო ჰოლანდია იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ძირითადში სწორედ ვან დერ ვაარტმა უნდა ითამაშოს. მწვრთნელი კი ჯიუტად აცხადებს, რომ სნეიდერი ურჩევნია.

*„ვესლიც ძალიან კარგ ფორმაშია. მე არ ვფიქრობ, რომ ძირითადი შემადგენლობა შესაცვლელია,“* - განუცხადა ვან მარვიიკმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

მწვრთნელის ასეთი განცხადება ვან დერ ვაარტს, ცხადია, არ მოსწონს. *„სამწუხაროდ, ვან მარვიიკი სასტარტო შემადგენლობაში არ მომიაზრებს, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლებ,“* - აცხადებს 29 წლის ნახევარმცველი.

### ფანებს ჰუნტელაარი ურჩევნიათ

პრობლემაა წინა ხაზზეც, სადაც, ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე ვან მარვიიკი უპირატესობას რობინ ვან პერსის ანიჭებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი ჰუნტელაარი სკამზე უნდა დაჯდეს. სლოვაკეთთან შეხვედრაში ჰუნტელაარის მოედანზე გამოჩენას ფანები უდიდესი ოვაციებით შეხვდნენ და გაზეთ „დე ტელეგრააფის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიც ცხადყოფს, რომ გულშემატკივრებს ძირითად შემადგენლობაში „შალკეს“ გოლეადორის ხილვა სურთ. გამოკითხულთა 75%-ის აზრით, ჰუნტელაარმა აუცილებლად უნდა ითამაშოს.

*„კარიერაში საუკეთესო სეზონი მქონდა. ამაზე უკეთესად ვერასდროს ვითამაშებ და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან კარგ ფორმაში ვარ,* - ამბობს 28 წლის ჰუნტელაარი „დე ტელეგრააფთან“ ინტერვიუში, - *პირადად მეც მიკვირს, იმდენად კარგად ვარ მომზადებული როგორც ფიზიკურად, ისე მენტალურადაც. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, ამაზე მეტი რა უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ ნაკრების ძირითადში ვითამაშო.“*

ჰოლანდიის ნაკრების ბანაკიდან გუშინ კარგი ინფორმაციაც გავრცელდა: დაცვის ბურჯი იორის მატიისენი ევროპის ჩემპიონატის სტარტამდე სრულად გამოჯანმრთელებას მოასწრებს.

ტრანსფერი

# ვოლფსბურგმა დოსტი იყიდა!

## ჰოლანდიის ჩემპიონატის ბომბარდირმა მგლებთან ხუთწლიანი გააფორმა

გუშინ ძალიან საინტერესო ტრანსფერი განხორციელდა: „ჰერენვენის“ ახალგაზრდა თავდამსხმელმა **ბას დოსტმა** გერმანულ „ვოლფსბურგთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და მომავალი სეზონიდან **ფელიქს მაგათის** გუნდის ღირსებას დაიცავს. „დესპოტი ფელიქსი“ ასი პროცენტით დარწმუნებულია იმაში, რომ 23 წლის დოსტი ბუნდესლიგაშიც ბევრ გოლს გაიტანს და ზოგადად, დიდი ფეხბურთელი გახდება.

*„მე მას დიდი ხნის განმავლობაში ვაკვირდებოდი და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბასმა ბოლო წლებში უდიდესი პროგრესი განიცადა,* - აქებს მაგათი ახალწვეულს, - *დოსტი უკვე ჩამოყალიბებული, მაღალი კლასის საჯარიმოს ფორვარდია, რომელმაც კარგად იცის, როგორ უნდა გაიტანოს გოლები. დარწმუნებული ვარ, რომ ის „ვოლფსბურგის“ ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდება.“*

### 32 გოლი 34 მატჩში

დოსტის კლასზე მაგათის განცხადებაზე უკეთ მისი სტატისტიკა მეტყველებს: ჰოლანდიის ჩემპიონატის გასრულებულ სეზონში მან 34 მატჩში 32 გოლის გატანა მოახერხა და ერედივიზიონის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. პირველ რიგში კი „ექსელსიორთან“ მატჩი გვახსენდება, რომელიც „ჰერენვენმა“ 5:0 მოიგო და ხუთივე გოლი დოსტის ანგარიშზე გახლდათ.

ბასი ვოლფსბურგში გუშინ ჩავიდა, სამედიცინო შემოწმება გაიარა და ხელშეკრულება გააფორმა, რის შემდეგაც ჩვენს გერმანელ კოლეგებს გაესაუბრა: *„ბუნდესლიგაში გადმოსვლა ჩემთვის დიდი გამოწვევა და კარიერაში წინ გადადგმული ნაბიჯია. გერმანიის ჩემპიონატს ბავშვობიდან ვუყურებ და მიმაჩნია, რომ ბუნდესლიგა საუკეთესოა ევროპაში.“*

შეგახსენებთ, რომ დოსტამდე ვოლფსბურგელებმა „ბაიერნიდან“ გამოცდილი ხორვატი თავდამსხმელი **ივიცა ოლიჩი** გადაიბირეს, ახალგაზრდა ფორვარდი **სებასტიან პოლტერი** კი „ნიურნბერგს“ დაუთმეს. დოსტისა და ოლიჩის ტრანსფერის შემდგეგ, საეჭვოა, რომ მაგათმა **პატრიკ ჰელმესი** და ხორვატი **მარიო მანჯუკიჩი** გუნდში დატოვოს. „ვოლფსბურგიდან“ აზარგების კანდიდატია კიდევ ერთი ცენტრფორვარდი **სრდიან ლაკიჩიც**, რომელიც გასულ სეზონში „ჰოფენჰაიმში“ იყო განათხოვრებული.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ქართული სპორტი

მშვილდოსნობა. საქართველოს ჩემპიონატი

# თაობათა ბრძოლა და უკმეხი კორეელი

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დამთავრდა საქართველოს პირველობა მშვილდოსნობაში, სადაც ქალთა ტურნირმა მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა - ჩემპიონი **ხათუნა ნარიმანიძე** გახდა, რომელმაც ფინალში **ქრისტინე** ესებუა დაამარცხა, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი **ასმათ დიასამიძემ ლანა ვერულიძეს** აჯობა. თუმცა ფინალებამდე პლეი ოფში ერთი საინტერესო ორთაბრძოლა შედგა - მეოთხედფინალში ნარიმანიძეს საკუთარი შვილი **ციალა ფუტკარაძე** დაუპირისპირდა. მერვედფინალში დედა ისვენებდა, როგორც საკვალიფიკაციო ეტაპის კიდევ სამი საუკეთესო - ესებუა, დიასამიძე და **ნათია ცინცაძე**, ფუტკარაძემ კი ბრძოლით მოიპოვა მეოთხედფინალის საგზური - გადასროლაში **თეონა კუტალაძეს** აჯობა. დედა-შვილის ორთაბრძოლა არც მთლად „ცალ კარში თამაში" ყოფილა, თუმცა ნარიმანიძემ ფავორიტის იმიჯი სრულად გაამართლა და უპრობლემოდ მოიგო.

ვაჟთა შორის **ლაშა ფხაკაძემ** გაიმარჯვა, რომელმაც საკვალიფიკაციო ეტაპზე 665 ქულა დააგროვა და მისივე დამყარებული საქართველოს რეკორდი გვარიანად გააუმჯობესა. მან პლეი ოფიც დამაჯერებლად გაიარა და ფინალში მისი გასვლა არავის გაჰკვირვებია. აი, ცოტა მოულოდნელი მეორე ფინალისტის ვინაობა - **დავით ლეკვეიშვილი**, რომელიც ძველი თაობის მსროლელია, ხოლო დღეს უფრო სამწვრთნელო საქმიანობითაა დაკავებული, ვიდრე - ვარჯიშით. ამის მიუხედავად, ფინალშიც გავიდა და იქ ორი პერიოდიც მოიგო ანუ ჩემპიონობასთანაც ახლოს იყო. მედლებისთვის გამართული შეხვედრებიდან ეს იყო ერთადერთი, სადაც დამატებითი დრო გახდა საჭირო. იქ ყველაფერი მეორე გასროლაზე გადაწყდა, რომელიც ფხაკაძემ 10-იანში მოარტყა, მანამდე 9-იანი ჰქონდა, ლეკვეიშვილმა კი ცუდად ისროლა.



ნარიმანიძეს ჩემპიონობაში შვილი ვერ შეეცილა

სხვათა შორის, შვილი ლეკვეიშვილსაც უმშვენებდა გვერდს - **გიორგი ლეკვეიშვილი**, თუმცა მშობლისა და შვილის პაექრობა ამჯერად არ გვიხილავს. ვაჟთა შორის მესამე ადგილზე **ირაკლი ქვლივიძე** გავიდა.

> შეურაცხმყოფელი ის დამოკიდებულება აღმოჩნდა, რაც კორეელმა საქართველოს ჩემპიონატის მიმართ გამოხატა - ეს ტურნირი ჩემს გეგმაში არ შედიოდა და ამიტომ ჩემთვის იმდენად მნიშვნელოვანი არააო!

ძალიან გვვინდა, ამ წერილისთვის წერტილი აქ დაგვესვა, მაგრამ - უცხოელი მწვრთნელისა და ქართველი ჟურნალისტების ურთიერთობის მტკივნეულ საკითხს გვერდს ვერ ავუვლით. ეს რომ მხოლოდ მშვილდოსნობას ეხებოდეს ან ერთეული შემთხვევა იყოს, კიდევ გავჩუმდებოდით, მაგრამ მათ ცხვირაბზუება ჩვეულებრივ ამბად ექცათ, ჩვენ კი გამართლებად ვერ მივიღებთ, რომ ისინი თურმე საკუთარ სამშობლოშიც ასეთი უხიაგი ხასიათით გამოირჩევიან. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში უბრალო განმარტებაზე უარის თქმა კიდევ არაფერი - ამას როგორმე ავიტანდით, გამაოგნებელი და მეტიც - შეურაცხმყოფელი ის დამოკიდებულება აღმოჩნდა, რაც კორეელმა საქართველოს ჩემპიონატის მიმართ გამოხატა - ეს ტურნირი ჩემს გეგმაში არ შედიოდა და ამიტომ ჩემთვის იმდენად მნიშვნელოვანი არააო! სამწუხაროდ, ესეც სიმპტომურ ჩვეულებად ჩამოყალიბდა, როცა უცხოელებს ადგილობრივი პირველობა არ აინტერესებთ. თუმცა მათგან განსხვავებით, კორეელი დაესწრო მაინც და ორი დღის განმავლობაში თავისთვის, განცალკევებით მჯდარი ჭოგრიტით აკვირდებოდა ფარებს, ოღონდ ორსიტყვიანი განმარტება დაიზარა... საუბედუროდ, ჩვენში გამუდმებით იმეორებენ, მთავარი შედეგიაო ანუ მედალი, თუმცა ავიწყდებათ, რომ ამა თუ იმ კონკრეტული სახეობის განვითარებაზე - გამართული სისტემის აწყობა ბავშვთა სპორტში, მოწვეულ მწვრთნელთა მონაწილეობით ადგილობრივ სპეციალისტთა გადამზადება, არანაკლები მიღწევა იქნება... ამ შემთხვევაში წარმატებას უკვე ისინი მოიპოვებენ და უცხოელების მოსაწვევად ათმაგი თანხის გადახდა არ დაგვჭირდება.

მშვილდოსანთა ნაკრების კორეელმა მწვრთნელმა **ენ ჰიუნგ სეუნგმა** საუბარზე უარი პირველად ამსტერდამში, ევროპის ჩემპიონატზე წასვლამდე გვითხრა, მაგრამ მაშინ ეს ჩვეულებრივ ამბად მივიღეთ - გუნდმა მანამდე მსოფლიოს თასის ორი ტურნირი წააგო და ვიფიქრეთ, წაგებულის პოზიციიდან ლაპარაკი არ სურდა. მაშინ მას უარის მიზეზი არ განუმარტავს, ახლა კი შეტევაზე გადმოვიდა და გახსოვთ, შარშან ვერულიძეზე რაღაც რომ მკითხეთო, გვიპასუხა. შარშან, მსოფლიოს პირველობის შემდეგ მართლაც ვკითხეთ ვერულიძეზე, რატომ ვერ მოხვდა ის ნაკრებში, როცა ბოლო ორ ტურნირში ჩვენი გუნდიდან მეორე შედეგი აჩვენა და ოლიმპიურ ნორმატივამდე ცოტა დააკლდა. როცა კორეელს ეს განვუმარტე, რაღა მაინცდამაინც იმ ორი ტურნირის შედეგი დაგამახსოვრდაო! ჯერ ერთი, ვერულიძე მეტად არსად წაუყვანიათ და მეორეც - იქნებ ჩვენ რაღაც სწორად არ (თუ ვერ) შევაფასეთ, ვერ დავინახეთ ის განსხვავებული, რაც დანარჩენ შეჯიბრებებში სხვებმა აჩვენეს, და რაც მხოლოდ მან დაინახა, მწვრთნელი და სპეციალისტი იმისაა, რომ განგვიმარტოს, აგვიხსნას და სწორ გზაზე დაგვაყენოს, რათა ეს ყველაფერი მკითხველამდე მივიტანოთ, თორემ დარწმუნებული ვართ, მაშინ ვერულიძესთან დაკავშირებით ის კითხვა ქომაგსაც დაებადებოდა. კორეელს ახლაც მხოლოდ კომენტარი ვთხოვეთ შეჯიბრებაზე ნაჩვენებ შედეგებზე და არა ვრცელი ინტერვიუ. როცა მას თუნდაც იმავე ფხაკაძის მშვენიერი მაჩვენებელი ჰქონდა ხელთ (შეგახსენებთ - ევროპის პირველობაზე ამაზე უკეთესი ქულა მხოლოდ ორმა მშვილდოსანმა აჩვენა, უკრაინელ ოლიმპიურ ჩემპიონ **ვიქტორ რიბანსაც** არ ჰქონია 665 ქულა), საკუთარი თავისთვის მშვენიერი პიარკამპანიის გაწევა შეეძლო, მაგრამ ისე უცნაურად იქცეოდა, ვკითხე კიდეც, ჟურნალისტებთან აქამდე ურთიერთობა თუ გქონია-მეთქი... რამდენიმე შემთხვევა გაიხსენა, როცა თურმე რაღაც უკითხავთ მისთვის.

კიდევ კარგი, მასთან საუბარში საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის გენერალური მდივანი **არტემ სანიშვილი** მეხმარებოდა, რომელმაც საკუთარი ყურით მოისმინა კორეელის სიტყვები. მასაც ვკითხე, როგორც ფედერაციის წარმომადგენელი, როგორ აფასებდა მწვრთნელის პოზიციას და თავად როგორ მიიჩნევდა, საქართველოს ჩემპიონატი ნაკრების მწვრთნელისთვის უნდა ყოფილიყო თუ არა მნიშვნელოვანი. *„ცხადია, საინტერესო უნდა იყოს თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ აქ ნაკრების წევრები ისვრიან. მით უფრო, რომ ეს შეჯიბრება სალიცენზიო ტურნირის წინ ტარდება"* - გვითხრა სანიშვილმა და დაგვეთანხმა, რომ ამ პრობლემის მოგვარება ფედერაციის ვალიცაა. საქართველოში კორეელის მიღწევას არ ვაკნინებთ, მაგრამ ეს მას მსგავსად მოქცევის უფლებას არ აძლევს.

აქ უკვე ფედერაციების (და არა მხოლოდ მშვილდოსნობის) გასაკეთებელ საქმესაც მივადექით - ისინი უცხოელ მწვრთნელებს მარტო მაღალ ხელფასზე კი არ უნდა უთანხმდებოდნენ, მათ მედიასთან ურთიერთობასაც უნდა ავალებდნენ და თუნდაც მწვრთნელთა გადამზადებაში, როცა საამისოდ საგანგებოდ ვერ ჩამოჰყავთ უცხოელი ინსტრუქტორები, მათ ფაქტორს უფრო მეტად უნდა იყენებდნენ. მედიასთან ურთიერთობას თუ თავიდანვე დაავალებენ მათ, მერე არც იმით მოუწევთ თავის მართლება, რომ ეს მწვრთნელები სამშობლოშიც ცუდი ხასიათით გამოირჩევიან - არა გვგონია, უცხოეთში ყველა ასეთი უკმეხი იყოს და მაშინ კეთილიინებონ, ნორმალური ადამიანები შეარჩიონ.

დაბოლოს იმას ვიტყვით, რომ საქართველოს ჩემპიონატზე დროშის აღმართვა და ჰიმნის თანხლებით დაჯილდოება დიდი პრობლემა არ უნდა იყოს. გვჯერა, მომავალ პირველობებზე ასეც იქნება.

**ირაკლი თავაძე**

ჭიდაობა. პრესკონფერენცია




მარცხნიდან: მალხაზ ჯორბენაძე, კახა გეწაძე, ედიშერ მაჩაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპისთვის ემზადებიან

**გუშინ საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელიც ერთბაშად ორ შეჯიბრებას მიეძღვნა - ანკარაში ჩატარებულ დიდ საერთაშორისო ახალგაზრდულ ტურნირს „ჩემპიონები" და „თავისუფალთა" ნაკრების მიერ მოგებულ ინდოეთის „დიდ პრიზს".**

ანკარაში დიდი წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი ახალგაზრდები - ბერძენ-რომაელებმა 8 მედალი მოიპოვეს (2 ოქრო, 1 ვერცხლი, 6 ბრინჯაო), „თავისუფლებმა" - 7 (3 ოქრო და 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო).

ბერძენ-რომაელთაგან ჩემპიონები **იაკობ ქაჯაია** (96) და **ლევან არაბული** (120) გახდნენ, **შოთა გოგისვანიძე** (120) მეორეზე გავიდა, **რამაზ სურმანიძე** (55), **ფირუზ წულუკიძე** (60), **ლაშა გობაძე** (74), **რობერტ ქობლიაშვილი** (84) და **კუკური კირცხალია** (96) - მესამეზე.

„თავისუფალთაგან" ოქროს მედლები **ლაშა ტალახაძემ** (55), **ჯუმბერ ყველაშვილმა** (74) და **ომარ გუსოშვილმა** (96) მოიპოვეს, ვერცხლი - **ლევან ქელეხსაშვილმა** (60) და **გიორგი მეშვილდიშვილმა** (96), ბრინჯაო - **ლაშა ბიტარაშვილმა** (60) და **ზურაბ იაკობაშვილმა** (66).

ახალგაზრდა მოჭიდავეებს ეს წარმატება ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გეწაძემ** მიულოცა და გამოთქვა იმედი, რომ ისინი ევროპის ჩემპიონატზეც ასეთივე წარმატებით გამოვლენ, თუმცა მწვრთნელები მის ოპტიმიზმს არ დაეთანხმნენ და პროგნოზებში ბევრად ფრთხილნი იყვნენ.

როგორც იქნა, ჭიდაობის ევროპულსა და საერთაშორისო ფედერაციებს კალენდარის შეთანხმების ჭკუა ეყოთ. ამიტომ ევროპის პირველობა 19-24 ივნისს გაიმართება ზაგრებში, მსოფლიოს პირველობას კი 4-9 სექტემბერს ტაილანდური პატაია უმასპინძლებს. ჩვენი ახალგაზრდული გუნდები ხვალ-ზეგ უკვე დაიწყებენ ევროპირველობისთვის მზადებას, თუმცა მწვრთნელები შემადგენლობის დასახელებას არ ჩქარობენ. კაცმა რომ თქვას, გასარკვევიც არაფერია, რადგან საქართველოს ჩემპიონატსა და საერთაშორისო ტურნირების შედეგებს თუ გადავხედავთ, ისედაც იოლი მისახვედრია, ვინ პირველი ნომერია და ვინ - მეორე.

რაც შეეხება ინდოეთის „დიდ პრიზს", ის ნიუ დელში გაიმართა და მასში საქართველოს, ინდოეთის, ირანის, იაპონიის, რუსეთის, აშშ-ს, პაკისტანის, ყაზახეთის, კანადის, ბელარუსის, ავსტრალიის, კორეის, ყირგიზეთის, შვეიცარიისა და შვედეთის გუნდები გამოდიოდნენ. შეჯიბრება პირად პირველობაში ტარდებოდა, თუმცა იქ დაგროვილი ქულებით ჯამდებოდა გუნდური მაჩვენებელი და ასე ირკვეოდა მთავარი პრიზის მფლობელი. ჩვენი ნაკრები ინდოეთში ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: **ბესარიონ გუჩაშვილი** (55), **გიორგი ბალიაშვილი** (60), **გიორგი ლობჟანიძე** (66), **იაკობ მაქარაშვილი** (74), **თორნიკე სვანიძე** (84), **დავით ქერაშვილი** (96), **გიორგი საკანდელიძე** (120). ამათგან გუჩაშვილი, ქერაშვილი და საკანდელიძე თავიანთ წონებში ჩემპიონები გახდნენ, ლობჟანიძე კი მეორეზე გავიდა. სხვებმა მედლები ვერ მოიპოვეს, მაგრამ გუნდს ჩასათვლელი ქულები მისცეს და გუნდურშიც პირველზე ჩვენები გავიდნენ. გეწაძის თქმით, დიზაინის მხრივ ეს ყველაზე დიდი და მასშტაბური თასია, რაც კი ჩვენებს მოუგიათ.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ქართველები ჯერ მეწინავეებში არ ჩანან




სწრაფ ჭადრაკში ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინ მეოთხე-მეექვსე ტურების პარტიები გათამაშდა. ლიდერები — ჰუან ქიანი (ჩინეთი) და პია კრამლინგი (შვედეთი) მეოთხე ტურში დაზავდნენ, რითაც ისარგებლეს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ჰამფი კონერუმ (ინდოეთი) და მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა ანტოანეტა სტეფანოვამ (ბულგარეთი), რომლებმაც, შესაბამისად, **ნინო ხურციძე** და მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი დაამარცხეს და ქულებით მეწინავეებს გაუთანაბრდნენ. ჩვენებურთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: გუო ქი (ჩინეთი) — **მაია ჩიბურდანიძე** 1:0, **ლელა ჯავახიშვილი** — ჟუ ჩენი (ყატარი) 1:0, **ნანა ძაგნიძე** — ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) 1:0, **სოფიო გვეტაძე** — ნატალია პოგონინა (რუსეთი) 0,5:0,5, ანა მათნაძე (ესპანეთი) — ქეთევან არახამია-გრანტი (შოტლანდია) 0,5:0,5, **ბელა ხოტენაშვილი** — **ნონა გაფრინდაშვილი** 1:0, **მაკა ფურცელაძე** — ელინა დანიელიანი (სომხეთი) 1:0, **ნინო ბაციაშვილი** — **ინგა ჭარხალაშვილი** 1:0, **სალომე მელია** — **ნინო გურიელი** 1:0, მაშა კლინოვა (ისრაელი) — **მაია ლომინეიშვილი** 0,5:0,5, **მერი არაბიძე** — ირინა კრუში (აშშ) 1:0, **სოფიკო ხუხაშვილი** — დინ ისინი (ჩინეთი) 0:1, **ნათია ჯანჯღავა** — **მირანდა მიქაძე** 1:0.

**მე-5 ტური.** კონერუ — ქიანი 0,5:0,5, კრამლინგი — სტეფანოვა 0,5:0,5, ელიზაბეტ პეტცი (გერმანია) — ჟაო სიუ (ჩინეთი) 0:1, კატერინა ლაგნო (უკრაინა) — ჯავახიშვილი 1:0, კოსტენიუკი — ძაგნიძე 1:0, ჩიბურდანიძე — ხურციძე 0,5:0,5, თან ჟონი (ჩინეთი) — ხოტენაშვილი 1:0, ჟუ ჩენი — მათნაძე 1:0, მარია მუზიჩუკი (უკრაინა) — ბაციაშვილი 1:0, ანა უშენინა (უკრაინა) — მელია 1:0, ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი) — გვეტაძე 0,5:0,5, ნატალია პოგონინა (რუსეთი) — ფურცელაძე 1:0, ლომინეიშვილი — არაბიძე 1:0, გურიელი — დანიელიანი 0:1, გაფრინდაშვილი — ჭარხალაშვილი 0:1, ისინი — ჯანჯღავა 1:0, კრუში — ხუხაშვილი 0:1, ნარგიზ უმუდოვა (აზერბაიჯანი) — მიქაძე 0:1.

**მე-6 ტური.** კრამლინგი — კონერუ 0:1, ჟაო სიუ — სტეფანოვა 0:1, ქიანი — ლაგნო 0,5:0,5, ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი) — ანა მუზიჩუკი (სლოვენია) 0,5:0,5, ვალენტინა გუნინა (რუსეთი) — კოსტენიუკი 0:1, ვან იუე (ჩინეთი) — ჟუ ჩენი 1:0, ჯავახიშვილი — პეტცი 0:1, ხურციძე — პოგონინა 1:0, გვეტაძე — ძაგნიძე 0,5:0,5, კოვალევსკაია — ჩიბურდანიძე 0:1, ხოტენაშვილი — ლომინეიშვილი 0,5:0,5, დანიელიანი — მელია 0,5:0,5, მათნაძე — ისინი 0:1, ბაციაშვილი - ფურცელაძე 1:0, ჭარხალაშვილი — ხუხაშვილი 0:1, არაბიძე — ბეზგოდოვა 1:0, მიქაძე — გაფრინდაშვილი 1:0, ჯანჯღავა — გურიელი 1:0.

>> მე-13 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტუაცია დაიძაბა

# საქართველო და კიდევ 27 ქვეყანა ფიბა-ევროპის პრეზიდენტს უნდობლობას უცხადებენ

დაახლოებით ორი კვირის წინათ მოგახსენეთ, რომ ფიბამ ფიბა-ევროპისგან ევრობასკეტის ოთხ წელიწადში ერთხელ ჩატარება მოითხოვა. ამას ეწინააღმდეგება ევროპის ქვეყნების უმეტესობა, მათ შორის საქართველო. თუმცა ფიბა ქმედით ნაბიჯებზე გადავიდა, რისი პირველი მაგალითი ნარ ზანოლინისთვის კონტრაქტის შეწყვეტა გახლდათ. ეს ადამიანი ფიბა-ევროპის გენერალურ მდივნად მუშაობდა და პირველი მოწინააღმდეგე გახლდათ ევრობასკეტის ორის ნაცვლად ოთხ წელიწადში ერთხელ გამართვისა.

თავის მხრივ, საქართველოსა და კიდევ 27 ქვეყნის კალათბურთის ფედერაციები ფიბა-ევროპის პრეზიდენტის **ოლაფ რაფნსონის** გადაყენებას ითხოენ. ასეთია სადღეისო სიტუაციის ზოგადი სურათი. დეტალებზე სალაპარაკოდ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ბესიკ ლიპარტელიანს** ვესტუმრეთ.

- ფიბა-ს მოთხოვნას, ევროპის ჩემპიონატები ორის ნაცვლად ოთხ წელიწადში ერთხელ გაიმართოს, ევროპის საკალათბურთო ფედერაციათა უმრავლესობა უარით შეხვდა. ამ საკითხზე კონსულტაციებს გავდიოდით ფიბა-ევროპის გენერალურ მდივან ნარ ზანოლინთან, რომელიც ასევე ეწინააღმდეგებოდა ფიბა-ს მოთხოვნას. საკითხი 19 მაისს დანიშნულ კონგრესზე უნდა განგვეხილა, თუმცა მანამდე ერთი კვირით ადრე ნარ ზანოლინს კონტრაქტი შეუწყვიტეს და თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

**- ამის უფლება ჰქონდათ?**

- საბოლოოდ ყველაფერი კანონის ფარგლებში გააკეთეს. თუმცა იმ ფედერაციებმა, რომლებიც ფიბა-ს მოთხოვნის წინააღმდეგნი ვიყავით, პრეზიდენტის, ოლაფ რაფნსონის პასუხისმგებლობის საკითხი დავაყენეთ. მოვითხოვეთ რიგგარეშე ყრილობის ჩატარება და ფიბა-ევროპის პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები.

**- რამდენ ხანში უნდა გაიმართოს ყრილობა?**

- მოთხოვნიდან 60 დღეში. ამ საკითხზე ჩვენი მხარის იურისტები აქტიურად მუშაობენ და ცნობებსაც ყოველდღიურად გვაწვდიან.

**- სულ რამდენი ფედერაცია ითხოვს რაფნსონის გადადგომას?**

- 28. ზოგი თავს იკავებს, ზოგი საპირისპირო აზრზეა, თუმცა ერთ საკითხში მაინც ყველა თანხმდება - ევროპის ჩემპიონატი ორ წელიწადში ერთხელ უნდა გაიმართოს.




მარცხნიდან: ბესიკ ლიპარტელიანი ბენ ვუდსაიდი

## 24 ლეგიონერი

ისლა დაგვრჩენია, მოვლენების განვითარებას დაველოდოთ, მანამდე კი საქართველოს ახლად დასრულებულ ჩემპიონატს შევეხოთ.

**- საქართველოს ოცდაორივე პირველობა გინახავთ. როგორ ფიქრობთ, 22-ე ჩემპიონატი ყველას სჯობდა?**

- 90-იანი წლების დასაწყისიდან საინტერესო პირველობები გვქონდა, თუმცა სიძლიერის მიხედვით ეს ჩემპიონატი ყველას აღემატებოდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, აქ 24 კარგი ლეგიონერი თამაშობდა. „არმიას" სახით სუპერლიგაში სერიოზული ევროპული დონის გუნდი გვყავდა. არმიელებმა ევროჩელენჯის პირველ ეტაპზე ღირსეულად ითამაშეს და ჯგუფიდან გასასვლელად ძალიან ცოტა დააკლდათ. წარმოიდგინეთ, ქართველი ქომაგისთვის რაოდენ დიდი საჩუქარი იქნებოდა მეორე ჯგუფრ ეტაპზე თამაში... „არმიას" სუპერლიგის ფინალში არანაკლები მეტოქე ჰყავდა - „ოლიმპმაც" ღირსეულად დაიკავა მეორე ადგილი. საყურადღებოა, რომ ეს გუნდი ჩემპიონატის დაწყებამდე 1 დღით ადრე შეიკრიბა და იმდენი მოახერხა, ერთ-ერთ საუკეთესო კოლექტივად ჩამოყალიბდა. ვერც იმას ვიტყვით, რომ სხვა კლუბები აშკარა აუტსაიდერები იყვნენ. გავიხსენოთ თუნდაც არმიელთა მატჩები ქუთაისსა და რუსთავში, სადაც ბოლო წუთებამდე გაურკვეველი იყო გამარჯვებულის ვინაობა, ხოლო „ქუთაისმა" „ოლიმპს" სეზონში სამი მატჩი მოუგო. საერთოდ კი იყო ხარვეზებიც, რომელიც გამოსასწორებელია და მომავალი სეზონისთვის ყველაფერს გავითვალისწინებთ.

**- იყო გარკვეული პრეტენზიები მსაჯებთან მიმართებაში...**

- პირველ რიგში აღვნიშნავ, რომ წლეულს როცა რაიმეს განხილვა იყო საჭირო, ფედერაციაში კლუბების ხელმძღვანელები მოდიოდნენ. არადა, გასულ წლებში მთავარ მწვრთნელებს, ზოგჯერ ასისტენტებს აგზავნიდნენ. იმის თქმა მინდა, რომ ხელმძღვანელთა დამოკიდებულება შეიცვალა. ისინი თავად არიან ჩართულნი ყველა პროცესში. ეს მისასალმებელია.

**- სეზონის დასაწყისში ზოგს ეგონა, რომ ადგილობრივი მსაჯებით ჩემპიონატს ბოლომდე ვერ გაუმკლავდებოდით...**

- პრობლემები ნამდვილად არის. სულ 6-7 მსაჯი გვყავს, რომლებიც სუპერლიგიდან დაწყებული ბავშვთა მატჩებით დამთავრებული, არაერთ შეჯიბრებას უძღვებიან. მათ ყოველდღე უწევთ მუშაობა, ზოგჯერ დღეში ორ რთულ მატჩს სჯიან. საჭიროა გაცილებით მეტი არბიტრი, რაზეც ვმუშაობთ. სუპერლიგაში იყო უამრავი დაძაბული შეხვედრა, ზოგმა პროტესტის წერილიც შემოიტანა, მაგრამ სათანადო განხილვის შედეგად დადასტურდა: შესაძლოა შეცდომები იყო, მაგრამ ამას საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია.

**- იყო კიდევ ერთი საკითხი, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია - გუნდებს დებულების მიხედვით საშუალება ჰქონდათ, მოთამაშეები პლეი ოფის წინ დაემატებინათ...**

- სეზონის ბოლოს კალათბურთელთა დამატების წინააღმდეგნი, პირველ რიგში, ჩვენ ვიყავით. აქამდე განაცხადის შევსების ვადა მარტს არ სცილდებოდა, თუმცა 2011-12 წლების სეზონის წინ თავად კლუბებმა დააყენეს საკითხი რეგულარული ჩემპიონატის შემდეგ განაცხადში კალათბურთელთა შეყვანისა. დებულება გუნდების ინტერესების საფუძველზე დგება. ასევე მოვიქცევით მომავალი სეზონის წინ - ივნისში კლუბებს დავურიგებთ დებულების პროექტს, შემდეგ ერთად განვიხილავთ, შევჯერდებით და ისე დავამტკიცებთ.

**- ხშირად თქმულა, რომ ყველა გუნდს ახალგაზრდულ ჩემპიონატებშიც უნდა ჰყავდეს ახალგაზრდული შემადგენლობა...**

- მოვითხოვთ, რომ სუპერლიგის მონაწილეებს უმცროსი ასაკის მინიმუმ ერთ ჩემპიონატში მაინც ჰყავდეს გუნდი. სხვათა შორის, ასაკობრივი სისტემა გასულ სეზონში კარგადააწყო „შსს აკადემიამ". ვიმედოვნებთ, რომ გუნდების უმეტესობაში ამ მხრივ სიტუაცია გაუმჯობესდება. ბავშვთა პირველობები უკვე ნორმალურ დარბაზში იმართება და სათანადოდ შუქდება საიტებზე, რაც პატარების ინტერესს კიდევ უფრო აღვივებს. საყურადღებოა, რომ ხუთ ასაკში ჩემპიონატი რეგულარული ხასიათისაა - შემოდგომიდან გაზაფხულის ბოლომდე გრძელდება, ხოლო ორ ასაკში (2000 და 2001) ფესტივალები იმართება.

■ ■ ■

კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელს სანაკრებო თემაზეც ვკითხეთ, თუმცა გვითხრა: ვიცით, ყველას აინტერესებს, რომელი ამერიკელი მიიღებს საქართველოს პასპორტს, როდის ჩამოვა მთავარი მწვრთნელი **იგორ კოკოშკოვი...** ამ და სხვა სანაკრებო საკითხებზე უახლოეს დროში უფრო კონკრეტულად გვეცოდინება და შემდეგ ამომწურავად ვილაპარაკოთო.

ლეგიონერი

## ცოტა დააკლდათ

დრამატული გამოდგა ბელგიის ჩემპიონატის ფინალური სერიის მესამე მატჩი, რომელშიც „შარლერუამ" სტუმრად „ოოსტენდესთან" 79:82 დათმო. იყო მომენტი, როცა შარლერუელები 8 ქულითაც დაწინაურდნენ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში „ოოსტენდემ" მეტი სიზუსტე გამოავლინა და სერიაში წინ გაიჭრა - 2:1.

სტუმართა ქართველმა თავდამსხმელმა **თორნიკე შენგელიამ** შეხვედრის ბოლო წუთები მოედანზე გაატარა. მან 18 წუთში 8 ქულა (8-დან 4 ორქულიანი), 5 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა.

„ოოსტენდეს" გამარჯვება 27-ქულიანი **კენი ვინსტონის** დამსახურებაა. მისი გუნდი სერიას 2:1 იგებს.

■ ■ ■

იტალიის ჩემპიონატში რა ანგარიშითაც მოიგო მეოთხედფინალი „დინამო სასარიმ", იმ ანგარიშით წააგო ნახევარფინალი - 0:3. შეგახსენებთ, რომ მეოთხედფინალში სარდინიელთა მეტოქე **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსი" იყო, ხოლო ნახევარფინალიდან „დინამო" სიენას „მონტეპასკიმ" გამოთიშა. სერიის მესამე შეხვედრა სიენელებმა კუნძულზე 79:64 მოიგეს.

ამ მატჩში დინამოელთა ფორვარდმა **ნიკა მეტრეველმა** მხოლოდ ერთი წუთი ითამაშა. საქართველოს ნაკრების ყოფილმა წევრმა, **ქუინტონ ჰოსლიმ** „დინამოელებს" 13 ქულა მოუტანა.

საქართველოს ქალთა ჩემპიონატი



## ოლიმპი პირველია

**ფინალი**

**29 მაისი, თბილისი**

**ოლიმპი-ზესტაფონი 80:48**

25:16, 18:8, 16:8, 21:16

**ოლიმპი:** სიგუა (4ქ), ჩარგეიშვილი (14ქ), მოდებაძე, ურუშაძე (8ქ), ცხადაია (11ქ, 9პ, 5ჩ), სიდამონიძე (2ქ), ლომია, საჯაია (16ქ, 9მ), ჩეკურიშვილი (14მ, 5პ), მაისურაძე (19ქ, 12მ), სირბილაძე (6ქ).

**ზესტაფონი:** კვინიკაძე (17ქ), ფუტკარაძე (9ქ, 6მ), კუპატაძე (5ქ, 7მ), ფოცხვერაშვილი (20მ, 6ქ), ხუსკივაძე (2ქ, 8მ), მანჩხაშვილი (9ქ), მოდებაძე.

**III ადგილი**

**ახმეტა-ქუთაისი 58:92**

11:18, 13:19, 21:18, 13:37

**ახმეტა:** ზარავანდაშვილი (21ქ, 12მ, 4პ, 6ჩ), ნ. ხოხობაშვილი, ნ. მამუკელაშვილი (16ქ, 6მ), მ. მამუკელაშვილი (9მ), სიმონიშვილი, თ. ხოხობაშვილი (10ქ, 10ჩ, 12მ), მ. ხოხობაშვილი (11ქ, 12მ), ჯულაშვილი.

**ქუთაისი:** ჯანაშია (10ქ), გაბრიაძე (2ქ), ამაღლობელი, გოგლიჩიძე (8ქ, 13მ), ბენდელიანი, მუშკუდიანი (3ქ), მაღლაკელიძე, მანაგაძე (12ქ, 7მ), ჟორჟოლიანი (46ქ, 29მ, 4პ), გაბიძაშვილი (11ქ, 11მ, 7პ, 5ჩ).

### საქართველოს თასი ქალთა შორის

**ფინალი**

**30 მაისი, თბილისი**

**ოლიმპი-ზესტაფონი 90:57**

23:17, 20:21, 26:6, 21:13

**ოლიმპი:** სიგუა, თხილავა, ჩარგეიშვილი (3ქ, 4პ, 4ჩ), მოდებაძე, ურუშაძე (5ქ), ცხადაია (15ქ, 10პ), სიდამონიძე (10ქ, 6მ), ლომია, საჯაია (27ქ, 6მ), ჩეკურიშვილი (18ქ, 14მ, 4პ), მაისურაძე (12ქ, 9მ), სირბილაძე (8მ).

**ზესტაფონი:** კვინიკაძე (8ქ), ფუტკარაძე (17ქ, 13მ), გრიგალაშვილი, კუპატაძე (9ქ, 8მ, 5პ), ხუსკივაძე (21ქ, 11მ), მეტრეველი (2ქ), მანჩხაშვილი.

მიმდინარე კვირას დასრულდა საქართველოს ქალთა ჩემპიონატი და თასის გათამაშება. პირველობაში ოთხი გუნდი მონაწილეობდა. რეგულარული ეტაპის შემდეგ ისინი ნახევარფინალურ წყვილებად განაწილდნენ, შემდეგ იყო ფინალი. საჩემპიონო მატჩში ერთმანეთს „ოლიმპი" და „ზესტაფონი" დაუპირისპირდნენ. გამარჯვება თბილისელებს დარჩათ - 80:48.

უპრეცედენტო ფაქტი დაფიქსირდა მატჩის დასრულებისთანავე: საფინალო სირენის შემდეგ ბურთი „ზესტაფონის" ფარქვეშ ამ გუნდის კალათბურთელ **შორენა კუპატაძეს** მიუვიდა, რომელმაც წაგებით განაწყენებულმა ბურთს ფეხი ამოარტყა და... საპირისპირო კალათში ჩააგდო!

მეორე დღეს ამავე გუნდების მონაწილეობით საქართველოს თასის ფინალი გაიმართა. გამარჯვება ისევ „ოლიმპს" დარჩა - 90:57.

გვერდი მოამზადა **ვაჟა სიმონიშვილმა**

რაგბი

● ლეგიონერები

# ყველა შემთხვევაში ქართველი ჩემპიონია
## ვინ დაგწყევლათ, კვაჭებო

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა. ელიტური, პირველი დივიზიონის გათამაშების ნახევარფინალში ქართველ მორაგბეთა ოთხი კლუბია, რაც იმას ნიშნავს, რომ წლეულს რომელიმე ან სულაც რამდენიმე ჩვენებური საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულს მოიხვეჭს.**

ქვეყნის ამჟამინდელი ჩემპიონი **აქვსენტი გიორგაძისა** და **ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზი" ნახევარფინალში შინ მიიღებს **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრს". შეგახსენებთ, რომ ტულუზელებმა რეგულარული გათამაშება პირველ ადგილზე დაასრულეს და პირდაპირ ნახევარფინალში ასპარეზობის უფლება მოიპოვეს. „კასტრმა" კი ნახევარფინალის შესარჩევში **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „მონპელიეს" სძლია.

მიუხედავად იმისა, რომ „ტულუზი" დიდი ხნის განმავლობაში ლიდერობდა, რეგულარული გათამაშების მიწურულს გუნდს დაღლილობა დაეტყო, რასაც ხშირი ტრავმიანობა დაერთო. ტულუზელებს განსაკუთრებით შერკინების კვაჭის პოზიციაზე გაუჭირდათ, იმდენად რომ ორი „სამედიცინო ჯოკერის" გამოყენებამ მოუწიათ და ორივეჯერ გუნდში ქართველი მორაგბეები, ჯერ აქვსენტი გიორგაძე, მერე ჯაბა ბრეგვაძე მიიწვიეს. ძნელი სათქმელია, „ტულუზის" შერკინების კვაჭები ვინ დაწყევლა, მაგრამ ფაქტია, წინამორბედების მსგავსად ორივე დაშავდა.

ტრავმირებულია ასევე „კასტრის" შერკინების ქართველი ბურჯი **ანტონ ფეიქრიშვილიც**. ნახევარფინალში ამ გუნდისთვის ეს ლამის ერთადერთი დანაკლისია. მწყობრში არიან კასტრელების მთავარი დამრტყმელი ძალა, ფეხბურთბინობით გამორჩეულები **რომენ ტულე** და **პიერ ბერნარი.**

*„ამ დღეს წელიწადია ველოდებით. შარშანდელი შეცდომები გამოვასწორეთ, მიღებული გამოცდილება გამოვიყენეთ და ნახევარფინალში გასვლა მოვახერხეთ. გუნდი საბრძოლველად მზად არის. ყველანაირად ვეცდებით უსიამოვნო ტრადიცია დავარღვიოთ და „ტულუზს" მისსავე მოედანზე მოვუგოთ."* - თქვა „კასტრის" მთავარმა მწვრთნელმა **ლორან ლაბიტმა.**

აღსანიშნავია, რომ „კასტრმა" ბოლოს ტულუზში 1979 წელს მოიგო. საფრანგეთის ჩემპიონატის ნახევარფინალში კი ეს გუნდები 11 წლის წინათ შეხვდნენ და გამარჯვება „ტულუზს" დარჩა.

რეგულარული გათამაშების პირველ წრეში „კასტრმა" შინ 24:3 მოიგო, მეორე წრეში კი, სტუმრად 27:34 დამარცხდა.

მეორე ნახევარფინალურ წყვილში **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი" შინ ეთამაშება **დავით ქუბრიაშვილისა** და **ლევან ჩილაჩავას** „ტულონს". შეგახსენებთ, რომ „ვულკანები" რეგულარულ გათამაშებაში მეორე ადგილზე გავიდნენ და ნახევარფინალში პირდაპირ მოხვდნენ. „ტულონმა" კი შესარჩევ მატჩში პარიზულ „მეტრო რასინგს" მოუგო.

აღსანიშნავია, რომ ნახევარფინალში ეს გუნდები 2010 წელსაც დაუპირისპირდნენ და, მაშინ, დამატებით დროში „კლერმონმა" სადავო ლელოთი გაიმარჯვა, რომელიც დავით ზირაქაშვილმა გაიტანა. ამას, ცხადია, სკანდალი მოჰყვა. არანაკლები აურზაური გამოიწვია ამ გუნდების შეხვედრის შედეგმა წლევანდელ გათამაშებაში.

ორივე შემთხვევაში „ტულონის" მულტიმილიონერმა პრეზიდენტმა **მურად ბურჯელალმა** მსაჯები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. ამჯერადაც „კომიკი პრეზიდენტი" აცხადებს, რომ ისეთი მსაჯობის პირობებში, როგორიც საფრანგეთშია, მის გუნდს გამარჯვების შანსი არ აქვს.

*„კლერმონში გამარჯვება გაცილებით მეტი იქნება, ვიდრე გმირობა. „ტულონი" ნამდვილად არ არის კარგ სათამაშო ფორმაში, მაშინ, როცა „ვულკანები" მთელი სეზონის განმავლობაში ბრწყინავდნენ. მოდით თამაშზე, ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს"* - თქვა „ტულონის" პრეზიდენტმა მურად ბურჯელალმა.

ცხადია, რომ მულტიმილიონერი პრეზიდენტი ხუმრობს. არავის ეჭვი არ ეპარება, რომ ზეამბიციური ბურჯელალი პრესას „ეთამაშება". ვარსკვლავებით მოჭედილი მისი გუნდი მზადაა, ჩემპიონისთვის განკუთვნილი ფარი ტულონში ჩაიტანოს და საამისოდ ყველაფერს ილონებს. შეგახსენებთ, რომ „ტულონი" საფრანგეთის საუკეთესო გუნდის ტიტულს ბოლოს 1992 წელს დაეუფლა.

ცხადია, შინაურ კედლებში გულხელდაკრეფილნი არც კლერმონელები ისხდებიან. მათ, შარშანდელი სეზონის გამოკლებით, ბოლო ოთხი ჩემპიონატის ფინალში იასპარეზეს და ერთხელ ჩემპიონებიც გახდნენ.

*„ტულონს" დიდი სიფრთხილით ვეკიდებით. ამ გუნდს რეალურად შესწევს ძალა დაგვამარცხოს. ტულონელები აგრესიულად თამაშობენ კონტაქტისას, ძლირები არიან როგორც შერკინებაში, ისე ლია თამაშშიდაც.*

*ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ ნაუვათ თამაში „ტულონის" ლიდერებს" ჯონი ვილკინსონს, მეთ გიტოსა და ბაკის ბოთას. ისინი დიდი ოსტატები არიან, ფინალურ სტადიებზე თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ და ამჯერადაც ყველაზე მეტ საფრთხეს მათგან უნდა ველოდოთ"* - თქვა „კლერმონისა" და საფრანგეთის ნაკრების ცხრა ნომერმა **მორგან პარამ.**

„ვულკანებს" გადამწყვეტი მატჩების წინ საკადრო პრობლემები მოეძალა. ახლახან ოპერაცია გაიკეთა მგეზავმა **დავიდ სკრელამ**, ტრავმების გამო საეჭვოა შოტლანდიელი მეორეხაზელის **ნათან ჰაინის** და საფრანგეთის ნაკრების უკანახაზელის **ჟულიენ მალზიოს** თამაში. დანამდვილებით ვერ ითამაშებს მესამეხაზელი **ჟულიენ ბონერი.**

პირველ წრეში „კლერმონმა" შინ მშრალი ანგარიშით 17:0 მოიგო, სტუმრად კი 19:25 წააგო.

**I დივიზიონი**

**ნახევარფინალი**

**კლერმონი-ტულონი, ტულუზი-კასტრი.**



შერკინებაში დავით ზირაქაშვილი

● ბარბაროსები



მარჯვნივ, უკანა პლანზე მამუკა გორგოძე

# გორგოძე და ბარბაროსები მილენიუმზე

**საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს" მესამეხაზელი მამუკა გორგოძე დღეს „ბარბაროსების" შემადგენლობაში მეორე მატჩს გამართავს. შეხვედრა ამჯერად კარდიფში, „მილენიუმზე" ჩატარდება. გორგოძესა და კომპანიას უელსის ეროვნული ნაკრები დაუპირისპირდება.**

„ბარბაროსების" ახალზელანდიელმა თავკაცმა **ჯონ ქირვანმა** „წითელ ურჩხულებთან" სათამაშოდ უელსური და მსოფლიოს რაგბის ლეგენდა **შეინ ვილიამსი** მიიწვია, რომელიც თავის კარიერაში ბოლო მატჩს გამართავს და სამწვრთნელო ასპარეზზე გადავა. ამავე შეხვედრაში მე-100 კეპს მოიხვეჭს უელსის ნაკრების ვეტერანი მორაგბე **მარტინ ვილიამსი.**

ირლანდიასთან მატჩისგან განსხვავებით, ქირვანმა სამი ცვლილება განახორციელა. ცხრა ნომრის პოზიციაზე **რიჩი რისი** ითამაშებს, შერკინების მარცხენა ბურჯი კი **დანკან ჯოუნზი** იქნება, გუნდის კაპიტნობა სამხრეთაფრიკელ **ჯონ სმიტს** ანდეს.

**ბარბაროსები: 15. მალილი მულიაინა, 14. ისა ნაკევა, 13. მაიკ თინდოლი, 12. კესი ლაულალა, 11. შეინ ვილიამსი, 10. სტივენ დონალდი, 9. რიჩი რისი. 1. დანკან ჯოუნზი, 2. ბენუა ოგუსტი, 3. ჯონ სმიტი, 4. მაიკ ოდრისკოლი, 5. მარკ ჩისლომი, 6. ფრანსუა ლოუ, 7. მამუკა გორგოძე, 8. ჯონი ბითი.**

**16. ალედ დე მალმანჩი, 17. ნეემია ტიალატა, 18. ენტონი ფან ზილი, 19. აკაპუსი ქერა, 20. რორი ლაუსონი, 21. საილოსი ტაგიკაკიბაუ, 22. სედრიკ ემონსი.**

● ზე რაგბი

# ხარები და ზვიგენები სტორმერზს ებრძვიან

**ზე რაგბის გათამაშების მე-15 ტური, ამ შეჯიბრების ყველაზე ტიტულოვანი გუნდის, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზისა" და დანიდნის „ჰაილენდერზის" დაპირისპირებით გაიხსნა. ეს გუნდები B ჯგუფში შესაბამისად მეორე-მესამე ადგილებზე არიან და პლეი ოფში გასვლისთვის იბრძვიან.**

ქრაისთჩერჩელებს, ცხადია, ჩემპიონობისთვის ბრძოლის გაგრძელების მეტი შანსი აქვთ და ცხადი იყო, რომ შინიდან დანიდინელებს განბილებულს გაუშვებდნენ. „ჯვაროსნებმა" მეტოქე დიდი ანგარიშით 51:18 დაამარცხეს. მასპინძლებმა მეტოქეს შვიდი ლელო გაუტანეს, აქედან ორი გარემარბ **ზაკ გილფორდის** ანგარიშზეა.

ამ მატჩში თავის ჩვეულ პოზიციაზე ითამაშა მგეზავმა **დენ კარტერმა,** რომელმაც ისევ ფეხბურთბინობით გამოიჩინა თავი. დენმა ხუთი გარდასახვა და ორი საჯარიმო გაიტანა (16 ქულა). ტრავმა მოიშუშა და გუნდს დაუბრუნდა მესამეხაზელი **კირან რიდი.**

„კრუსეიდერზი" ახლა 51 ქულით მეორე ადგილზეა და ლიდერს, ჰემილთონის „ჩიფსს" ორი ქულით ჩამორჩება. ჰემილთონელები სტუმრად ეთამაშებიან აუტსაიდერ ოქლენდის „ბლუზს", რომელიც აბსოლუტურად უმოტივაციოდაა დარჩენილი. „ჩიფსი", ცხადია, ამ მეტოქესაც დაამარცხებს, ოღონდ საკითხავი ის არის, შეძლებენ თუ არა სტუმრები მინიმუმ ოთხი ლელოს გატანასა და პრემიალური ქულის მოპოვებას.

**B ჯგუფი**

**კრუსეიდერზი-ჰაილენდერზი 51:18,**
**ბლუზი-ჩიფსი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ჩიფსი - 53 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 51, 3. ჰაილენდერზი - 44, 4. ჰარიკეინზი - 40, 5. ბლუზი - 17**

ერთი შეხვედრა გაიმართა A ჯგუფშიც. გათამაშების ლიდერმა კანბერას „ბრამბიზმა" სტუმრად ითამაშა „მელბურნ რებლზთან" და 27:19 დაამარცხა. ბრამბიზელები დასაწყისიდანვე დაწინაურდნენ და მატჩის ბოლომდე ინიციატივა ხელიდან არ გაუშვიათ. მგეზავი **ზაკ ჰოლმსი**, რომელიც წინა ტურში „რედსთან" მარცხის მთავარი მიზეზი იყო, ამჯერად კარში შესანიშნავად ურტყამდა. მან ოთხი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა (14 ქულა).

„ბრამბიზს" ახლა 49 ქულა აქვს და უახლოეს მდევარს, ბრისბენის „რედსს" ცხრა ქულით უსწრებს. ამავე ჯგუფის მესამეადგილოსანი სიდნეის „ვორათაზი", რომელსაც დღესდღეობით 30 ქულა აქვს, შინ ეთამაშება B ჯგუფის მეოთხეადგილოსან ველინგტონის „ჰარიკენზს". სიდნეელებისთვის, ფაქტობრივად, ეს ბოლო შანსია დაწინაურებულებს წამოეწიოს და პლეი ოფში გააღწიოს.

**A ჯგუფი**

**მელბურნ რებლზი-ბრამბიზი 19:27,**
**ვორათაზი-ჰარიკენზი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბრამბიზი - 49 ქულა, 2. რედსი - 40, 3. ვორათაზი - 30, 4. რებლზი - 29, 5. ფორსი - 23.**

C ჯგუფში ტურის ცენტრალური შეხვედრა გაიმართება. პრეტორიის „ბლუ ბულზი", რომელიც ამჟამად სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა შინ ეთამაშება ლიდერს, კეიპთაუნის „სტორმერზს". კეიპთაუნელები „ლურჯ ხარებს" ორი ქულით უსწრებენ. ამ მატჩში გამარჯვებული, ფაქტობრივად, პირდაპირ ნახევარფინალში თამაშის უფლებას გაინაღდებს.

პლეი ოფში, კერძოდ კი ნახევარფინალის შესარჩევ ეტაპზე გასვლისთვის იბრძვის დურბანის „ნატალ შარქსი", რომელიც მესამე ადგიზლეა და ლიდერ „სტეორმერზს" ხუთი ქულით ჩამორჩება. „ზვიგენები" სტუმრად ეთამაშებიან აუტსაიდერ იოჰანესბურგის „ლაიონზს"' და, სავარაუდოდ, მოგებასთან ერთად პრემიალურ ქულასაც ირგუნებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „სტორმერზი" პრეტორიაში დამარცხების შემთხვევაში მესამე ადგილზე დაქვეითდება.

**C ჯგუფი**

**ლაიონზი-ნატალ შარქსი,**
**ბლუ ბულზი-სტორმერზი**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. სტორმერზი - 50 ქულა, 2. ბლუ ბულზი - 48, 3. ნატალ შარქსი - 45, 4. ჩიტაზი - 32, 5. ლაიონზი - 15.**

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

# ქართული სპორტი

## ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

### არა არს რა დაფარული...

ალექსანდრე ჯინორიძის რუბრიკა

# დაფარულად დარჩა



დღეს ჩვენს რუბრიკაში უჩვეულო ამბავს მოგითხრობთ: დაფარული დაფარულად დარჩა და არასდროს არავისთვის არ გახდება ცნობილი და სწორედ ეს არის შესანიშნავი ამ ისტორიაში.

1953 წელს მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე (ჯომოლუნგმა, საგარმატხა) პირველად ავიდნენ (და, რაც მთავარია, ჩამოვიდნენ) მთასვლელბი: ახალზელანდიელი **ედმუნდ ჰილარი** და ნეპალელი **შერპი თენსინგ ნორგეი.** მოგეხსენებათ, მთამსვლელები ერთ თოკში არიან ჩაბმულნი და მწვერვალის დალაშქვრისას მისი დაპყრობა ყველას ერთდროულად ეთვლება. თუმცა პირველი ასვლის შემდეგ მოწყობილ კონფერენციებზე, ჟურნალისტებმა არაერთხელ დაუსვეს ალპინისტებს ფრიად დელიკატური შეკითხვა: მაინც, რომელმა შედგით პირველმა ფეხი მწვერვალზე? ასეთ შეკითხვებზე ტრიუმფატორები საკმაო ხნის განმავლობაში ასევე დელიკატურად პასუხს თავს არიდებდნენ, თუმცა აბეზარა ჟურნალისტები მაინც არ ცხრებოდნენ.. ყველაფერს წერტილი თენსინგ ნორგეიმ დაუსვა. მისი პასუხის შემდეგ ასეთი შეკითხვა აღარასოდეს არავის გაუმეორებია. აი, რა თქვა შერპმა: *''ბატონებო, განა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვინ შედგა პირველმა ფეხი მწვერვალზე, საგარმატხა ხომ ჩვენზე, ყველაზე მაღალია.''*

ცნობისთვის,ჰიმალაების უმაღლეს პიკს ინგლისელებმა ლორდ ევერესტის სახელი დაარქვეს. ლორდი ინდოეთის ვიცე-მეფე იყო, ანუ უმაღლესი რანგის კოლონიზატორი. ჯომოლუნგმა ჰინდიზე ნიშნავს მთას, რომელსაც ვერც ერთი ფრინველი ვერ გადაუფრენს, საგარმატხა კი ნორგეის ენაზე მიწის დედას ნიშნავს. შერპმა იცოდა რასაც ამბობდა.

### მხატვრული ტანვარჯიში

# ორნი ფინალში

გუშინ ნიჟნი ნოვგოროდში (რუსეთი) დაიწყო მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ევროპის ჩემპიონატი. ახალგაზრდებში წარმატებით აილეს სტარტი ქართველმა სპორტსმენებმა: საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს ჩემპიონმა **გაბრიელა ხვედელიძემ** რგოლით ვარჯიშში 26.225 ქულა მოაგროვა და ფინალში მესამე შედეგით შევიდა. მას რუსი დიანა ბორისოვა (27.400) და ბელარუსი ალიონა ბოლოტინა (26.700) უსწრებენ. ბურთით იასპარეზა **სოფიო ფარულავამ** და 26.000 ქულით მანაც ფინალში გამოსვლის უფლება მოიპოვა. წინასწარ ეტაპზე ჩვენებურს იანა კუდრიავცევამ (რუსეთი, 27.450), კატსიარინია ჰალკინამ (ბელარუსი, 26.750), მარინა დურუნდამ (აზერბაიჯანი, 26.300) და ანასტასია გულბინამ (უკრაინა, 26.200) აჯობეს. პირველი დღის შემდეგ საქართველოს ნაკრები 52.225 ქულით გუნდურ პირველობაში მესამეა. პირველ-მეორე ადგილებს რუსეთი (54.850) და ბელარუსი (53.450) ინაწილებენ. ჩვენებს კვალში მიჰყვებიან აზერბაიჯანი (52.150) და უკრაინა (51.325).

დღეს ხვედელიძე გურზებითა და **სალომე ფაჟავა** ბაფთით ვარჯიშში მოსინჯავენ ძალებს. ფინალური პაექრობები ხვალ გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

### ჭადრაკი

# მასპინძელი დაწინაურდა

ბულგარულ ალბენაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე სამი ტურით ადრე 5-5 ქულით სომხურ-ბულგარული კვარტეტი ლიდერობდა. გუშინ მე-7 ტურში თანამემამულეები - ჰრანტ მელქუმიანი და ვლადიმირ აკოფიანი (ორივე-სომხეთი) დაზავდნენ. ბულგარელმა ივან ჩეპარინოვმა ჰოვანეს გაბუზიანი (სომხეთი) დაამარცხა და ერთპიროვნულად დაწინაურდა. ტიგრან პეტროსიანმა (სომხეთი) შვედ პონტუს კარლსონს აჯობა და 5,5 ქულით მეწინავეებში გაერია. მსგავსი შანსი ვერ გამოიყენა **ალექსანდრე ყაშაშვილმა,** რომელიც ავეტიკ გრიგორიანს შეუთანხმდა ყაიმზე და 5 ქულას მოუყარა თავი, ისევე, როგორც ვლადიმირ ჰამიტევიჩის მძლეველმა **აკაკი შალამბერიძემ. თამაზ მგელაძე** ინდოელ ხამპარია აქშათს დაუზავდა და 4 ქულა აქვს. **ვახტანგ ჩიქოვანმა** შვეიცარიელ ნოელ შტუდერთან წააგო და აქტივში 3 ქულა დარჩა.

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: აკოფიანი (5,5)-ჩეპარინოვი (6), სიუ (5,5)-მელქულიანი (5,5), ა. გრიგორიანი (5)-პეტროსიანი (5,5), შალამბერიძე (5)-კარენ გრიგორიანი (5), ტიკანენი (5)-ყაშაშვილი (5)... ბუჩერი (3,5)-მგელაძე (3,5), [იქოვანი (3)-ივანოვი (3).

**ვაჟა დანელია**

« მე-10 გვერდიდან

ექვსი ტურის შემდეგ 5-5 ქულით კონერუ და სტეფანოვა დაწინაურდნენ. ლიდერებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან კოსტენიუკი, ქიანი, ვან იუე და ლაგნო. 9 მოჭადრაკეს 4-4 ქულა აქვს. მათ შორისაა ნინო ხურციძე, რომელსაც კოეფიციენტით მე-12 პოზიცია უკავია. მართალია, რაპიდში ჩემპიონატის დამთავრებამდე 5 ტურია დარჩენილი, და. ალბათ, მოულოდნელობებსაც უნდა ველოდოთ, მაგრამ, დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ქართველ მოჭადრაკეებს საპრიზო სამეულში მოხვედრა ძალიან გაუჭირდებათ.

გაუწყებთ ჩვენებურთა მონაგარს 6 ტურის შემდეგ: 12. ხურციძე (4), 17. ჩიბურდანიძე (3,5), 20. ჯავახიშვილი (3), 23. ძაგნიძე (3), 24. გვეტაძე (3)1, 26. ლომინეიშვილი (3), 27. ბაციაშვილი (3), 33. ხოტენაშვილი (2,5), 37. მელია (2,5), 38. არაბიძე (2,5), 39. ხუხაშვილი (2,5), 40. ჭარხალაშვილი (2), 41. ფერცელაძე (2), 42. მათნაძე (2), 43. ჯანჯღავა (2), 44. მიქაძე (2), 48. გაფრინდაშვილი (1), 49. გურიელი (1).

დღეს ბათუმში მეშვიდე-მეცხრე ტურების შეხვედრები გაიმართება. ხვალ დასკვნითი ორი ტური ჩემპიონებსა და პრიზიორებს გამოავლენს.

**ვაჟა დანელია**

### ოლიმპიური ფილატელია










### პირველი, პირველმა, პირველად...

■ ■ ■

**პირველი** მსოფლიოს ჩემპიონატი ცურვაში გაიმართა ლონდონში 1869 წელს. იქვე ჩატარდა წყალბურთელთა პირველი მატჩები.

■ ■ ■

**პირველმა** ველომრბოლთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა ინგლისელმა ექიმმა **ჯეიმს მურმა.**

■ ■ ■

**პირველად** ფორმულა 1-ის რბოლა იტალიის ცენტრალურ ავტოდრომზე მონიცაში ჩატარდა 1950 წლის 3 სექტემბერს და იგი იტალიელი **ჯუზეპე ფარინას** გამარჯვებით დასრულდა.

### ვიქტორინა

**1. ფრანგულმა გამოცემა „ფრანს ფუტბოლმა“ რომელი წლიდან ჩართო თავის ტრადიციულ გამოკითხვაში ევროპის გარეთ მოასპარეზე ფეხბურთელები?**

ა — 1991 წლიდან

ბ — 2000 წლიდან

გ — 2007 წლიდან

**2. რომელ წელს ჩატარდა პირველად საჭადრაკო ტურნირი შვეიცარიული სისტემით?**

ა — 1860 წელს

ბ — 1895 წელს

გ — 1904 წელს

**3. რომელი წლიდან ტარდება ძიუდოში ქალთა შორის ევროპის ჩემპიონატი?**

ა — 1994 წლიდან

ბ — 1970 წლიდან

გ — 1975 წლიდან

**4. ტარდება თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატი სუმოში ქალთა შორის?**

ა — ტარდება იაპონიის ჩემპიონატი

ბ — ტარდება ევროპის ჩემპიონატი

გ — არ ტარდება არანაირი ჩემპიონატი

**5. სად ჩატარდა XXIII ოლიმპიური თამაშები?**

ა — მონრეალში

ბ — ლოს-ანჯელესში

გ — სიდნეიში

### ნაკლებად ცნობილი თამაშები

# კალჩო ფიორენტინო

**კალჩო ფიორენტინო** (იტალ. calcio -ფეხბურთი, ფიორენტიონო ფლორენციული). ფეხბურთის მსგავსი თამაში, რომელიც წარმოიშვა XVI საუკუნის იტალიაში, კერძოდ, ფლორენციაში, თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი წინამორბედი. ბურთს ურტყამდნენ როგორც ფეხით, ისე ხელით, თითოეულ გუნდში 27-27 მოთამაშე იყო. გოლი გატანილად ითვლებოდა, თუკი ბურთს მოედნის პერიმეტრზე მონიშნულ ადგილს გადააცილებდნენ (თამაშის წესები პირველად გამოაქვეყნა ჯიოვანი ბარდიმ 1580 წელს). XVI საუკუნის ფლორენციაში წყალკურთხევიდან დიდმარხვამდე კარნავალები და ბურთაობა იმართებოდა, რასაც ეწოდებოდა ? კალჩო სტორიკოს (კოსტიუმირებული ფეხბურთი) — კალჩო ფიორენტინო შუა საუკუნეების იტალიის არაერთ ქალაქში გავრცელებული ამ გასართობის ყველაზე ტიპური ვარიანტი იყო. ასპარეზობა ტარდებოდა პიაცა დელა ნოვერეს ან პიაცა სანტა კროჩეს მოედანზე. თავდაპირველად თამაშობდნენ მხოლოდ ახალგაზრდა არისტოკრატები, ლამაზ აბრეშუმის კოსტიუმებში გამოწყობილნი. თამაში მეტისმეტად ძალისმიერი იყო და დროდადრო მასობრივ ჩხუბს ემსგავსებოდა. მეცნიერთა ვარაუდით, ის წარმოიშვა, როგორც სამხედრო წვრთნის ერთგვარი საშუალება. არსებობს ცნობა, რომ ამ თამაშით ვატიკანში რომის პაპებიც კი იქცევდნენ თავს, კერძოდ, კლიმენტ VII, ლეონ IX და ურბან VIII. კალჩო ფიორენტინოს ყველაზე ცნობილი მატჩი გაიმართა 1530 წლის 17 თებერვალს, როდესაც ფლორენცია გერმანელი იმპერატორის, კარლოს V-ის ჯარებით იყო გარშემორტყმული. ფლორენციელებმა თამაში გამართეს, როგორც მოწინააღმდეგის ერთგვარი გამოწვევა. კალჩო ფიორენტინო ყოველწლიურად ტარდებოდა 1739 წლამდე. აღადგინეს 1930 წელს ზემოთხსენებული ისტორიული მატჩის 400 წლისთავის ალსანიშნავად და მას შემდეგ ყოველ წელიწადს იმართება, როგორ ტურისტული ატრაქციონი.



### თარიღი 2 - 8 ივნისი

**02. 1891 წ.** ფეხბურთის წესების საერთაშორისო საბჭომ მიიღო ირლანდიელი **მაკრუმის** წინადადება პენალტის შემოღების შესახებ.

**02. 1904 წ.** დაიბადა **ფრანტიშეკ პლანიჩკა** — ფეხბურთი (ჩეხოსლოვაკია).

**02. 1904 წ.** დაიბადა **ჯონი ვაისმიულერი** — ცურვა (აშშ).

**02. 1974 წ.** დაიბადა **გატა კამსკი** — ჭადრაკი (სსრკ, აშშ).

**03. 1941 წ.** დაიბადა **ანატოლი პუზაჩი** — ფეხბურთელი, მწვრთნელი (უკრაინა).

**03. 1949 წ.** დაიბადა **ლეოპოლდო ლუკე** — ფეხბურთი (არგენტინა).

**03. 1837 წ.** ლონდონში გაიხსნა პირველი იპოდრომი დაბრკოლებათა გადალახვაში შეჯიბრებისთვის.

**03. 1975 წ. პელემ** სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა ნიუ-იორკის საფეხბურთო კლუბ „კოსმოსთან“.

**04. 1938 წ.** მარსელში (საფრანგეთი) სტარტი აიღო მსოფლიოს III ჩემპიონატმა ფეხბურთში.

**04. 1927 წ. ჯონი ვაისმიულერმა** (აშშ) 100 და 200 მეტრზე გაცურვაში მსოფლიოს რეკორდები დაამყარა.

**04. 1985 წ.** დაიბადა **ლუკაშ პოდოლსკი** — ფეხბურთი (გერმანია).

**05. 1968 წ.** ნეაპოლში (იტალია) გაიხსნა ფეხბურთში ევროპის III ჩემპიონატის ფინალური ტურნირი.

**05. 1938 წ.** ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის ბრაზილია - პოლონეთის მატჩში პოლონელმა **ვილიმოვსკიმ** - 4, ბრაზილიელმა **ლეონიდასმა** კი 3 გოლი გაიტანეს.

**06. 1954 წ.** დაიბადა **ვლადისლავ ჟმუდა** — ფეხბურთი (პოლონეთი).

**07. 1930 წ.** დაიბადა **ჰიდერალდო ბელინი** — ფეხბურთი (ბრაზილია).

**08. 1895 წ.** დაიბადა **სანტიაგო ბერნაბეუ** — მადრიდის „რეალის“ პატრონი და მფარველი. მის სახელს ატარებს „რეალის“ საქვეყნოდ ცნობილი სტადიონი. გარდაიცვალა 1978 წ.

**08. 1958 წ.** სტოკჰოლმში (შვედეთი) გაიხსნა ფეხბურთში მსოფლიოს IV ჩემპიონატის ფინალური ტურნირი.

**08. 1959 წ.** ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატში გავიდა მე-10 000 გოლი.

**08. 1956 წ.** ლისაბონში (პორტუგალია) გადაწყდა სამხრეთ აფრიკის საფეხბურთო კონფედერაციის დაფუძნება.

**08. 1983 წ.** დაიბადა **კიმ კლაისტერსი** — ჩოგბურთი (ბელგია).

**შენიშვნა:** *ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ქვეყნდება ხუთშაბათობით „ქართული სპორტის ქრონიკებში“.*

### კვიმატი ობიექტივი



უცხოური სპორტი

მძლეოსნობა. ბრილიანტის ლიგა

# ბოლტი ისევ ბოლტია

რომში პრესტიჟული კომერციული სერიის – "ბრილიანტის ლიგის" მესამე ეტაპი გაიმართა. რა თქმა უნდა, საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანის, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის **უსაინ ბოლტის** გამოსვლა. გასულ კვირას იამაიკელმა სპრინტერმა ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა თავისი სპორტული ფორმის შესახებ, როცა ჩეხეთის ქალაქ ოსტრავაში 100 მეტრი 10 წამსა და 4 მეასედში გაირბინა.

უსაინის ძირითადი მეტოქე **ასაფა პაუელი** იყო, გარდა ამისა, გარბენში მონაწილეობდა ევროპული სპრინტის მეფე **კრისტოფ ლემეტრი**. ასაფას უკვე დიდი ხანია არ დაუმარცხებია ბოლტი პირად დუელში, ამიტომაც ინტრიგაზე ლაპარაკი რთული იყო.

ამჯერად, ბოლტს ყველაფერი წესრიგში ჰქონდა და სეზონის საუკეთესო დრო აჩვენა. მართალია, იამაიკელმა ისევ წააგო სტარტი და თავიდან ჩამორჩა, მაგრამ დისტანციის მეორე ნახევარში ჩვეული ტემპი განავითარა და საბოლოო შედეგი – 9 წამი და 76 მეასედი დააფიქსირა. ეს რომის ტურნირის რეკორდი გახლავთ.


უსაინ ბოლტი

მეორე მივიდა ფინიშთან ასაფა პაუელი, რომლის დრო იყო 9.91 წამი, მესამეზე ფრანგი კრისტოფ ლემეტრი გავიდა.

■ ■ ■

კენიელი **პოლ კიპსელე კოეჩი** ისეთი პოპულარული არ არის, როგორც ბოლტი, მაგრამ მთელი ოლიმპიური სტადიონი არანორმალურად უჭერდა მას მხარს 3000-მეტრიანი სტიპლჩეზის ბოლო წრეზე. კოეჩმა სერიოზულად განიზრახა მსოფლიოს რეკორდის დამხობა და მხოლოდ ბოლო მეტრებზე ველარ შეძლო ტემპის შენარჩუნება. მიუხედავად ამისა, ისტორიაში მესამე შედეგი აჩვენა – 7.54,31, რაც შვიდი მეათედი წამით უარესია მსოფლიოს რეკორდზე.

ძალიან მაღალი შედეგი დაფიქსირდა ქალებს შორის 1500 მეტრზე სირბილში. აქ რეკორდზე ლაპარაკი არ ყოფილა, მაგრამ 21 წლის **აბება არეგავიმ** სეზონის საუკეთესო დრო (3.56,54) აჩვენა და ტურნირის რეკორდიც გააუმჯობესა. ასევე საინტერესო იყო ქალებს შორის 5000 მეტრზე გარბენი **ვივიან ჩერუიოტისა** და **მეზერეტ დეფარის** ფანტასტიკური ფინიშით. ბოლო მომენტამდე გაურკვეველი იყო, ვინ გაიმარჯვებდა. თავდაპირველად ყვავილები დეფარს გადასცეს, მაგრამ შემდეგ, ფოტოფინიშის მეშვეობით პირველობა ჩერუიოტს მიანიჭეს.

ბრწყინვალედ გამოვიდა მამაკაცებს შორის სიმაღლეზე ხტომის სექტორში ბრიტანელი **ბობი გრაბარზი**. ის პირველი ცდიდან იღებდა ყველა სიმაღლეს და საბოლოოდ, 2,33 მეტრზე გაჩერდა, რაც სეზონის საუკეთესო შედეგია. ჭოკით ხტომაში მორიგი სტარტი ჩააგდო ოლიმპიურმა ჩემპიონმა **სტივენ ჰუკერმა** – მხოლოდ 5.42 მეტრით დაკმაყოფილდა. დამაჯერებელი გამარჯვება კი ფრანგმა **რენო ლავილენიემ** მოიპოვა – ამისთვის 5.82 მეტრზე გადახტომაც საკმარისი აღმოჩნდა. ტურნირის კიდევ ერთი რეკორდი დამყარდა ქალებს შორის ბირთვის კვრაში. **ვალერი ადამსმა** 21.03 მეტრი დააფიქსირა და 27 წლის წინანდელი რეკორდი დაამხო.

მოკლედ, რომის ეტაპზე მართლაც ძალიან მაღალი შედეგები დაფიქსირდა და როგორც ჩანს, ოლიმპიადაზე მსოფლიოს რამდენიმე რეკორდს ვიხილავთ. რაც შეეხება "ბრილიანტის ლიგას", უახლოესი ეტაპი დღეს ამერიკის ქალაქ იუჯინში გაიმართება.

კრივი

# მეივეზერი ციხეში მიდის


ფლოიდ მეივეზერი

პროფესიულ რინგზე დაუმარცხებელი ამერიკელი, თანამედროვეობის ერთ-ერთ საუკეთესო მოკრივედ აღიარებული **ფლოიდ მეივეზერი** დღეიდან დაიწყებს იმ სასჯელის მოხდას, რომელიც გასული წლის დეკემბერში სასამართლომ გამოუწერა. ლაპარაკია ექვსთვიან პატიმრობაზე.

შეგახსენებთ, აშშ-ის სასამართლომ ეს ვადა (ამ ექვსი თვიდან სამი პირობითია) მეივეზერს ორი მუხლის მიხედვით მიუსაჯა: "ძალადობა ოჯახში" და "თავდასხმა ფიზიკური ძალის გამოყენებით". მოკრივეს სასჯელის მოხდა უფრო ადრე უნდა დაეწყო, მაგრამ მოსამართლე **მელისა სარაგოსამ** გაითვალისწინა ფლოიდის თხოვნა, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა – მოკრივეს სურდა სრულფასოვანი მომზადება გაევლო **მიგელ კოტოსთან** ბრძოლის წინ. შეგახსენებთ, რომ ეს შეხვედრა 5 მაისს ჩატარდა და მეივეზერის გამარჯვებით დასრულდა.

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი


თანდერი კარგად დარბოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპურსის პირველი გაჩერება

პირველ ორ მატჩში "სან ანტონიოს" დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, ბევრმა ექსპერტმა პირდაპირ მიანიჭა **გრეგ პოპოვიჩის** გუნდს ფინალის საგზური. მათი აზრით, დღევანდელი "ოკლაჰომა" გამოცდილ მეტოქეს ბევრ რამეში ჩამორჩება. თუმცა "თანდერის" დამრიგებელი **სკოტ ბრუქსი** ოპტიმიზმს არ კარგავდა. ის თავის შეგირდებს მუდმივად უმეორებდა, რომ "სან ანტონიოს" დასამარცხებლად დაცვაში კარგი თამაშია საჭირო და რომ ერთ მატჩში 120 ქულის გაშვება – მიულებელი შედეგია. რთული სათქმელია, რა მეთოდებით მიიტანა მწვრთნელმა ეს მოწოდება გუნდამდე, მაგრამ ფაქტია, რომ მესამე შეხვედრაში სულ სხვა "ოკლაჰომა" ვიხილეთ.

მასპინძლები მაქსიმალურად აგრესიულები იყვნენ, განსაკუთრებით დაცვაში. სტუმრები ჩაიკარგნენ მეტოქის მჭიდრო პრესინგში, მათ შორის "სან ანტონიოს" ლიდერები. **პარკერის**, **ჯინობილისა** და **დანკანის** ტრიომ 32 ტყორცნიდან მხოლოდ 12 გამოიყენა. მთლიანად ჩააგდო შეხვედრა **ნილმა**, რომელმაც 11 ნასროლიდან 8 ააცილა მიზანს, ვერცერთხელ ვერ გამოიჩინეს თავი **ბონერმა** და **დიაომ**. 21 შეცდომა ერთ-ერთი საუკეთესო კონტრშეტევის მქონე გუნდთან, რბილად რომ ვთქვათ, მიულებელი შედეგია. *"ჩვენ შესანიშნავად ვუგებდით ერთმანეთს დაცვაში. აქტიურად ვმოძრაობდით და მეტოქეს თავისუფლად ტყორცნის საშუალებას არ ვაძლევდით. სწორედ ასე უნდა ითამაშო საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ"*, - თქვა მატჩის შემდეგ ბრუქსმა.

გარდა ამისა, მასპინძლები მეტოქის ნახევარზეც კარგად გამოიყურებოდნენ. თანაც დატვირთვა შეტევაში თითქმის ყველაზე თანაბრად გადანაწილდა. მაგალითად, **უესტბრუკმა** მხოლოდ 10 ქულა დააგროვა, მაგრამ შედეგზე ამას გავლენა არ ჰქონია. მცველმა უამრავი შავი სამუშაო შეასრულა, ოთხი ჩაჭრა დააგროვა და სამმაგ დუბლამდეც ახლოს იყო. გარდა ამისა, საუკეთესო გახლდათ სარგებლიანობის კოეფიციენტით. მაგრამ მატჩის ნამდვილ გმირად არა უესტბრუკი ან თუნდაც **დურანტი**, არამედ **ტაბო სეფოლოშა** უნდა მოვნათლოთ. შვეიცარიელმა 36 წუთი სათამაშო დრო მიიღო. შედეგად, ჩვეულებრივ დაცვაში ბრწყინვალედ მოთამაშე სეფოლოშა (ექვსი ჩაჭრა მიითვალა) შეტევაშიც ძალიან შედეგიანი იყო. მან 19 ქულა დააგროვა და სამი ქულა დააკლდა შედეგიანობის პირად რეკორდამდე. სამაგიეროდ, ინდივიდუალური რეკორდი გაიმეორა ზუსტი სამქულიანების რაოდენობით - ოთხი. ცუდი შედეგი არ არის კალათბურთელისთვის, რომლის საშუალო შედეგიანობა პლეი ოფში ოთხ ქულას შეადგენს. *"გვინდოდა დურანტისა და უესტბრუკის შეჩერება და საბოლოოდ, სეფოლოშას მივეცით თავისუფლად სროლის საშუალება"*, - ამბობდა ტონი პარკერი.

შესაბამისად, გასაკვირი არაფერია იმაში, რომ "თანდერმა" თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა. დებიუტში სტუმრებმა თამაშიდან პირველი სამი ტყორცნა ააცილეს და ოთხჯერ დაკარგეს ბურთი, რასაც პოპოვიჩის ტაიმაუტი მოჰყვა. ამ პაუზამ დანკანსა და მის პარტნიორებს ცოტა ხნით უშველა. მეორე მეოთხედის დასაწყისში სტუმრები ბოლოჯერ გავიდნენ წინ. სწორედ მაშინ, პირველი და ერთადერთი ზუსტი ტყორცნა შეასრულა თამაშიდან ჯინობილიმ. ამას მოჰყვა დურანტისა და კომპანიის მიერ ორგანიზებული სპურტი – 13:1. დიდი შესვენებისთვის "ოკლაჰომას" უპირატესობა 13 ქულას უდრიდა.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მესამე მეოთხედის მსვლელობისას ბრუქსის შეგირდები მეთოდურად ზრდიდნენ უპირატესობას. მეოთხედის დასრულებამდე ორი წუთით ადრე **ფიშერის** სამქულიანის შემდეგ სხვაობა უკვე 22 ქულას შეადგენდა. ასე თუ ისე, ცდილობდა წინააღმდეგობის გაწევას **ჯექსონი**, რომელიც კინაღამ "სპურსის" საუკეთესო მოთამაშე გახდა. ვეტერანმა შვიდიდან ექვსი ტყორცნა გამოიყენა, მათ შორის - ხუთიდან ოთხი სამქულიანი. სტივენის ეს მონდომება მხოლოდ სხვაობის შესამცირებლად აღმოჩნდა საკმარისი, ისიც ცოტა ხნით. ბოლო მეოთხედის შუაში მასპინძლების უპირატესობამ 27 ქულასაც კი მიაღწია.

"სან ანტონიოს" აქტივში მხოლოდ ის შეიძლება ჩაიწეროს, რომ დანკანი პლეი ოფის ყველა დროის რეკორდსმენი გახდა დაფარებების რაოდენობით. წინა რეკორდი **ქარიმ აბდულ-ჯაბარს** ეკუთვნოდა და ახლა მას ტიმი ერთი ბლოკ-შოტით უსწრებს. თუმცა მატჩის ბოლო 15 წუთი დანკანი და პარკერი მოედანზე არ გამოჩენილან. ეჭვგარეშეა, რომ ასეთი სამარცხვინო წაგების შემდეგ, პოპოვიჩი სერიოზულად დაელაპარაკება თავის შეგირდებს და მომდევნო მატჩში მოედანზე სულ სხვა "სპურსს" ვნახავთ. მიუხედავად ამისა, გუშინდელი მატჩის ანგარიში ნეიტრალურ გულშემატკივარს იმის იმედს უტოვებს, რომ ჩემპიონის ვინაობა ჯერ გარკვეული არ არის და ბრძოლა მხოლოდ ახლა იწყება.

**ოკლაჰომა-სან ანტონიო 102:82**

22:24, 32:17, 24:19, 24:22

**ო:** დურანტი (22+6 მოხსნა+5 პასი), სეფოლოშა (19+6 ჩაჭრა+6 მოხსნა), ჰარდენი (15+3 პასი), იბაკა (14+3 დაფარება), უესტბრუკი (10+9 პასი+7 მოხსნა+4 ჩაჭრა+2 დაფარება), კოლისონი (6), ფიშერი (5+4 პასი), პერკინსი (4+8 მოხსნა+3 დაფარება), აივი (2), კუკი (2), ჰეივორდი (2), ოლდრიჩი (1).

**ს-ა:** პარკერი (16+4 პასი), ჯექსონი (16), დანკანი (11+5 დაფარება), ბლეირი (10+6 მოხსნა), ჯინობილი (8+6 მოხსნა), ნილი (7+5 პასი), ანდერსონი (4), გრინი (3), მილსი (3), ლეონარდი (2+6 მოხსნა), დიაო (1), სპლიტერი (1).

(44.6/49.4), სამქულიანები (38.5/31.3), (66/89.7).

**რეალიზაციის პროცენტი:** თამაშიდან (45.5/39.5), სამქულიანები (27.3/42.3), საჯარიმოები (94.1/73.3).

**სერია:** 1-2

ამბები

კალათბურთი

## ჰოვარდმა გაცვლა მოითხოვა

ამერიკული პრესა სანდო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ "ორლანდოს" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** ნანობს "მეჯიქთან" ერთი წლით კონტრაქტის გახანგრძლივებას და კლუბის ხელმძღვანელობისგან ტრეიდზე დაყენებას ითხოვს.

ვარაუდობენ, რომ როგორც კი "ორლანდოში" ახალი გენერალური მენეჯერი დაინიშნება, მისი უპირველესი ამოცანა ჰოვარდის სარფიანი გაცვლის ორგანიზება გახდება.

ველოსპორტი

## არშემდგარი სკანდალი

ესპანეთის პოლიციამ არასაკმარისი მამხილებელი საბუთების გამო შეწყვიტა სადოპინგო საქმის გამოძიება, რომელმაც "ოპერაცია გალგოს" სახელწოდება მიიღო.

მოსამართლე **მერსედეს პერესმა** 24 მაისს არ მიიღო ბრალდება 12 ადამიანის წინააღმდეგ. უფრო ადრე, მადრიდის სასამართლომ გამოაცხადა, რომ ტელეფონების მოსმენებმა და ეჭვმიტანილთა სახლების ჩხრეკამ შედეგი არ მოიტანა.

ამ საქმის მთავარი მოქმედი პირი იყო დოქტორი **ეუფემიანო ფუენტესი** - გახმაურებული დოპინგ-სკანდალის "ოპერაცია პუერტოს" გმირი. 2010 წელს დააპატიმრეს 14 ადამიანი, მათ შორის ფუენტესი, მისი და იოლანდა და მორბენალი მარტა დომინგესი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი

# იდეალური

**ნიკლას ლიდსტრიომის** ჰოკეიდან წასვლის შესახებ ინფორმაცია მოულოდნელად გაჩნდა, რადგან ბევრს ეგონა, რომ დიადი შვედი მცველი კიდევ ერთ წელს თავის ჩვეულ დონეზე ითამაშებდა და შემდეგ დაასრულებდა კარიერას. მაგრამ დეტროიტელმა სხვანაირად გადაწყვიტა. ამ ნაღვლიან ინფორმაციას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ ნიკლასი არა მხოლოდ თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ჰოკეისტი, არამედ კარგი ადამიანიცაა. იდეალური კი. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ ლაპარაკობენ მისი პარტნიორები და მეტოქეები.

*"ჩვენ მას იდეალურ ადამიანს ვეძახით. და ამის მიზეზი არსებობს – ყველაფერი, რასაც ის აკეთებს, უბრალოდ იდეალურად, სრულყოფილად გამოიყურება. ამიტომაც ასეთი მეტსახელი მას სავსებით მიესადაგება"*, - ამბობს "რედ უინგზში" ლიდსტრიომის პარტნიორი **ნიკლას კრონვალი.**

"იდეალური" მცველი "დეტროიტმა" დრაფტზე 1989 წელს, 53-ე ნომრად აიყვანა. "რედ უინგზმა" მაშინ კიდევ ორი მოთამაშე აირჩია, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს კლუბის ისტორიაში – მცველი **ვლადიმერ კონსტანტინოვი** და ფორვარდი **სერგეი ფიოდოროვი**. იმავე დრაფტზე პირველი ნომერი იყო კიდევ ერთი ლეგენდარული შვედი **მატს სუნდინი.**

ლიდსტრიომს დებიუტი NHL-ში 1991-92 წლების სეზონში ჰქონდა – მან 80 მატჩი ჩაატარა და 60 ქულა დააგროვა. მას შემდეგ ნიკლასი "დეტროიტის" მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა, რომელიც მუდმივად მოქმედებაში იყო – 20 წლის განმავლობაში შვედმა რეგულარულ ჩემპიონატში მხოლოდ რამდენიმე ათეული მატჩი გამოტოვა, პლეი ოფში კი ასეთი რამ ერთხელაც არ მომხდარა.

თვითმხილველები და თავად ლიდსტრიომი მიიჩნევს, რომ მის კარიერაში გარდამტეხი გახდა 1997 წელი, როცა ავტოავარიის შემდეგ კარიერის გაგრძელება ველარ შეძლო ვლადიმერ კონსტანტინოვმა და ლიდსტრიომს მისი სრულფასოვნად შეცვლა მოუწია. *"დიახ, ასე იყო. როცა ცხადი გახდა, რომ კონსტანტინოვი თამაშს ვერ შეძლებდა, ნიკს მოუწია თავის თავზე ლიდერის ფუნქციების აღება"*, - ამბობს ლეგენდარული მწვრთნელი **სკოტი ბოუმენი**. *"ლიდსტრიომი ისედაც კარგად თამაშობდა, მაგრამ 1997 წლის შემდეგ ჩვენ სულ სხვა ჰოკეისტი ვიხილეთ"*, - მიაჩნია გენერალურ მენეჯერს კენ ჰოლანდს.

საინტერესოა, რომ სწორედ იმ დროს, ლიდსტრიომი NHL-ში კარიერის დასრულების შესახებ ფიქრობდა! ეს ამბავი მის ოჯახს უკავშირდებოდა, რომელსაც სამშობლოში სურდა დარჩენა.

*"1999 წელს ჩემი უფროსი ვაჟი სკოლაში უნდა შესულიყო და მე და ჩემი მეუღლე შვედეთში დაბრუნებას ვფიქრობდით. თუმცა, ჩვენმა ბევრმა მეგობარმა შეიყვანა თავისი შვილი ამერიკის სკოლაში, ამიტომაც გადავწყვიტეთ ბედი გვეცადა და ბავშვი ადგილობრივ სკოლაში მიგვეყვანა"*, - ამბობს ლიდსტრიომი.

ნიკლასმა, რომელსაც იმ დროისთვის მოგებული ჰქონდა ორი სტენლის თასი, დეტროიტში დარჩენა გადაწყვიტა და აქედან მოყოლებული დაიწყო ტიტულების შეგროვება. ლიდსტრიომი პირველი ევროპელი ჰოკეისტი გახდა, ვინც "ნორის ტროფი" და "კონ სმიტ ტროფი" მოიგო, პირველი ევროპელი კაპიტანია, რომელმაც სტენლის თასი მოიპოვა, გახდა "ნორის ტროფის" ყველაზე ასაკოვანი მფლობელი, ლიდერი ევროპელ მოთამაშეებს შორის მატჩების რაოდენობით აგრეთვე, პირველი ევროპელი მცველი, რომელმაც კარიერაში 1000 ქულა დააგროვა.

ლიდსტრიომი უამრავი რეკორდისა და მიღწევის ავტორია, მაგრამ დიადი იმის გამო გახდა, რომ არ შეუცვლია გარშემო მყოფთა მიმართ დამოკიდებულება ვარსკვლავური სტატუსისა და დიდი ფულის მოპოვების მიუხედავად. *"ყველას პატივისცემით უნდა მოეპყრა. როცა ჩემი შვილების თამაშის სანახავად მივდივარ, ჩვეულებრივი ადამიანები მოდიან და ავტოგრაფს მთხოვენ. უარს არავის ვეუბნები, რადგან თავი უბრალო ადამიანად მიმაჩნია. უბრალოდ გამიმართლა, რომ კარგი სამუშაო მივილე და კარგი ჰოკეისტი გავხდი"*, - ამბობს ლიდსტრიომი.

შვედმა შვიდჯერ მოიგო საუკეთესო მცველისთვის განკუთვნილი პრიზი. უფრო მეტი მხოლოდ ლეგენდარულ **ბობი ორს** ჰქონდა. ამ მხრივ ლიდსტრიომის დომინირება **სკოტ ნიდერმაიერმა** შეწყვიტა. *"შესანიშნავი მოთამაშე, შესანიშნავი მცველი. მან ყველა თავისი ჯილდო დაიმსახურა. ერთ-ერთი უჭკვიანესი ჰოკეისტი თავის პოზიციაზე"*, - მიიჩნევს ნიდერმაიერი.

ოთხი სტენლის თასისა და ოლიმპიური ოქროს მიუხედავად, მის კარიერაში იმედგაცრუების მომენტებიც იყო. კერძოდ, 2002 წლის ოლიმპიური თამაშები და 2009 წლის სტენლის თასის ფინალი. *"ბელარუსთან მეოთხედფინალი ყველას ემახსოვრება. თითქოს ჩვენ უნდა მოგვეგო, მაგრამ ისინი ბრწყინვალედ მოქმედებდნენ და შვედეთის ნაკრები გამოთიშეს ბრძოლას. ერთ-ერთი ყველაზე უარესი მომენტი ჩემს კარიერაში. მეორე ასეთი ეპიზოდია 2009 წელს ფინალური სერია "პიტსბურგის" წინააღმდეგ. სერიას 3:2-ს ვიგებდით, მაგრამ დავმარცხდით მეექვსე მატჩში და გადამწყვეტი შეხვედრაც დავთმეთ. სამწუხარო მომენტია"*, - ამბობს ლიდსტრიომი.

*"კარიერა მთლიანად "რედ უინგზის" შემადგენლობაში გავატარე და ეს მნიშვნელოვანია ჩემთვის. საინტერესოა, რომ ერთხელაც არ გავსულვარ თავისუფალი აგენტების ბაზარზე, რადგან ყოველთვის მინდოდა ამ გუნდში დარჩენა და ხელმძღვანელობას ეს კარგად ესმოდა.*

*რა თქმა უნდა, კარიერის დასრულების შემდეგ ისევ ჰოკეიში დავრჩები, რადგან ჩემი შვილები სპორტის ამ სახეობით არიან დაკავებული. რაც შეეხება მწვრთნელის ან მენეჯერის სამუშაოს, აქ სერიოზული ფიქრი დამჭირდება"*, - განაცხადა ლიდსტრიომმა.

## ფაქტები ლიდსტრიომზე

- ცოლიანი, ჰყავს ოთხი შვილი;
- შედის ჰოკეისტთა ე. წ. "ოქროს კლუბში". ეს ის მოთამაშეები არიან, რომლებმაც მოიგეს სტენლის თასი, ოლიმპიადა და მსოფლიოს ჩემპიონატი;
- 2011 წელს, დეტროიტთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქში ერთ-ერთ ქუჩას ლიდსტრიომის სახელი ეწოდა;
- საყვარელი საფეხბურთო კლუბი – "ლივერპული";
- სპორტული ბარის მფლობელია მშობლიურ ქალაქ ვასტერასში;
- NHL-ში დებიუტი ჰქონდა 1991 წლის 3 ოქტომბერს "ჩიკაგოს" წინააღმდეგ. ის მატჩი 3:3 დასრულდა;
- 2006 წლის ოლიმპიადაზე ლიდსტრიომმა გამარჯვების შაიბა გაიტანა ფინეთთან ფინალურ შეხვედრაში;
- ჟურნალმა The Hockey News-მა ლიდსტრიომი NHL-ის ისტორიაში საუკეთესო ევროპელ ჰოკეისტად დაასახელა.
- გამოცემებმა - The Sporting News-მა და Sports Illustrated-მა 2010 წელს ლიდსტრიომი ათწლეულის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.
- რეგულარულ ჩემპიონატში ლიდსტრიომმა 1564 მატჩი ჩაატარა და 1142 ქულა (264 გოლი+878 შედეგიანი პასი) დააგროვა. მისი სარგებლიანობის კოეფიციენტია: "პლუს 450".
- NHL-ში გამოსვლის პერიოდში დაახლოებით 99 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ნიკლას ლიდსტრიომი

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **მუნდიალი 2014** | |
| **აფრიკა** | |
| განა-ლესოტო | 7:0 |
| ეგვიპტე-მოზამბიკი | 2:0 |
| **ოკეანეთი** | |
| სამოა-ტაიტი | 1:10 |
| ვანუატუ-ახ. კალედონია | 2:5 |
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 21** | |
| ბოსნია-ბელარუსი | 3:0 |
| სან მარინო-საბერძნეთი | 0:0 |
| ლუქსემბურგი-ჰოლანდია | 0:5 |
| სლოვენია-მალტა | 2:1 |
| ჩეხეთი-ჩერნოგორია | 2:1 |
| ფარერები-მაკედონია | 1:1 |
| მოლდოვა-პოლონეთი | 2:5 |
| პორტუგალია-რუსეთი | 1:0 |
| უნგრეთი-თურქეთი | 1:0 |
| ნორვეგია-აზერბაიჯანი | 1:0 |
| სლოვაკეთი-რუმინეთი | 0:2 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| მექსიკა-ბოსნია | 2:1 |
| ყაზახეთი-ყირგიზეთი | 5:2 |
| ლატვია-ლიტვა | 5:0 |
| ჩეხეთი-უნგრეთი | 1:2 |
| ესტონეთი-ფინეთი | 1:2 |
| ავსტრია-უკრაინა | 3:2 |
| იტალია-რუსეთი | 0:3 |

| დანია | |
|---|---|
| **I დივიზიონი** | |
| [illegible] | 3:1 |
| ვიბორგი-ფრედერისია | 0:3 |
| **ირლანდია** | |
| ბოჰემიანსი-სლიგო | 0:0 |
| ბრეი-უნივერსიტი | 3:1 |
| დერი-შელბურნი | 0:1 |
| დანდალკი-დროგედა | 1:2 |
| მონეგანი-სტ. პატსი | 0:4 |
| შემროკი-კორკი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| უოტერფორდი-მერვუ | 3:1 |
| გალვეი-ფინ ჰარპსი | 1:5 |
| უექსფორდი-ეთლონი | 1:2 |
| **ურუგვაი** | |
| რამპლა-ფენიქსი | 0:4 |
| პენიაროლი-სერიტო | 1:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| შალონი-ორლეანი | 70:65 |
| **იტალია** | |
| სასარი-მონტეპასკი | 64:79 |
| **სერბეთი** | |
| რადნიჩკი-ცრ. ზვეზდა | 71:76 |
| **ესპანეთი** | |
| ვალენსია-ბარსელონა | 73:77 |

TV პროგრამა

**2 ივნისი. შაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** იტალიის ჩემპიონატი. მილანი-პარმა.
**12:00** ესპანეთის ჩემპიონატი. სეზონის შემაჯამებელი.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. სეზონის შემაჯამებელი.
**15:30** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**17:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ვიტესი.
**19:00** ევროპის ლიგა. სეზონის შემაჯამებელი.
**20:00** ამხანაგური მატჩი. გერმანია-ისრაელი.
**22:00** ამხანაგური მატჩი. ჰოლანდია-ჩრ. ირლანდია (LIVE).
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-არსენალი.
**02:30** მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთ ამერიკა. არგენტინა-ეკვადორი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**11:45** NBA Action.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ბოსტონი-მაიამი. III მატჩი.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
**17:30** ძიუდო. გრანდ-სლემი. მოსკოვი. რუსეთი.
**19:50** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.
**20:30** ხელბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა. "ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. ბერლინი-კილი. კიოლნი. გერმანია.
**22:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**23:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ბოსტონი-მაიამი. III მატჩი.
**04:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ოკლაჰომა-სან ანტონიო. IV ტური (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. სან ანტონიო-ოკლაჰომა.
**12:30** ბადმინტონი. ქალები. ჩინეთი.
**15:00** რაგბი. ჰეინეკენის თასი. ლესტერი-ალსტერი.
**17:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ვალენსია-პსჟ.
**19:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ბოსტონი.
**21:00** რაგბი. ჰეინეკენის თასი. გლაზგოლენსტერი.
**23:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ეინდჰოვენი-ვალენსია.

**3 ივნისი. კვირა**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთ ამერიკა. არგენტინა-ეკვადორი.
**12:00** იტალია ჩემპიონატი. სეზონის შემაჯამებელი.
**12:30** საფრანგეთი ჩემპიონატი. სეზონის შემაჯამებელი.
**13:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**14:00** ამხანაგური მატჩი. ჰოლანდია-ჩრ. ირლანდია.
**16:00** საფრანგეთი ჩემპიონატი. მონპელიე-პსჟ.
**18:00** ამხანაგური მატჩი. გერმანია-ისრაელი.
**20:00** ჰოლანდია ჩემპიონატი. სეზონის შემაჯამებელი.
**21:30** საფრანგეთი ჩემპიონატი. სეზონის შემაჯამებელი.
**22:00** ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ლივერპული.
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-რეალი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ლივერპული.
**12:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ოკლაჰომა-სან ანტონიო. IV ტური.
**14:30** პროგრამა - იმედის ფსონი.
**15:30** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ვიტესი.
**17:30** ხელბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა. "ოთხთა ფინალი. 1/2 ფინალი. ატლეტიკო-კოპენჰაგენი. კიოლნი. გერმანია.
**19:30** რაგბი. ევროპის სუპერლიგა. ფინალი. ალსტერი-ლენსტერი.
**21:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**22:00** ხელბურთი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა. "ოთხთა ფინალი. ფინალი. კილი-ატლეტიკო. კიოლნი. გერმანია.
**00:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ოკლაჰომა-სან ანტონიო. IV ტური.
**04:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ბოსტონი-მაიამი. IV ტური (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. ოკლაჰომა-სან ანტონიო.
**12:30** ბადმინტონი. ქალები. ჩინეთი.
**16:00** რაგბი. ჰეინეკენის თასი. ბასი-მონპელიე.
**18:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. მანჩესტერ იუნ-ბილბაო.
**20:00** რაგბი. ჰეინეკენის თასი. არლეკინსი-ტულუზა.
**22:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ბილბაო-მანჩესტერ იუნ.
**00:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**00:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 28 | (მზე) |
| ქუთაისი | 16 | 24 | (მცირე წვიმა) |
| ბათუმი | 14 | 22 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 15 | 22 | (მზე) |
| ზუგდიდი | 15 | 23 | (მცირე წვიმა) |
| გორი | 14 | 26 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 17 | 28 | (მზე) |
| ბაკურიანი | 8 | 20 | (მზე) |
| ბორჯომი | 13 | 24 | (მზე) |
| მესტია | 10 | 18 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.0173 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6274 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5212 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9439 |

ფორმულა 1




ფერნანდო ალონსო

# ფერნანდო ალონსო: ავტორიტეტს ვკარგავთ

## ესპანელი პილოტი ისევ ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფორმულელია

"ფერარის" პილოტი **ფერნანდო ალონსო** მიიჩნევს, რომ ფორმულა 1 ლატარიას დაემსგავსა და შეიძლება დაკარგოს თავისი ავტორიტეტი. ასეთი აზრი გამოთქვა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა CNN-ის კორესპონდენტთან ინტერვიუში.

"ფანტასტიკურ, მაგრამ არაპროგნოზირებად სეზონს ვატარებთ. ყველა, ვინც თვალს ადევნებს ჩემპიონატს, ყოველ რბოლაში სიურპრიზის მოწმე ხდება. ეს დადებითად მოქმედებს სპორტისადმი ინტერესზე და ახალ მაყურებელს იზიდავს ტელეეკრანებთან.

მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ შეიძლება ავტორიტეტი დავკარგოთ. არ უნდა დაიკარგოს ის მომენტი, რომ რბოლებს იგებენ საუკეთესო გუნდები, საუკეთესო პილოტები და საუკეთესო ტაქტიკოსები. დღეს კი საქმეში ნაკლებად ჩახედულ გულშემატკივარს შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, რომ ნებისმიერი შეიძლება პირველი გახდეს. ნიჭს, გუნდს, პილოტის სპორტულ ფორმას მნიშვნელობა აღარ აქვს – რბოლა ლატარია გახდა. ფორმულა 1-ში წარმატება შემთხვევით არ მოდის. საზოგადოებას უნდა გავაგებინოთ, რომ თუ ვინმემ მოიგო ეტაპი, ეს იმიტომ მოხდა, რომ ის რაღაცით იყო სხვებზე უკეთესი. ჩემი აზრით, ბევრს ეს არ ესმის", - ამბობს ესპანელი პილოტი.

ექვსი ეტაპის შემდეგ ფერნანდო ალონსო გენერალური კლასიფიკაციის ლიდერია. როგორც ესპანელი აღიარებს, ის სეზონის სტარტზე ასეთ შედეგს არ ელოდა.

"სეზონის დასაწყისში უკმაყოფილო ვიყავით მანქანით, - აგრძელებს ალონსო. – მისი ტემპი არ პასუხობდა ჩვენს მოლოდინს და გუნდი ცდილობდა მაქსიმალურად მოკლე დროში გამოესწორებინა მდგომარეობა. ჩვენმა ტექნიკურმა ჯგუფმა კარგად იმუშავა და ახლა სასიამოვნოა, რომ ასეთი წარმატება გვაქვს და ამდენი ქულა დავაგროვეთ. თუმცა უნდა ვაღიარო ის ფაქტი, რომ ამ მომენტისთვის F2012 არასაკმარისად სწრაფია. კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს, მაგრამ "ფერარი" – ძლიერი გუნდია და ყველაფერს მოვაგვარებთ".

ჭორების თანახმად, 2014 წელს "ფერარიში" შეიძლება გადავიდეს მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი**. ამ ინფორმაციის კომენტირებისას ფერნანდომ გაიხსენა, რომ მასაც მუდმივად ამგზავრებდნენ "სკუდერიაში".

"ეს მხოლოდ ჭორებია. ყოველ წელს ამბობენ, რომ ვიღაც "ფერარიში" გადადის. ასეთ სიტუაციაში თავად ვიყავი რამდენიმე წლის წინ, როცა "რენოს" რიგებში ვირიცხებოდი. მუდმივად გაიძახოდნენ იმას, რომ ალონსო "ფერარიში" გადადიოდა. და მეც მუდმივად მიწევდა ამ კითხვებზე პასუხის გაცემა", - აცხადებს ჩემპიონატის ლიდერი.

ფერნანდო ალონსოს იმედი აქვს, რომ მანქანასთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად, ის შეძლებს "ფერარის" რიგებში თავისი პირველი ტიტულის მოპოვებას.

"სიტუაცია რთულია და ჯერ არაფერი არ არის გარკვეული, - ამბობს ესპანელი. - ჩემპიონატში ძალიან მჭიდრო ბრძოლაა გაჩაღებული. ბოლო რამდენიმე წელია ჩვენ ერთი მანქანის დომინირებას ვუყურებდით, მაგრამ ახლა, სიტუაცია შეიცვალა. ვფიქრობ, ტიტულზე პრეტენდენტთა რიცხვში ჩვენც ვიქნებით. არ ვიცი, გავხდებით თუ არა ჩემპიონები, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ბოლო რბოლამდე შანსი გვექნება.

■ ■ ■

ამასობაში, ბიზნეს-გამოცემა Business Book-მა 2012 წელს ფორმულა 1-ის პილოტების ხელფასები გამოაქვეყნა. ყველაზე მაღალანაზღაურებადი ავტომრბოლი ფერნანდო ალონსოა – ესპანელის ხელფასი, სასპონსორო ჰონორარების გაუთვალისწინებლად, 30 მილიონ ევროს შეადგენს.

თითქმის ორჯერ ნაკლები შემოსავალი აქვთ "მაკლარენის" პილოტებს – **ლუის ჰემილტონსა** და **ჯენსონ ბატონს** – 16-16 მილიონი ევრო წელიწადში. მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის სებასტიან ფეტელის ხელფასი 10 მილიონი ევროა.

ცხრილში მოყვანილი რიცხვები ბოლომდე დაზუსტებული არ არის:

| | |
|---|---|
| ფერნანდო ალონსო | 30 |
| ლუის ჰემილტონი | 16 |
| ჯენსონ ბატონი | 16 |
| სებასტიან ფეტელი | 10 |
| მარკ უებერი | 10 |
| ფელიპე მასა | 10 |
| ნიკო როსბერგი | 10 |
| მიხაელ შუმახერი | 8 |
| ჰეიკი კოვალაინენი | 5 |
| კიმი რაიკონენი | 4 |
| ტიმო გლოკი | 3 |
| კამუი კობაიაში | 1 |
| რომენ გროსჟანი | 1 |
| ნიკო ჰიულკენბერგი | 0,5 |
| სერხიო პერესი | 0,5 |
| პედრო დე ლა როსა | 0,5 |
| ვიტალი პეტროვი | 0,5 |
| ჟან-ერიკ ვერნი | 0,4 |
| დანიელ რიკარდო | 0,4 |
| პასტორ მალდონადო | 0,4 |
| ბრუნო სენა | 0,25 |
| ნარაიან კართიკეიანი | 0,25 |
| პოლ დი რესტა | 0,2 |
| შარლ პიკი | 0,15 |

ჩოგბურთი. როლან გაროსი. VI დღე

# როჯერს ცოტა გაუჭირდა

გუშინ, როლან გაროსზე მესამე წრე დაიწყო, პარალელურად წინა დღეს გადადებული მეორე წრის ორი მატჩი იყო დასამთავრებელი. ერთ-ერთში კინაღამ "დიდი სლემის" ახალი ისტორია დაიწერა. მსოფლიოს 98-ე ჩოგანი **მალეკ ჟაზირი** შეიძლებოდა გამხდარიყო პირველი ტუნისელი, რომელიც ასეთი დონის ტურნირის მესამე წრეში გავიდოდა. ჟაზირიმ რეალური შანსი ვერ გამოიყენა – **მარსელ გრანოლერსთან** მატჩში სამი მატჩბოლი გაანიავა და ხუთსეტიანი მარათონი წააგო მე-20 ნომრად განთესილ ესპანელთან.

მეექვსე სათამაშო დღეს კიდევ იყო ხუთსეტიანი მატჩები. მაგალითად, ერთ-ერთში კინაღამ სენსაცია მოხდა. **ტომაშ ბერდიხმა** 1:2-დან შემოატრიალა სამხრეთაფრიკელ **კევინ ანდერსონთან** შეხვედრა და თითქმის ოთხსაათიან მატჩში დიდი გაჭირვებით გაიმარჯვა. არავის ეგონა, რომ ბერდიხს ასე გაუჭირდებოდაა, რადგან ის ძალიან კარგ გრუნტის სეზონს ატარებს: 17 მატჩი მოიგო და მხოლოდ ოთხჯერ დამარცხდა, ითამაშა მონტე კარლოს მასტერსის ნახევარფინალში და მადრიდის მასტერსის ფინალში. თუმცა ჩეხმა აღიარა, რომ ანდერსონი ყოველთვის რთული მეტოქე იყო და მისგან ასეთი თამაში არ გაჰკვირვებია. ისე კი კევინს შეეძლო 2003 წლის შემდეგ გამხდარიყო პირველი სამხრეთაფრიკელი, რომელიც "დიდი სლემის" ტურნირის მესამე წრეში გავიდოდა. ბოლოს ეს ცხრა წლის წინ, ავსტრალიის ღია პირველობაზე **უეინ ფერეირამ** გააკეთა.

ზედიზედ მეორე მატჩში წააგო სეტი **როჯერ ფედერერმა**, რაც კარგი ნიშანი არ უნდა იყოს. შვეიცარიელს აშკარად გაუჭირდა ფრანგი **ნიკოლა მაუს** დამარცხება. დათმო მეორე სეტი, მეოთხეში კი 2:3-ზე ბრეიკ-პოინტის მოგერიებამ მოუწია. რა თქმა უნდა, მაუ არ იყო გუშინდელი თამაშის მომგები, მაგრამ ორი საათი და 40 წუთი შეაყოვნა კორტზე ლეგენდარული შვეიცარიელი, რომელსაც ასეთი თამაშით გაუჭირდება მომდევნო ეტაპებზე.

1/16 ფინალში ფედერერი ბელგიელ **დავიდ გოფენს** შეხვდება. ეს ჩოგბურთელი ბედნიერი შემთხვევითობით მოხვდა ძირითად ბადეში. მან წააგო კვალიფიკაცია, მაგრამ რომელიღაც ტრავმირებული მოთამაშის გამო მიეცა ძირითად ბადეში თამაშის საშუალება და უკვე სამი წრე გაიარა – ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა **რადეკ შტეპანეკი, არნო კლემანი** და **ლუკაშ კუბოტი**.

კაცები

II წრე

**მარსელ გრანოლერსი (ესპ, 20)**-მალეკ ჟაზირი (ტუნ) 7:6(1), 3:6, 6:1, 3:6, 7:5.

III წრე

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 1)**-ნიკოლა დევილდერი (საფ) 6:1, 6:2, 6:2; **ანდრეას სეპი (იტა, 22)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 14) 7:5, 3:6, 6:3, 4:6, 6:2; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 18)**-ჟილ სიმონი (საფ, 11) 7:5, 6:7(5), 6:7(3), 6:3, 6:2; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 5)**-ფაბიო ფონინი (იტა) 7:5, 6:4, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)**-ნიკოლა მაუ (საფ) 6:3, 4:6, 6:2, 7:5; **დავიდ გოფენი (ბელ)**-ლუკაშ კუბოტი (პოლ) 7:6(4), 7:5, 6:1; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 9)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 21) 6:3, 7:6(7), 6:1; **ტომაშ ბერდიხი (სერ, 7)**-კევინ ანდერსონი (ს. აფრ, 31) 6:4, 3:6, 6:7(4), 6:4, 6:4.




როჯერ ფედერერი

# ანამ ისევ ჩააგდო

ქალთა შორის უფრო საინტერესოდ მიმდინარეობდა მოვლენები, რომელთაგანაც მთავარი ის იყო, რომ ბრძოლას გამოეთიშა ერთ-ერთი ფავორიტი, მესამე ნომერი **აგნიეშკა რადვანსკა.** ის როლან გაროსის ყოფილმა ჩემპიონმა **სვეტლანა კუზნეცოვამ** დაამარცხა. თითქოს ამაში გასაკვირი არაფერი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ რუსი კარგა ხანია ველარ აჩვენებს მაღალ დონეს და კლასიფიკაციაში 28-ე ადგილამდე დაქვეითდა. წელს ის დუბაის, მაიამის, მადრიდისა და რომის ტურნირებში პირველივე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას. აგნიეშკა კი პირიქით, ამ სეზონის ერთ-ერთი ლიდერია და თავისი კარგი ფორმა წინა წრეში ვენუს უილიამსის განადგურებით დაადასტურა.

გუშინდელ შეხვედრაში ყველაზე მეტად გასაკვირი საბოლოო ანგარიში გახლდათ. კუზნეცოვამ 6:1, 6:2 გაანადგურა პოლონელი და რადვანსკასთან ურთიერთშეხვედრებში 9:3 გახადა ანგარიში.

კლასიფიკაციაში კუზნეცოვას მეზობლად მყოფმა კიდევ ერთმა რუსმა ნადია პეტროვამ კი დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია ავსტრალიელ სამანტა სტოსურს. არადა, პეტროვა ურთიერთშეხვედრებში 5:2-ს უგებდა სემს და წელს ის ინდიან უელსში დაამარცხა.

მაგრამ სტოსური ამ როლან გაროსს ძალიან კარგ ფორმაში შეხვდა. გუშინდელ შეხვედრაში ის კარგად თამაშობდა გადამწყვეტ მომენტებში – ხუთიდან ოთხი ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, ხოლო მეტოქეს ოთხიდან მხოლოდ ერთი ბრეიკ-პოინტი გამოაყენებინა.



სარა ერანი

მორიგი ტურნირი ჩააგდო როლან გაროსის 2008 წლის ჩემპიონმა **ანა ივანოვიჩმა.** არადა, მან ისე დაიწყო იტალიელ **სარა ერანისთან** მატჩი, რომ სერბის საბოლოო წარმატებაში რთული იყო ეჭვის შეტანა. პირველი სეტი ანამ 25 წუთში 6:1 მოიგო. მაგრამ ერანიმ შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და მეორე სეტში 3:1 დაწინაურდა. ივანოვიჩმა დაიბრუნა დაკარგული ბრეიკი და 5:5-მდე თანაბარი თამაში მიდიოდა. გადამწყვეტი აღმოჩნდა მე-11 გეიმი, როცა აპენინელმა კიდევ ერთხელ აილო მეტოქის მოწოდება და შემდეგ სეტზე ჩააწოდა. მესამე სეტში ისევ იყო ანგარიში 3:1, ანას მიერ დაბრუნებული ბრეიკი და კვლავ წაგებული სეტი და მასთან ერთად მატჩი.

ერანი აშკარად თავის საუკეთესო სეზონს თამაშობს კარიერაში. შეგახსენებთ, რომ მინიატურული იტალიელი (სიმაღლე: 1,64 მეტრი) წელს ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში თამაშობდა.

ქალები

II წრე

**მარია შარაპოვა (რუს, 2)**-აიუმი მორიტა (იაპ) 6:1, 6:1.

III წრე

**ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 1)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან) 6:4, 6:4; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 15)**-მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ) 6:2, 6:1; **სლოუნ სტივენსი (აშშ)**-მატილდ იოჰანსონი (საფ) 6:3, 6:2; **სამანტა სტოსური (ავსტრა, 6)**-ნადია პეტროვა (რუს, 27) 6:3, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 26)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 3) 6:1, 6:2; სერა ერანი (იტა, 21)-**ანა ივანოვიჩი (სერ, 13)** 1:6, 7:5, 6:3; **ანჟელიკ კერბერი (გერ, 10)**-ფლავია პენეტა (იტა, 18) 4:6, 6:3, 6:2; **პეტრა მარტიჩი (ხორ)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 29) 6:2, 6:1.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:35

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608